ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი მაზანიშვილი

ადამ სმითის „უხილავი ხელის“ თეორია და მისი მოქმედების თავისებურებები საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია ეკონომიკის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

მეცნიერი ხელმძღვანელი:

ეკონომიკის აკადემიური დოქტორი,

ასოცირებული პროფესორი: **ჯემალ ხარიტონაშვილი**

თბილისი 2019

ანოტაცია

აღსანიშნავია რომ ადამ სმითის გენიალური ეკონომიკური ნაშრომის ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ" გამოსვლის დღიდან გასულია ორ საუკუნეზე მეტი, მაგრამ ეკონომისტის მიერ, აღნიშნულ ეკონომიკურ ნაშრომში ჩმოყალიბებული მრავალი ეკონომიკური იდეა, დღესაც სიცოცხლისუნრიანია. წინამდებარე ნაშრომი ეძღვნება სწორედ ადამ სმითის მეცნიერულ - ეკონომიკური მემკვიდრეობის, ისეთი სამეცნიერო ერთეულის კვლევას როგორიცაა ,,უხილავი ხელის'' თეორია და ეძღვნება აგრეთვე მისი მოქმედების თვისებურებებს საქართველოს ეკონომიკაში. ნაშრომში გაშუქებულია შოტლანდიელი ეკონომისტის თეორია ,,უხილავი ხელის'' შესახებ და გამოვლენილია მისი არსი და მნიშვნელობა. აგრეთვე წარმოდგენილია ,,უხილავი ხელის'' მოქმედების თავისებურებანი საქართველოს ეკონომიკაში. ნაშრომი წარმოადგენს ,,უხილავი ხელის'' თეორიის და საქართველოს ეკონომიკაში მისი მოქმედების თავისებურებების, შედარებით სიღრმისეული, კვლევის მცდელობას.

Annotation

It is noteworthy that many of the economic ideas that have been set out in the economic work by the Economist have survived for more than two centuries since the beginning of Adam Smith's genetic economic work "on the nature and causes of the wealth of people." This work is devoted to Adam Smith's scientific and economic successor The study of scientific research, such as the "invisible hand" theory and the features of its effectiveness in the Georgian economy, is covered by the Scottish Economist's theory of "invisible hand" and has its essence and significance, as well as the "invisible hand" Peculiarities of action in the Georgian economy nda say that the work of the invisible hand ,, '' theory of economics and the validity of its characteristics, compared to in-depth, research efforts.

შინაარსი

შესავალი..... გვ. 6 - 9

1. თავი კლასიკური ეკონომიკური დოქტრინა და ადამ სმითი..... გვ. 10 - 45

1.1 კალსიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენების წაინაპირობები..... გვ. 11 - 18

1.2 ადამ სმითი (1723 – 1790)..... გვ. 19 - 28

1.3 ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''..... გვ. 28 - 45

1.3.1 სიმდიდრის ანალიზი..... გვ. 31 - 33

1.3.2 ფულის ანალიზი..... გვ 33 - 35

1.3.3 ღირებულების ანალიზი..... გვ. 35 - 37

1.3.4 დოვლათის განაწილების ანალიზი..... გვ. 37 - 39

1.3.5 ვაჭრობის ანალიზი..... გვ. 39 - 40

1.3.6 ფასის ანალიზი..... გვ. 40 - 43

1.3.7 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ანალიზი..... გვ. 43 - 45

2. თავი ,,უხილავი ხელის'' თეორია..... გვ. 46 - 68

2.1 ,,უხილავი ხელის" მეტაფორა..... გვ. 47 - 53

2.2 ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკური და არა ეკონომიკური განმარტება..... გვ. 53 - 61

2.2.1 ,,უხილავი ხელის'' თეორიის არა ეკონომიკური განმარტება..... გვ. 54 - 58

2.2.2 ,,უხილავი ხელის'' თეორიის ეკონომიკური განმარტება..... გვ. 58 - 61

2.3 ,,უხილავი ხელის'' არსი და მნიშვნელობა..... გვ. 61 - 68

3. თავი ,,უხილავი ხელი'' და საქართველოს ეკონომიკური რეალობა..... გვ. 69 - 83

3.1 ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა..... გვ. 70 - 77

3.2 ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღა..... გვ. 78 - 83

3.3 საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის თავისებურებები.....გვ. 83 - 88

დასკვნა.....გვ. 89 - 93

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები.....გვ. 94 -97

დანართი.....გვ. 98 - 104

შესავალი

თემის აქტუალობა. ადამიანებს ოდითგანვე ამოძრავებდათ ეკონომიკური საქმინობის და მისი მნიშვნელობის გააზრების სურვილი. დღეს აღნიშნული მიზეზის შედეგი არის ის რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში მრავლად მოიპოვება ეკონომისტ - მეცნიერების თეორიული და პრაქტიკული შეხედულებები, რომლითაც ისინი ცდილობდნენ და დღესაც ცდილობენ ეკონომიკური რეალობის ახსნას, ეკონომიკის არსის გაგებას და მის ტრანსფორმაციას. აღნიშნული მდგომარეობა კი თავის მხრივ იმის მანიშნებელია რომ ეკონომიკურ მეცნიერებაში ადგილი აქვს ეკონომიკური აზრის და ეკონომიკური გადაწყვეტილებების წარმოშობისა და ცვალებადობის პრეცედენტს, რომლის სისტემატიზაციის შედეგად ჩვენ ვიღებთ ეკონომიკური აზრის ისტორიას ე.ი. ეკონომიკური აზრის წარსულს, რომელიც აწმყოს განმსაზღვრელია და რომელიც საბოლოო ჯამში მომავალსაც განსაზღვრის.

ეკონომიკური აზრის ისტორიას, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, ქმნიან ეკონომისტების თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური შეხედულებები , რომელნიც მიეკუთვნოდნენ ამა თუ იმ დროს და სივრცეს ე.ი. ამა თუ იმ ეპოქას თავისი სფეციფიკური ეკონომიკური მახასიათებლებით, რომელნიც წარმოადგენდნენ ეკონომისტების კვლევისა და ტრანსფორმაციის საგანს. ეს იმას იწვევს, რომ ბევრი თეორიული და პრაქტიკული შეხედულება ეკონომიკასთან დაკავშირებით, დროის და სივრცის ცვალებადობასთან ერთად განიცდის გაუფასურებას, მაგრამ ამავე დროს არსებობდა და არსებობს ეკონომისტების ისეთი თეორიული და პრაქტიკული ეკონომიკური შეხედულებები, რომელთაც დროის და სივრცის ცვალებადობა ვერ აუფასურებს.

ასეთ თეორიულ და პრაქტიკულ შეხედულებად და შესაბამისად ასეთ ეკონომისტად უთუოდ, სამართლიანად შეიძლება დასახელდეს კლასიკური ეკონომიკური დოქტრინის წარმომადგენელი, შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმითი. აღნიშნული მდგომარეობა გამოწვეულია იმით რომ შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმითმა შექმნა ეკონომიკურ

მეცნიერებაში ,,უხილავი ხელის'' თეორია, რომელიც თავის დროზე აღიარებული იქნა მრავალი ეკონომისტის მიერ და დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული თეორიის გარშემო გაჩენილმა მრავალმა კითხვამ ახალი დროის ეკონომისტები აიძულა დაფიქრებულიყვნენ ,,უხილავი ხელის'' თეორიის მართებულობის შესახებ. ამგვარად, ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე წინამდებარე თემა მეტად აქტუალურია.

თემის მიზანი და ამოცანები. წინამდებარე თემის მიზანია შოტლანდიელი ეკონომისტის ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიის არსში ღრმად ჩაწვდომა და აღნიშნული თეორიის განხილვა პრაქტიკული მაგალითებით საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის გათვალისწინებით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს გულისხმობს, რომ თემის სათაურიდან და ობიექტურად არსებული ლოგიკური კანონზომიერებიდან გამომდინარე, პირველ რიგში აუცილებლია განხილული იქნას ადამ სმითის ,,უხილვი ხელის'' თეორია და შემდეგ მოხდეს მისი მოქმედების ანალიზი საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის მაგალითზე.

აღსანიშნავია რომ იმისათვის, რათა მოხდეს წინამდებარე თემის მიერ დასახული მიზნის რეალიაზაცია, რომელიც წარმოადგენს ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორისს არსის გაგება და მისი მოქმედების ანალიზი საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის მაგალითზე, აუცილებელია გადაწყდეს შემდეგი სახის ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანები:

1) განვიხილოთ საკითხი, რომელიც დაკავშირებულია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოშობის და განვითარების ისტორიული წინაპირობებთან.

2) ავღნიშნოთ ის ღვაწლი, რომელიც მიუძღვით კალასიკურ პოლიტიკურ ეკონომიას ეკონომიკური აზრის ისტორიაში.

3) განვიხილოთ შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმითი და მისი დამსახურება კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კონტექსტში.

4) ადამ სმითის ეკონომიკური შეხედულებებიდან საგანგებოდ გამოვყოთ ,, უხილავი ხელის'' თეორია და მოვახდინოდ მისი დეტალური განხილვა აღნიშნული ეკონომისტის ძირითადი ეკონომიკური ნაშრომის საფუძველზე, რომელიც ცნობილია სახელწოდებით ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''.

5) განვიხილოდ საქართველოს თანამედროვე საბაზრო ეკონომიკური სისტემა და ამის სადუძველზე, საბაზრო ეკონომიკისთვის დამახასიათებელ ზოგად კანონზომიერებებთან ერთად, მისი ფუნქციონირების სფეციფიური კანონზომიერებანიც გამოვავლინოთ;

6) საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის გათვალისწინებით პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე, გამოვარკვიოთ ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიის მოქმედების თავისებურებანი.

კვლევის საგანი და ობიექტი. წინამდებარე თემის კვლევის საგანია ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორია და მისი მოქმედების თავისებურება ისეთი ქვეყნის ეკონომიკაში როგორიცაა საქართველო. ხოლო კვლევის ობიექტს წარმოადგენს ადამ სმითის მეცნიერულ - ეკპნომიკური მემკვიდრეობა მისი ისეთი ეკონომიკური ნაშრომის სახით როგორიცაა ,,გამოკვლევა ხალხთა სინდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' და აგრეთვე ამასთან ერთად კვლევის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს ეკონომიკა.

კვლევის თეორიული და მეთოდური საფუძვლები. წინმდებარე ნაშრომის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს ადამ სმითის მეცნიერულ - ეკონომიკური მემკვიდრეობა მისი ისეთი ნაშრომის სახით როგორიცაა ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' და აგრეთვე საქართველოს ეკონომიკურ კვლევებთან და უხილავი ხელის თეორიასთან დაკავშირებული, უცხოელი და ქართველი ავტორების მიერ შექმნილი მეცნიერულ - ეკონომიკური ლიტერატურა. ხოლო რაც შეეხება მეთოდურ საფუზვლებს, ჩვენს მიერ აუცილებელია ითქვას რომ

ნაშრომი შესრულებულია შემეცნების ზოგად მეთოდებზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს საკვლევი საგნის და ობიექტის მიმართ სისტემურ მიდგომას.

საკვლევი საგნისა და ობიექტის თანამედროვე მდგომარეობა და აღნიშნული კვლევის განსხვავება წინა კვლევებთან შედარებით. მიუხედავად იმისა რომ არსებობს ადამ სმითის უხილავი ხელის და საქართველოს ეკონომიკის უამრავი კვლევა, საკითხი უხილავი ხელის თეორიის არსის და მნიშვნელობის შესახებ და მით უმეტეს მისი მოქმედების თავისებურებების შესახებ საქართველოს ეკონომიკაში, კვლავ ღია რჩება. აღსანიშნავია რომ აქედან გამომდინარეობს წინმდებარე ნაშრომის მოკრძალებული სიახლეც , რიმელიც დაკავშირებულია ,,უხილავი ხელის თეორიის არსის და მნიშვნელობის შედარებით ჭეშმარიტ გაგებასთან და ამის შემდეგ აგრეთვე საქართელოს ეკონომიკაში მისი მოქმედების თავისებურებების შესწავლასთან.

მატერიალურ ტექნიკური ბაზა და საინფორმაციო რესურსები. წინამდებარე თემის ამოცანების გადასაწყვეტად და შესაბამისად დასახული მიზნების მისაღწევად ჩვენს მიერ გამოყენებული იქნა მეცნიერულ - ეკონომიკური ნაშრომების ფართო ნუსხა სტატიების, მონოგრაფიების, სამეცნიერო სახემძღვანელოებების და ჟურნალების სახით, რომელსაც ჩვენ ვეცნობოდით როგორც ნივთიერი ისე არანივთიერი (ინტერნეტ - მასალა) სახით.

ამდენად, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ითქვას რომ ეკონომიკური აზრის ისტორიაში არსებობენ ისეთი ეკონომისტები, რომელნიც დროის და სივრცის ცვალებადობიდან გამომდინარე არ კარგავენ აქტუალობას, ეს კი წინამდებარე თემას და მის მიზანს, რომელიც წარმოადგენს შოტლანდიელი ეკონომისტის ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიის არსში წვდომას და მისი მოქმედების თავისებურების გამორკვევას საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში, მეტად აქტუალურს ხდის და მიმაჩნია რომ აღნიშნული თემის ფარგლებში დასახული ამოცანების გადაწყვეტის შედეგად დასახული მიზანი მიღწეული იქნება.

1. თავი კლასიკური ეკონომიკური დოქტრინა და ადამ სმითი

ეკონომიკა არის მატერიალური და არა მატერიალური დოვლათის წარმოების, განაწილების გაცვლის და მოხმარების, ისტორიულად მოცემული, ურთიერთდაკავშირებული პროცესი, ურომლისოდაც შეუძლებელია ლაპარაკი საზოგადოებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გულისხმობს რომ ეკონომიკა, ყოველთვის კავშირშია ისტორიულად მოცემული საზოგადოების კონკრეტულ ფორმასთან და საქმიანობის უმნიშვნელოვანეს სფეროს წარმოადგენს, რამე თუ ეკონომიკის გარეშე შეუძლებელია საზოგადოების არსებობა და მისი განვითარება.

ეკონომიკა, რა დროსაც იგი წარმოიშვა და გახდა საზოგადოების არსებობის და განვითარების წყარო, განიცდის მუდმივ მოძრაობას დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ, რაც ნიშნავს იმას რომ განვითარებას განიცდის. ეკონომიკის განვითარების ძირითადი მიზეზი არის საწარმოო ძალთა ზრდის შედეგი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეკონომიკა ვითარდება ადამინის სამეურნეო ცოდნის, საწარმოო იარაღების და საწარმოო საგნების გაუმჯობესების შედეგად.

ეკონომიკის განვითარებასთან ერთად, რომელიც წარმოადგენს საზოგადოების არსებობის მატერიალურ საფუძველს, ასევე განვითარებას განიცდის ადამიანი და მისი ეკონომიკური ცნობიერება, რომელიც ასახავს საზოგადოების მიერ მიღწეულ ეკონომიკური განვითარების დონეს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არსებობის მატერიალური პირობების განვითარება, რომელიც სხვა არფერს წარმოადგენს თუ არა ეკონომიკურ განვითარებას, ცვლის ადამიანის ეკონომიკურ აზროვნებას, ნებელობას და გრძნობას.

სწორედ ეკონომიკური განვითარების შედეგი იყო ეკონომიკური აზრის ისტორიაში, ისეთი ეკონომიკური სკოლის წარმოშობა და განვითარება როგორიცაა კლასიკური პოლიტიკური ეკონომია.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია წარმოიშვა ევროპის კონტინენტზე, ისეთ ქვეყნებში როგორიცაა ინგლისი და საფრანგეთი. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ ეს გამოწვეული იყო სწორედ ევროპის კონტინენტის ქვეყნების ეკონომიკური განვითარებით.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ყველა დროის თვალსაჩინო და მნიშვნელოვან წარმომადგენლად დამსახურებულად ითვლება შოტლანდიელი ეკონომისტი ადამ სმითი, რომელმაც სახელი გაითქვა ისეთი ეკონომიკური ნაშრომით, რომლის სახელწოდებაა ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', რომელიც მის სიცოცხლეშივე 1776 წელს გამოიცა. ადამ სმითის ეკონომიკური შრომა ,,გამოკვლევა ხალთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' ეკონომიკურ მეცნიერებაში ერთ - ერთ უმნიშვნელოვანეს ნაშრომად ითვლება.

ადამ სმითის დამსახურების და ღვაწლის გაგების მიზნით, რომელიც მან განახორციელა ეკონომიკურ მეცნიერებაში, აუცილებელია შევეხოთ შემდეგ საკითხებს:

1) რა ისტორიული წინაპირობები უძღოდა წინ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენებას და განვითარებას.

2) რა სიახლე შეიტანა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ ეკონომიკური საკითხების გააზრებაში.

3) რა დამსახურება და ღვაწლი გააჩნია თვით შოტლანდიელი ეკონომისტს ადამ სმითს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის კონტექსტში.

1.1 კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის აღმოცენების წაინაპირობები

ცნობილია რომ ადამ სმითმა სახელი გაითქვა თავისი ეკონომიკური ნაშრომით ,, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', მაგრამ მკვლევართა მცირე ნაწილი თუ უფიქრდება იმას რომ ადამ სმითს თავისი ეკონომიკური შეხედულებები არ ჩამოუყალიბებია ცარიელ ადგილზე ე.ი. მასზე ზემოქმედებდა სხვა

ეკონომისტების აზრები და აგრეთვე მასზე ზემოქმედებდა, მის ეკონომიკურ წინაპართა სამეურნეო ცხოვრებასთან შედარებით, საგრძნობლად შეცვლილი ეკონომიკური ცხოვრება. ყოველივე ამან შოტლანდიელი ეკონომისტის ეკონომიკურ შეხედულებებს მისცა ერთდროულად თან ანალოგიური და თან ორიგინალური მიმართულება. ანალოგიური იმიტომ რომ მან წინამორბედთა ეკონომიკური აზრის გადამამუშავებელის და გამავრცელებლის როლი მოირგო, ხოლო ორიგინალური იმიტომ რომ მან რიგი ეკონომიკური საკითხები განსხვავებულად გადაწყვიტა და აგრეთვე შეიმუშავა ,,უხილავი ხელის'' თეორია, რაც შოტლანდიელ ეკონომისტამდე ჯერ არც ერთ ეკონომისტს არ ჰქონდა გაკეთებული.

ამგვარად ადამ სმითის, როგორც ეკონომისტის გააზრება, აუცილებელია დავიწყოთ კლასიკური პოლიტიკური ეკონომიით და იმ ისტოროიული წინაპირობებით, რომლებმაც წარმოშვა ეკონომიკური აზრის აღნიშნული მიმართულება.

შუა საუკუნეების ევროპის ეკონომიკური ცხოვრება, თანამედროევე ეკონომიკურ ცხოვრებასთან შედარებით, გამოირჩეოდა სიმარტივით და განუვითარებლობით. აღნიშნული მდგომარეობის მიზეზი იყო ის რომ წარმოების პროცესი გამოყენებული ტექნიკური საშუალებები და შრომის ორგანიზაციის ფორმები განუვითარებლობით ხასიათდებოდა. ხოლო ქრისტიანული რელიგია, რომელიც შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების გაბატონებულ იდეურ ძალას წარმოადგენდა, ზღუდავდა წარმოების პოროცესში ადამიანის მატერიალური მოთხოვნილებების შეზღუდვის საფუძველზე, რაც თავის გამოხატულებას პოულობდა იმაში რომ ქრისტიანული რელიგია მატერიალური დოვლათის მიმართ, უარყოფითი დამოკიდებულების პროპაგანდას ახდენდა, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა აზრი იმის შესახებ რომ ის, რაც ადამიანისთვის დასჯის საგნად არის ღმერთის მიერ მოცემული, არ შეიძლება გახდეს სიამოვნების მიღების წყაროდ, ეს კი თავის მხრივ ნიშნავდა აგრეთვე შრომითი სტიმულის დაქვეითებას ადამიანში, მიუხედავად იმისა რომ ქრისტიანული რელიგია ამავე დროს აღიარებდა შრომითი საქმიანობის აუცილებლობას. გარდა ამისა ქრისტიანული რელიგის აგრეთვე

უარყოფითი დამოკიდებულება გააჩნდა ვაჭრობის და საპროცენტო განაკვეთის მომართ და აგრეთვე ზღუდავდა მათ, რაც თავის მხრივ აღრმავებდა შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ჩამორჩენილობას.

ამგვარად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას შემდეგი ეკონმიკური და არა ეკონომიკური მოვლენები ქმნიდა:

1) **წარმოების შეზღუდვა (ობიექტური ფაქტორი)** - შუა საუკუნის ევროპული საზოგადოების ეკონომიკა შრომის ორგანიზაციის და საწარმოო ტექნოლოგიის განვითარების დაბალ დონეს ემყარებოდა, რაც შრომის დაბალ მწარმოებლურობას იწვევდა.

2) **წარმოების შეზღუდვა (სუბიექტური ფაქტორი)** - შუა საუკუნის ევროპულ საზოგადოებაში ქრისტიანული რელიგია, რელიგიური თვალსაზრისით, ზღუდავდა ადამიანის მატერიალურ მოთხოვნილებებს, რაც თავის მხრივ აქვეითებდა შრომის სტიმულს და წარმოების შეზღუდვის ობიექტური ფაქტრორის მსგავსად, შრომის მწარმოებლურობაზე მოქმედებდა, კერძოდ, შრომის მწარმოებლურობის დაბალ დონეს იწვევდა.

3) **ვაჭრობის და საპროცენტო განაკვეთის შეზღუდვა** - შუა საუკუნის ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში, ქრისტიანული რელიგიის მიერ შეზღუდული იყო ვაჭრობა და ფულის გასესხება სარგებლის მიღების მიზნით, რაც იმ დროისთვის საზოგადოებას ხელიდან სიმდიდრის დაგროვების საშუალებას აცლიდა.

ყოველივე ზემოთაღნიშნული იმას იწვევდა რომ შუა საუკუნის ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებას **„ნატურალური"** ხასიათი ჰქონდა ე.ი. იგი ისეთი ეკონომიკური ურთიერთობებით ხასიათდებოდა, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროდუქტის წარმოება პირადი მოხმარებისთვის და არა პროდუქტის ბაზარზე გასაყიდათ.

მაგრამ აღნიშვნის ღირსია ის რომ შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების მწარმოებლური ძალები, მიუხედავად მრავალი წინაღობისა, რომელსაც ქმნიდა შუა საუკუნეების ევროპული საზოგადოების იდეოლოგია, რომელსაც საფუძვლად ჰქონდა ქრისტიანული რელიგია, მაინც ვითარდებოდა, ეს კი იწვევდა მწარმოებლური ურთიერთობების სრულქმნას. აღნიშნული მიმართულებით დადებითი ზეგავლენა შუა საუკუნის ევროპულ საზოგადოებაზე ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა იქონია, რომლის გავლენა იმით გამოისახება რომ მან ბიძგი მისცა ვაჭრობის განვითარებას და წარმოებაში ახალი ხერხებისა და მიდგომების გამოყენებას, რომელიც ნასესხები იქნა დედამიწის აღმოსავლეთ ნაწილში მდებარე ქვეყნებისაგან და რომელიც მანამდე შუა საუკუნის ევროპული საზოგადოებისთვის უცნობი იყო. ხოლო ამერიკის და ინდოეთში მიმავალი საზღვაო გზის აღმოჩენებმა იმ მოვლენების ნუსხა დააგვირგვინეს, რომლებმაც ძირეული ცვლილებების დასაწყისი გამოიწვიეს შუა საუკუნის ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში.

ზემოთაღნიშნული მოვლენების საფუძველზე, ძირეული ეკონომიკური ცვლილებების დასაწყისი, შუა საუკუნის ევროპული საზოგადოების ეკონომიკურ ცხოვრებაში ის იყო რომ ვაჭრობა ეკონომიკის უმნიშვნელოვანეს სფეროდ ცხადდება, რაც იმ დროისთვის სრულიად ბუნებრივ შედეგს წარმოადგენდა, რადგან ევროპის ქვეყნებმა იპოვეს ფართო ბაზარი საკუთარი ნაწარმის გასასაღებლად, რომლის სანაცვლოდ იღებდნენ ძვირფას ლითონებს. ასეთ ვითარებაში, ევროპული ქვეყნებისთვის, ვაჭრობა დღე და დღე უფრო მნიშვნელოვანი ხდებოდა, რამაც საბოლოო ჯამში ბიძგი მისცა ეკონომიკურ მეცნიერებაში ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა პირველი ეკონომიკური სკოლის აღმოცენება, რომელიც ეკონომიკური აზრის ისტორიაში **მერკანტილიზმის** სახელით არის ცნობილი.

მერკანტილიზმი არის ეკონომიკური აზრის ერთ - ერთი მიმართულება, რომელიც წარმოიქმნა ევროპაში ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გარდამავალ პერიოდში. მისი სახელწოდება მომდინარეობს იტალიური სიტყვისგან და სავაჭროს ნიშნავს.

აღსანიშნავია რომ ეკონომიკური აზრის ისტორიაში გამოყოფენ გვიანდელ და ადრინდელ მერკანტილიზმს, რომელიც ერთმანეთისაგან გარკვეულ წილად განსხვავდებიან. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

1) ადრინდელი მერკანტილიზმი - ადრინდელი მერკანტილიზმი მოქმედებდა XV - XVI სს. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც ვაჭრობა ქვეყნებს შორის ჯერ სუსტად იყო განვითარებული და მხოლოდ თანდათანობით იკრებდა ძალებს. ადრინდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლები იყვნენ **ნიკოლო მაკიაველი (1554 - 1612), ჟან ბოდენი (1530 - 1596) და უილიამ სტაფორდი (1554 - 1612)**. ადრინდელი მერკანტილიზმი ცნობილია იმით რომ მან შექმნა ,,ფუალდი ბალანსის'' თეორია, რომელიც შემდეგ ძირითად პრინციპებს ემყარება:

ა) საექსპორტო საქონელზე მაღალი ფასების დაწესება, რაც შესაბამისად საქონლის საზღვარგარეთ რეალიზაციის შედეგად უზრუნველყოფს ექსპორტიორ ქვეყანაში ფულის დიდი რაოდენობით შემოდინებას.

ბ) საიმპორტო საქონლის ყოველმხრივი შეზღუდვა, რაც შესაბამისად საქონლის შემოდინების შეზღუდვის შედეგად უზრუნველყოფს ფულის ერთი ქვეყნიდან სხვა მეორე ქვეყანაში არ გადინებას.

გ) ქვეყნიდან ძვირფასი ლითონების (ოქრო და ვერცხლი) გატანის მკაცრი შეზღუდვა.

2). გვიანდელი მერკანტილიზმი - გვიანდელი მერკანტილიზმი მოქმედებდა XVI - XVII სს. ეს იყო ის პერიოდი, როდესაც სავაჭრო კავშირები ქვეყნებს შორის ძლიერდება და რეგულარულ ხასიათს ღებულობს. გვიანდელი მერკანტილიზმის წარმომადგენლები იყვნენ **ანტონიო სერა (1580 - 1650), ჯონ ჰეილსი (1584 - 1656), თომას მენი (1571 - 1641), ანტუან დე ვეტევილ მონკრეტიენი და ჯან ბატისტ კოლბერი (1619 - 1683).** გვიანდელი მერკანტილიზმი ცნობილია იმით რომ მან ,, სავაჭრო ბალანსის" თეორია შექმნა, რომელიც შემდეგ ფუძემდებლურ პრინციპებს ეფუძნება:

ა) იაფი საქონლით საგარეო ბაზრის დაუფლება და სხვა ქვეყნის საქონლის, რომელიმე სხვა ქვეყანაში გაყიდვა.

ბ) იმპორტული საქონლის შემოდინების დაშვება (ფუფუნების საგნების გარდა) და აქტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება.

გ) ძვირფასი ლითონების (ოქრო და ვერცხლი) ქვეყნიდან ხელსაყრელი სავაჭრო გარიგების საფუძველზე გატანა, აქტიური სავაჭრო ბალანსის შენარჩუნება.

ამგვარად ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ მერკანტილიზმი, იქნება ეს გვიანდელი თუ ადრინდელი, ქვეყნის სიმდიდრის წყაროდ მიიჩნევს ფულს და ვაჭრობას ე.ი. მიმოქცევის სფეროს. ამავე დროს მერკანტილიზმი ეკონომიკური პოლიტიკის სახელმძღვანელო პრინციპად პროტექციონიზმს აღიარებს. აღნიშნული ეკონომიკური მოძღვრების აზრით ეკონომიკური სიძლიერე მხოლოდ სამთავრობო ჩარევით ე.ი. ეკონომიკის მკაცრი პროტექციით მიიღწევა.

მერკანტილიზმი ეკონომიკური პროცესების ანალიზის დროს მკაცრი ემპირიზმით შემოიფარგლება, რაც ეკონომიკურ პროცესების მხოლოდ აღწერით ხასიათს იწვევს და შესაბამისად სიღრმისეული ანალიზის ნაკლოვანებებს განაპირობებს.

მერკანტილიზმს საქონლის და მომსახურების ღირებულება ქვეყანაში ძვირფასი ლითონების რაოდენობის საფუძველზე გამოჰყავს ე.ი. იგი საქონლის და მომსახურების ღირებულებას ძვირფასი ლითონების რაოდენობას და მის მერყეობას უკავშირებს.

ხოლო ფულის თეორიის სფეროში მერკანტილიზმი ფულის რაციონალისტური თეორიის მომხრეა ე. ი. აღნიშნულ ეკონომიკური მოძღვრება ფულს საზოგადოებაში შეთანხმების, ხელშეკრულების შედეგად წარმოქმნილ მოვლენად მიიჩნევს და აღიარებს ეროვნული სიმდიდრის ზრდის ფაქტორად.

მაგრამ ცნობილია რომ ეკონომიკური ცხოვრება, ეკონომიკურ იდეებთან შედარებით, რომლის წყაროდაც ეკონომიკური ცხოვრება გვევლინება, ერთ ადგილზე არ

დგას. იგი მუდმივად განიცდის სრულქმნას ტექნოლოგიური პროგრესისა და ტექნოლოგიური პროგრესის ხელშემწყობი მოვლენების საფუძველზე. აღნიშნული ეკონომიკური იდეების მოძველებას იწვევს ე.ი. დროთა გნმავლობაში პროგრესული იდეებიდან რეგრესულ იდეებად ჩამოყალიბებას. სწორედ ასე დაემართა მერკანტილიზმს. მან თავდაპირველად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა, მაგრამ შემდეგ როდესაც ეკონომიკურმა ცხოვრებამ შექმნა ნიადაგი ახალი ეკონომიკური იდეებისთვის, მერკანტილზმმა ვარდნა დაიწყო, რაც იმის მანიშნებელი იყო რომ სრულიად ახალ ეკონომიკურ იდეებს ეხსნებოდა გზა და შესაბამისად ახალ ეკონომიკურ სკოლას, რომელიც ეკონომიკური აზრის ისტორიაში **კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის** სახელით არის ცნობილი.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია - არის ეკონომიკური აზრის მიმართულება, რომელიც წარმოიშვა ფეოდალიზმის რღვევისა და მის ადგილას კაპიტალიზმის აღმოცენების შედეგად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გულისხმობს რომ ეკონომიკური ზრის ზემოთაღნიშნული მიმართულება სათავეს იღებს კაპიტალიზმის აღმოცენებისა და განვითარების შედეგად.

კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ანალიზი მოგვცა და მისი განვიათარების მიზნით რეკომენდაციები შეიმუშავა.

აღსანიშნავია რომ ეკონომიკური აზრის აღნიშნული მიმართულება ეკონომიკური პოლიტიკის მთავარ პრინციპად ეკონომიკურ ლიბერალიზმს თვლის, რომელიც ,,laissez faire'' -ში პოულობს თავის გამოხატულებას და ნიშნავს სახელმწიფოს სრულ ჩაურევლობას ქვეყნის სამეურნეო ცხოვრებაში ე.ი. ეკონომიკურ ცხოვრებაში.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ეკონომიკური ანალიზის საგანი არის წარმოების სფერო, რომლის შესწავლის პროცესში იგი იყენებს ანალიზის ისეთ მეთოდებს როგორიცაა ანალიზის კაუზალური (მიზეზ -შედეგობრივი) მეთოდი, დედუქციური და ინდუქციური მეთოდი და აგრეთვე ლოგიკური აბსტრაქციის მეთოდი.

ეკონომიკური აზრის აღნიშნულ მიმართულებას საქონლის და მომსახურების ღირებულება მათ წარმოებაზე დახარჯული შრომის რაოდენობით გამოჰყავს ე.ი. იგი ღირებულების ცნებას შრომითი ღირებულების თეორიის საფუძველზე განმარტავს.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის თანახმად სიმდიდრის წყაროდ აღიარებულია წარმოება და მასასადამე ეროვნული სიმდიდრის გადიდების საკითხი ამ ეკონომიკურ სკოლას მხოლოდ წარმოების ცნების საფუძველზე ესმის და განმარტავს.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, ფულის თეორიის კონტექსტში , ფულის ევოლუციონისტური თეორიის მომხრეა ე.ი. აღნიშნულ ეკონომიკურ სკოლას ფულის წამოშობის მოვლენა გამოჰყავს საქონლის და მომსახურების გაცვლა - გამოცვლის აღმოცენების და განვითარების საფუძველზე და შესაბამისად მიიჩნვეს რომ ფული არის ნივთი, რომელიც საქონლისა და მომსახურების გაცვლა - გამოცვლის პროცესს აადვილებს.

კლასიკური პოლიტიკური ეკონომია, ეკონომიკური წონასწორობის საკითხში, მიიჩნევს რომ ეკონომიკის სტაბილიზაციისთვის, მისი წონასწორული მდგომარეობისათვის, საკმარისია ბაზარი და შესაბამისად სახელმწიფო არ უნდა ერეოდეს ეკონომიკური წონასწორობის საკითხში.

ზემოთაღნიშნული ეკონომიკური სკოლის წარმომადგენლები არიან ისეთი ეკონომისტები **როგორიცაა: „პოლიტეკონომიის კოლუმბი" უილიამ პეტი (1623 - 1687), პიერ ბუაგილბერი (1646 - 1714), ჯონ ლოკი (1632 - 1704), დევიდ იუმი (1711 - 1776), რიჩარდ კანტილიონი (1680 - 1734), პერ ნიკალას ქრისტიენსენი (1725 - 1799), ფრანსუა კენე (1694 - 1774), ანრი რობერტ ჟაკ ტიურგო (1727 - 1781), დევიდ რიკარდო (1722 - 1823) და „შოტლანდიელი ბრძენი" ადამ ამითი (1723 - 1790),** რომლის შესახებაც ჩვენ დაწვრილებით გვექნება საუბარი.

1.2 ადამ სმითი (1723 – 1790)

აღსანიშნავია რომ მიუხედავა ამდენი ნიჭიერი და ღრმად განსწავლული მეცნიერისა, რომელნიც ერთიანდებიან კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის გარშემო, განსაკუთრებული ყურადღება მაინც შოტლანდიელ ეკონომისტს ადამ სმითს ეკუთვნის.

ადამ სმითი დაიბადა 1723 წლის 5 ივნისს შოტლანდიაში, ქალაქ კერკოლდში, რომელიც ქალაქ ედინბურგიდან შვიდი მილის დაშორებით მდებარეობს. აღნიშნული ქალაქი გაშენებულია ზღვის პირას და ადამ სმითის დაბადების დროს იგი უკვე გამოირჩეოდა მრეწველობის და ვაჭრობის განვითარებით,

ადამ სმითის მამა პროფესიით ვექილი იყო, რომელიც შემდეგ შოტლანდიის საჯარო მოხელე გახდა, კერძოდ, სამხედრო სისტემის მოხელე და საბაჟო კონტროლიორი. იგი ადამ სმითის დაბადებამდე სამი თვით ადრე გარდაიცვალა. ხოლო დედა მდიდარი და გავლენიანი ოჯახის წარმომადგენელი იყო. ადამ სმითი სწორედ დედამ აღზარდა, რომლის მიმართ ეკონომისტი , მთელი თავისი სიცოცხლის მანძილზე დიდ პატივისცემას და მადლიერებას გამოხატავდა.

ადამ სმითმა დაწყებითი განათლება შოტლანდიაში მიიღო, ქალაქ კერკოლდის სკოლაში, რომელიც იმ დროისთვის კარგი რეპუტაციით სარგებლობდა. მან უკვე აქ გამოავლინა მიდრეკილება წიგნის კითხვის და არაჩვეულებრივი მეხსიერების მიმართ და ამავე დროს დაბნეულობის მიმართ, რომელიც ღრმა აზროვნების სიყვარულით იყო გამოწვეული.

1737 წელს ადამ სმითი 14 წლის ასაკში ქალაქ კერკოლდის საშუალო სკოლიდან სასწავლებლად წავიდა ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტში. აღნიშნულ უმაღლეს სასწავლებელში მან შეისწავლა ისეთი სამეცნიერო დისციპლინები როგორიცაა: ზნეობის ფილოსოფია, ეთიკა, მათემატიკა, იურისპრუდენცია, პოლიტიკური ეკონომია და აგრეთვე იგი ეთიკის პროფესორის ფრენსის ჰუთჩენსონის დიდი ზეგავლენის ქვეშ მოექცა.

ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტში ადამ სმითის გონებრივი შესაძლებლობები უმალვე შემჩნეული იქნა პროფესორების მიერ და აქედან გამომდინარე მან მიიღო სტიპენდია, რომელიც დაწესებული იყო ერთ -ერთი გლაზგოელი ვაჭრის მიერ.

1740 წელს ადამ სმითმა დაამთავრა ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტი და წავიდა სასწავლებლად ინგლისში, ოქსფორდის უნივერსიტეტში, რომელიც იმ დროისთვის პოლიტიკური თამაშების ასპარეზს წარმოადგენდა რაც, სასწავლო პროცესზე , ცოდნის შეძენის მხრივ, ცუდს ზეგავლენას ახდენდა. მიუხედავად იმისა რომ აღნიშნულ უნივერსიტეტში მან მიიღო გარკვეული ცოდნა და გამოცდილება, კერძოდ, შეისწავლა უცხო ენები, ფილოსოფია, გაეცნო ბერძნულ და ლათინურ ლიტერატურას, იგი მაინც ყოველთვის უარყოფით შეფასებას აძლევდა ოქსფორდის უნივერსიტეტს. იგი ამასთან დაკავშირებით წერს: ,,ჯანსაღი გონების მქონე ადამიანისთვის, ძალზედ ძნელი უნდა იყოს იმის გაცნობიერება რომ ლექციები, რომელსაც უკითხავს სტუდენტებს, სისულელეა ან წარმოადგენს სისულელესთან ახლო მდგომს. უსიამოვნო უნდა იყოს აგრეთვე იმის ხილვა რომ მსმენელების დიდი ნაწილი ლექციებზე არ დადის ან უსმენს ლექციებს და დასცინის მათ... იმის მაგივრად რომ მან თვითონ აუხსნას მსმენელს ის მეცნიერება, რომელსაც იგი ასწავლის, მას შეუძლია იგი წაიკითხოს წიგნიდან ან თუ ეს წიგნი დაწერილია მკვდარ და უცხო ენაზე, გადაათარგმნინოს იგი, და ასე მას შეუძლია წარმოიდგინოს რომ უკითხავს მსმენელს ნამდვილ ლექციებს. ყველაზე მწირი შემეცნების და შრომის საფუძველზე მას შეუძლია შეასრულოს საკუთარი ამოცანა ისე რომ არ გამოიწვიოს მსმენელის დაცინვა და არ დადგეს სისულელის საუბრის აუცილებლობის წინაშე. ამავე დროს სასწავლებელში დამკვიდრებული სიმკაცრე, მას საშუალებას აძლევს აიძულოს მსმენელი რომ იაროს ეგრედწოდებულ ლექციებზე და მათი კითხვის გაგრძელების დროს თავი მცოდნე ადამიანად წარმოაჩინოს".[1]

ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლის დროს ადამ სმითი გაკიცხეს დევიდ იუმის ნაშრომის ,, ტრაქტატი ადამიანური ბუნების შესახებ'' კითხვის გამო, რამაც გამოიწვია ის

[1] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 23 - 24.

რომ იგი 1746 წელს იძულებული გახდა შოტლანდიაში, ქალაქ კერკოლდში დედასთან დაბრუნებულიყო, სადაც იგი ორი წელი დარჩა და 1748 წელს ქალაქ ედინბურგში გაემგზავრა. ქალაქ ედინბურგში ერთი ცნობილი ლორდის მფარველობის დახმარებით მან საჯარო ლექციების კითხვა დაიწყო. ამ პერიოდის განმავლობაში იგი დაუმეგობრდა მრავალ ადამიანს და მათ შორის დევიდ იუმს, რომელიც ,მთელი სიცოცხლის მანძილზე, ეკონომისტის ყველაზე ახლო მეგობარი, კრიტიკოსი და ჭკუის დამრიგებელი გახდა.

1748 წელს ქალაქ ედინბურგის უნივერსიტეტმა ადამ სმითი ლექციების წასაკითხად მოიწვია. აქ ის ერთ -ერთი მოწინავე პროფესორი გახდა. აღნიშვნის ღირსია რომ სწავლულის განსაკუთრებული ინტერესის გამოვლინება, პოლიტიკური ეკონომიის მიმართ, სწორედ ამ დროს უკავშირდება.

ქალაქ ედინბურგის უნივერსიტეტში ადამ სმითმა კარგი პროფესორის სახელი დაიმკვიდრა და შესაბამისად 1751 წელს იგი მიწვეული იქნა ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტის მიერ ლოგოკის პროფესორად და ოთხი წლის შემდეგ აგრეთვე არჩეული იქნა მორალის ფილოსოფიის პროფესორად. აქ იგი კითხულობდა ლექციებს ისეთ დისციპლინებში როგორიცაა: თეოლოგია, ეთიკა, სამართალი და სოფლის მეურნეობის მართვის საკითხები.

აღსანიშნავია რომ ადამ სმითმა 1751 - 1758 წლებში დაწერა თავის პირველი ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა ,, ასტრონომიის ისტორია".

1759 წელს ადამ სმითმა გამოსცა თავის მეორე ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა ,, ზნეობრივი გრძნობების თეორია". აღნიშნულმა ნაშრომმა მას წარმატება მოუტანა, რაც ნათლად ჩანს დევიდ იუმის, ადამ სმითისადმი, მიწერილ წერილში, რომელიც მან მისი წიგნის გამოსვლის შემდეგ მისწერა. აღნიშნული წერილი შემდეგი შინაარსის მატარებელია: ,,მე ვყოყმანობდი დამეწერა თქვენთვის წერილი, მანამდე სანამ არ ვიქნებოდი ისეთ მდგომარეობაში რომ მეცნობებინა თქვენთვის რაიმე თქვენი წიგნის წარმატების შესახებ და გარკვეული ალბათობით მეწინასწარმეტყველა ის რომ ეღირსება

მას ბოლოს და ბოლოს სამუდამო დავიწყება თუ პირიქით, მოხვდება უკვდავების ტაძარში. მიუხედავად იმისა რომ წიგნის გამოცემიდან გასულია სულ რაღაც რამოდენიმე კვირა, მე მაინც ვფიქრობ რომ უკვე გამოვლინდა სერიოზული სიმპტომები, რომლის საფუძველზეც მე შემიძლია ვიწინასწარ,ეტყველო მისი ბედი... - აქ წერილი წყდება და შემდეგ გრძელდება - ...მაგრამ რა კავშირი აქვს ამ, ყველაფერს ჩემს წიგნთან იტყვით თქვენ? ჩემო ძვირფასო სმით გქონდეთ მოთმინება, დაწყნარდით, მაჩვენეთ რომ თქვენ ისეთივე ფილოსოფოსი ხართ საქმეში, როგორც თეორიაში; არ დაგავიწყდეთ ჩვეულებრივი ადამიანების სიცარიელის, მიუხვედრილობის და სუსტაზროვნების შესახებ, განსაკუთრებით ფილოსოფიურ საკითხებში, რომელიც ზეეაღმატებულია მასების მიერ მათი გაგების შესაძლებლობაზე. ამა თუ იმ ბრძენი კაცის ჭეშმარიტი მსაჯული არის მისი საკუთარი ნამუსი, და თუ ოდესღაც ის მიმართავს სხვა ადამიანებს აზრისთვის, მიმართავს ისეთი ადამიანების აზრს , რომელნიც გამორჩეულნი არიან, და შეუძლიათ მისი შრომის შეფასება. ცნობილი მსჯელობის მცდარობის ყველაზე ზუსტი ნიშან - თვისება შესაძლებელია იყოს ბრბოს დათანხმება და ფოკიონს, იცით თქვენ, ყოველთვის შეჰქონდა ეჭვი საკუთარი თავის მიერ რაღაცის მოუფიქრებლობაში, როდესაც ბრბო აღტაცებით ხვდებოდა მის სიტყვებს... ახლა იმის იმედათ რომ ყველა ამ მსჯელობით თქვენ გაიმაგრეთ საკუთარი თავი შესაბამისი წესით, და ,მზად ხართ წყნარად მოისმინოდ ნებისმიერი აზრი თქვენს წიგნზე, მე ვალდებული ვარ მოგახსენოდ სამწუხარო ამბავი: თქვენი წიგნი ძალზედ უბედური აღმოჩნდა, რადგან საზოგადოება მიდრეკილია გადაჭარბებულად შეაქოს იგი. მას მოუთმენლად ელოდნენ სულელები, ხოლო ლიტერატურული მელანი უკვე იწყებს მის ხმამაღლა ქებას. მილერის ჯიხურში შემოსული იყო სამი ეპისკოპოსი, რათა შეეძინად წიგნი და კითხულობდნენ ავტორის შესახებ. ეპისკოპოსი პიტერბორო ჰყვებოდა რომ წრეში, სადაც მან გაატარა საღამო, ამ წიგნს თვლიან ყველაზე მნიშვნელოვან წიგნად, სხვა წიგნებთან შედარებით. არგილელი ჰერცოგი გადაწყვეტით ლაპარაკობს ამ წიგნის სასარგებლოდ, იმასთან შედარებით

როგორც ეს ჩვეულებრივ მას სჩვევია... ლორდი ლიტელტონი საუბრობს რომ რობერტსონი, სმითი და ბაუერი ქმნიან ინგლისური ლეტერატურის განთქმულობას''.[2]

1764 წელს ადამ სმითმა მიატოვა პროფესორობა და წამოვიდა ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტიდან, სადაც იგი ცამეტი წელი მოღვაწეობდა. ეს ძალიან დიდი ტრაგედია იყო ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტისთვის. ამაზე მეტყველებს დადგენილება ვაკანტური ადგილის გახსნის შესახებ, რომლის პროტოკოლებში წერია: ,, უნივერსიტეტს არ შეუძლია თავის შეკავება მწუხარების გამოხატვის საკითხში, დოქტორი სმითის წასვლასთან დაკავშირებით, რომლის ცნობილმა გულწრფელობამ და მშვენიერმა სულიერმა თვისებებმა მოუტანეს მას მეგობრების სიყვარული და პატივისცემა. არაჩვეულებრივი გენიოსი, რომლის დიდი შესაძლებლობები და ნაკითხობა უნივერსიტეტს ღირსებას უქმნიდნენ''.[3] აღნიშნული მდგომარეობა იმით აიხსნება რომ იგი კარგი ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დათანხმდა ახალგაზრდა ბაკლიუს ჰერცოგის მეურვეობას საფრანგეთში მოგზაურობის დროს. აღსანიშნავია რომ ამის შესახებ ჯერ კიდევ დევიდ იუმი წერდა, როდესაც მან 1759 წელს ადამ სმითს მისწერა წერილი მის ნაშრომთან დაკავშირებით, რომლის სახელწოდებაა ,,ზნეობრივი გრძნობების თეორია". აღნიშნული წერილიდან გამოსაყოფია შემდეგი მონაკვეთი: ,,...კარლ ტოუსენდი, რომელიც ითვლება ინგლისში პირველ ჭკვიან ადამიანად, ისეა აღფრთოვანებული თქვენი წიგნით, რომ ოსვალდის სიტყვების თანახმად, აქვს სურვილი წიგნის ავტორს დაავალოს ბაკლიუს ჰერცოგის აღზრდა და მზად არის შესთავაზოს მას ისეთი პირობები, როგორსაც ისურვებს''.[4]

ადამ სმითი საფრანგეთში ყოფნის დროს ფიზიოკრატების შეკრებებს ესწრებოდა, სადაც მან ფრანსუა კენე და ანრი რობერტ ჟაკ ტიურგო გაიცნო. აგრეთვე გაიცნო ნეკერი, ჰელვეციუსი და აბატი მორელე. ამავე დროს ე.ი. საფრანგეთში ყოფნის დროს მან დაიწყო მუშაობა თავის ეკონომიკურ ნაშრომზე, რომლის სახელწოდებაა ,, გამოკვლევა ხალხთა

[2] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 28 - 29.
[3] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 29.
[4] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 29.

სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ''. ამასთან დაკავშირებით იგი დევიდ იუმს წერდა: ,, ჰერცოგს არ ჰყავს არც ერთი ნაცნობი, ფრანგების გარდა, მე კი არ შემიძლია ახლო გავიცნო ისინი, ვისაც მე უკვე ვიცნობ, რადგან არ შემიძლია ისინი ჩემთან დავპატიჟო და მეც ყოველთვის არ ვარ თავისუფალი რომ მათთან წავიდე. ცხოვრება , რომელსაც მე ვეწეოდი გლაზგოში, იმასთან შედარებით თუ როგორც ვცხოვრობ ახლა მე, იყო დროის სასიამოვნო გატარება. რათა მოვკლა დრო მე დავიწყე წიგნის წერა".[5]

1766 წელს ადამ სმითი დაბრუნდა ინგლისში, ქალაქ ლონდონში და შემდეგ წავიდა შოტლანდიაში ქალაქ კერკოლდში, სადაც მან ათი წელი გაატარა. ამ პერიოდს კარგად აღწერს ადამ სმითის ცხოვრების და მოღვაწეობის რუსი მკვლევარი ვ.ი. იაკოვენკო. იგი წერს ამასთან დაკავშირებით შემდეგ სიტყვებს: ,, ხმაურიანი პარიზის შემდეგ, სმითი გადაიხვეწა მშობლიურ კერკოლდში და იცხოვრა იქ მთელი ათი წელი. მან შეაგროვა ბევრი მასალა. აუცილებელი იყო მისი დამუშავება. რათქმაუნდა მას უკვე ჰქონდა სახელმძღვანელო აზრები. ახლა იგი არ იჯდა და არ იგონებდა მათ, მაგრამ რაღაც მცირეწონიან ტრაქტატს კი არ წერდა იგი ახლა. ის ამზადებდა ნაშრომს, რომელსაც მოუწევდა გაბატონებული სისტემის დამხობა, რომელიც საუკუნეების განმავლობაში მიიღებოდა როგორც უტყუარი ჭეშმარიტება'' [6] . მართლაც 1776 წელს ,ავტორის სიცოცხლეშივე, გამოვიდა ეკონომიკური ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ", რომელმაც მას როგორც სიცოცხლეში ისე გარდაცვალების შემდეგ დიდი აღიარება მოუტანა. ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ავღნიშნოთ ის რომ მისი მეგობარი დევიდ იუმი, რომელიც არც თუ ისე კარგად შეხვდა ,,ზნეობრივი გრძნობების თეორიას'' , ახლა უკვე ე.ი. ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების სესახებ'' გამოსვლის შემდეგ, ვერ მალავდა თავის აღფრთოვანებას და წერდა მას: ,,Euge! Belle! ჩემო ძვირფასო სმით, მე კმაყოფილი ვარ თქვენი შრომით. მისი კითხვის დროს, მე განვთავისუფლდი მოუსვენრობისგან... - და შემდეგ აგრძელებს - და თუ ახლა მე ეჭვი მეპარება რომ ის თავიდანვე გახდება

[5] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 31.
[6] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 31 - 32.

პოპულარული წიგნი, მხოლოდ იმიტომ რომ მისი კითხვა აუცილებლად მოითხოვს დიდ ყურადღებას''[7]. აღსანიშნავია რომ დევიდ იუმის ეს წინასწარმეტყველება მართლაც გამართლდა, რამე თუ მისი ეს ეკონომიკური ნაშრომი შემჩნეული იქნა იმ დროისთვის ინტელექტით და პროგრესული იდეებით გამორჩეული ადამიანების მიერ.

1784 წელს გარდაიცვალა ადამ სმითის დედა, რომელიც მას ძალიან უყვარდა და დიდ პატივს სცემდა. დედის სიკვდილმა მასზე ნეგატიური ზემოქმედება მოახდინა. მდგომარეობას ართულებდა ისიც რომ იგი უკვე მოხუცებული იყო.

1787 წელს ადამ სმითი ქალაქ გლაზგოს უნივერსიტეტმა საპატიო რექტორად აირჩია . იგი ძალზედ გახარებული იყო ასეთი ყურადღებით. ამასთან დაკავშირებით იგი წერდა: ,, ვერანაირ ზრდას წოდებებში, არ შეძლო მოეტანა ჩემთვის ასეთი სრული და ნამდვილი კმაყოფილება. არ არსებობს ადამიანი, რომელიც ვალდებული იქნებოდა რომელიმე დაწესებულების წინაშე, როგორც მე ვარ ვალდებული გლაზგოს უნივერსიტეტის წინაშე. მან აღმზარდა მე. მან მე გამგზავნა ოქსფორდში სასწავლებლად. შემდეგ როდესაც დავბრუნდი შოტლანდიაში მან მე ამირჩია თავის წევრად და მიბოძა კათედრა, რომელიც ჰუთჩენსონის შესაძლებლობების წყალობით გამოირჩეოდა დიდი ცნობადობით. ჩემი პროფესორული საქმიანობის ამ 30 წელს, ვიხსენებ, როგორც ყველაზე სასარგებლოს, შესაბამისად ყველაზე ბედნიერ და ყველაზე საპატიო წლებად ჩემს ცხოვრებაში. ახლა აზრი იმის შესახებ რომ ჩემმა ძველმა მეგობრებმა და მფარველებმა გამიხსენეს მე ასეთნაირად, ჩემი ოცდასამწლიანი არყოფნის შემდეგ, მანიჭებს მე სიხარულს, რომლის წყნარად გაზიარება თქვენთვის არ შემიძლია''.[8]

ადამ სმითი გარდაიცვალა 1790 წელს, 67 წლის ასაკში კუჭ - ნაწლავის დაავადების შედეგად. იგი დაგრძალეს იმავე სასაფლაოზე, სადაც მანამდე დაგრძალული იქნა მისი ცხოვრების ყველაზე კარგი მეგობარი და ამავე დროს მისი ყველაზე კარგი კრიტიკოსი დევიდ იუმი.

[7] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 33.
[8] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 38.

ცხადია ადამ სმითის ასე ცალკე გამოყოფა, მისი სიცოცხლის და მოღვაწეობის განხილვა არ ნიშნავს იმას რომ თითქოს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლებს არ ჰქონდეთ განხორციელებული ფასდაუდებელი შრომა, ისეთ საკითხში როგორიცაა ეკონომიკის კვლევა და განვითარება, მაგრამ ადამ სმითი ითვლება აღნიშნული ეკონომიკური სკოლის ყველა დროის თვალსაჩინო წარმომადგენლად. ამაზე მეტყველებს ადამ სმითის ,ცხოვრებისა და მოღვაწეობის, ეკონომისტების და არაეკონომისტების შეფასებები.

ადამ სმითის თანამედროვე აბატი მორელე, რომელიც ადამ სმითმა გაიცნო საფრანგეთში ყოფნის დროს, მასზე შემდეგ სიტყვებს წერს: ,,მე სმითი საფრანგეთში გავიცანი მისი მოგზაურობის დროს 1762 წელს. ის ძალზედ ცუდად ლაპარაკობდა ფრანგულად, მაგრამ მისი ,,ზნეობრივი გრძნობების თეორიის'' საფუძველზე, მე გამაჩნდა მისი გონების მაღალი შეფასება. მართლაც, დღევანდელობის ჩათვლით, მე ვუყურებ მას როგორც, კვლევის და დაკვირვების ერთ - ერთ ადამიანს, რომელიც შესაძლებელია ჩათვალო სრულყოფილი, ყველა საკითხში, რომლითაც ის იყო დაკავებული. ტიურგო, რომელსაც ჩემზე არანაკლებ უყვარს ფილოსოფია, დიდად აფასებს მის ნიჭს. ჩვენ რამოდენიმეჯერ გვყავდა ნანახი იგი. ის წარდგენილი იქნა ჰელვეციუსისთვის''.[9]

ინგლისელი ისტორიკოსი და სოციოლოგი თომას ბოკლი, ნაშრომში ,,ცივილიზაციის ისტორია ინგლისში'', ადამ სმითის შესახებ წერს შემდეგ სიტყვებს: ,,სახეზეა რა მისი საბოლოო შედეგი, შეიძლება ითქვას რომ ,,ხალხთა სიმდიდრე'' ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანი წიგნია, რაც კი ოდესმე დაწერილა და უეჭველად ერთი კაცის მიერ ყველაზე ძვირფასი შესაწირია იმ პრინციპების დამკვიდრებაში, რომელთაც მმართველობა უნდა ეფუძნებოდეს''.[10] შემდეგ ის აგრძელებს თავის ნააზრევს და ამბობს ეკონომისტზე შემდეგ სიტყვებს: ,,ის რაც ამ მარტოხელა შოტლანდიელს ერთი წიგნით აქვს ადამიანის საბედნიეროდ გაღებული, უფრო მეტი შეწირულობაა ვიდრე ეს იმ

[9] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 31.
[10] სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები., ინოვაცია., თბილისი 2010., გვ. 179.

სახელმწიფო მოღვაწეთა და კანონმდებელთა გაერთიანებულ ნიჭს შეეძლო გაეკეთებინა''.[11]

ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი კენეტ ბოულდინგი, ადამ სმითის შესახებ წერს შემდეგ სიტყვებს: ,,თანამედროვე ეკონომიკური თეორია იღებს მემკვიდრეობას ,,ხალხთა სიმდიდრისგან'' და ადამ სმითისგან''. [12] ხოლო ამერიკელი ეკონომისტები რობერტ ჰელბრონერი და ლესტერ ტუროუ ავითარებენ შემდეგ აზრს: ,,რათა გავიგოთ ეკონომიკის, როგორც მეცნიერების ძირითადი მიზანი, უმჯობესია მივმართოდ სამი უდიდესი ეკონომისტის ადამ სმითის , კარლ მარქსის და ჯონ მეინარდ კეინზის ნაშრომებს''.[13]

ამერიკელმა ეკონომისტმა მარკ სკოუსენმა დაწერა შრომა, რომლის სახელწოდებაა ,,დიდი სამეული ეკონომიკაში: ადამ სმითი, კარლ მარქსი და ჯონ მეინარდ კეინზი'' , სადაც დადებითად აფასებს ამ სამ ეკონომისტს და მათ ეკონომიკური მეცნიერების მამებს უწოდებს. ხოლო რუსი ეკონომისტი ვ.ს აფანასიევი გამოთქვამს შემდეგ მნიშვნელოვან აზრს: ,,დროთა განმავლობაში სმითის შრომა იქცა ხალხთა ნამდვილ სიმდიდრეთ. ადამ სმითის ,, ხალხთა სიმდიდრის'' მსგავსი ნაშრომები ჩნდება 100 წელში ერთხელ. XIX საუკუნისთვის ასეთი იყო კარლ მარქსის ,,კაპიტალი'' , ხოლო XX საუკუნისთვის ჯონ მეინარდ კეინზის ,, დასაქმების, პროცენტის და ფულის ზოგადი თეორია''.[14]

ადამ სმითის და მისი ინტელექტუალური მონაპოვრის დადებით შეფასებას არც საქართველოს ინტელექუალური ელიტა გამოაკლდა. ამის ყველაზე თვალსაჩინო და ნათელი მაგალითია ქართველი მწერლის და საზოგადო მოჭღვაწის, ილია ჭავაჭავაძის აზრი, რომელსაც იგი ავითარებს თავის ეკონომიკურ ნაშრომში ,, სატამოჟნო პოლიტიკა ეროპაში'' , რომელიც გამოქვეყნდა 1887 წელს. იგი ადამ სმითზე წერს შემდეგ სიტყვებს: ,,ფრიტრედერულმა მოძღვრებამ ფეხი აიდგა ევროპაში ადამ სმითის მეცადინეობითა.

[11] სილაგაძე ა., ეკონომიკური დოქტრინები., ინოვაცია., თბილისი 2010., გვ. 179.
[12] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.
[13] ხარიტონაშვილი ჯ., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები I ნაწ., საქპროფგამი., თბილისი 1997., გვ. 80.
[14] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.

ადამ სმითი მამამთვრად ითვლება საპოლიტიკო ეკონომიის მეცნიერებისა. რათქმაუნდა პირველ ხანებში ეს მოძღვრება თმას ყალყზე უყენებდა კაცობრიობას და კაცობრიობის სვებედის გამგებელთა, რომელთაც ჩვეული ჭირი ურჩევნია შეუმჩნეველს ლხინსა. მით ადამ სმითის მოძღვრებას ბევრი არ დააკლდა - რა და თანდათან უფრო ძლიერ ფეხს იკიდებდა''.[15]

ამგვარად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ ადამ სმითი ძალზედ დიდი ცნობადობით სარგებლობს სხვადასხვა დროის ეკონომისტებს და არა ეკონომისტებს შორის. მისი ასეთი დიდი ცნობადობა გამოწვეულია იმით რომ იგი უფრო შორს წავიდა ეკონომიკური საკითხების გააზრებაში ვიდრე მისი თანამედროვე ეკონომისტები, რაც უთუოდ ჩანს მის ეკონომიკურ ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' , რომელმაც ავტორს ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებლის სახელი დაუმკვიდრა, რაზეც საუბრობს ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორი ჯემალ ხარიტონაშვილი თავის ეკონომიკურ სტატიაში ,, ადამ სმითი ეკონომიკური მეცნიერების ფუძემდებელი'' და რაზედაც საუბრობენ ცნობილი ამრიკელი ეკონომისტები, პოლ სამუელსონი და უილიამ ნორდჰაუსი, ეკონომიკური თეორიის სახელმძღვანელოში, სადაც წერენ შემდეგ სიტყვებს: ,,დღემდის განვითარებადი და ჯერ კიდევ მეტ -ნაკლებად ზუსტი მეცნიერებებიდან შორს მყოფი ეკონომიკა უძველესი და საპატიო საქმიანობაა. იგი ნამდვილად ადამ სმითისგან - ჩვენი ჭეშმარიტი ადამიანისგან - დაიწყო, რომელმაც 1776 წელს დაწერა თავისი უდიდესი ნაშრომი ,,ხალხთა სიმდიდრე''[16], რომელზეც ჩვენ აღნიშნული თავის შემდეგ ქვეთავში გვექნება საუბარი.

1.3 ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''

აღსანიშნავია რომ როდესაც ჩვენ ზემოთ განვიხილავდით ადამ სმითის ბიოგრაფიას, ჩვენს მიერ აღნიშნული იქნა რომ მან მთელი თავის მეცნიერული

[15]სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., თბილისი 14/2014., გვ. 62.
[16] სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ., ეკონომიკა ტ. I., თბილისი 2000., გვ. 19.

მოღვაწეობის პერიდში, დაწერა და გამოაქვეყნა სამი ნაშრომი, კერძოდ, ეს ნაშრომებია: **,,ასტრონომიის ისტორია''** , **,,ზნეობრივი გრძნობების თეორია'' და ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''**. აღნიშნული ნაშრომებიდან მას განსაკუთრებული პოპულარობა და უკვდავება მოუტანა ნაშრომმა **,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'',** რომელზეც ჩვენს ახლა გვექნება საუბარი.

ადამ სმითის ეკონომიკური ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' პირველად გამოცემული იქნა 1776 წელს და ამის შემდეგ კიდევ მრავალჯერ იქნა განმეორებით გამოცემული და აგრეთვე გადათარმნილი მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულზეც, ქართველი მეცნიერის და საზოგადო მოღვაწის, ფილიპე გოგიჩაიშვილის მიერ.

,,შოტლანდიელი ბრძენის'' ეს უთუოდ დიდი ეკონომიკური ნაშრომი შედგება ხუთი წიგნისგან და ერთად აღებული შეადგენენ ავტორის ენციკლოპედიური აზროვნების და დიდი ნიჭის გამოვლინებას. ეს ხუთი წიგნი, რომელიც საერთო ჯამში შეადგენს ნაშრომს ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', შემდეგი დასახელების და შინაარსის მატარებელია:

I წიგნი: ,, მიზეზი შრომის პროდუქტივობის გადიდებისა და წესი, რომლის მიხედვით შრომის პროდუქტი ბუნებრივად განაწილდება ხალხის სხვადასხვა კლასებს შორის'' - აღნიშნულ წიგნს ავტორი უძღვნის ეკონომიკის ძირითად საკითხებს და იძლევა პასუხს ისეთ კითხვებზე როგორიცაა: ,,რა ძირითადი შემადგენელი ნაწილებისგან შედგება ეკონომიკა როგორც სისტემა?'' და ,,როგორ მუშაობს ეკონომიკა?''

II წიგნი: ,,კაპიტალის რაობა, დაგროვება და გამოყენება'' - გამოკვლევის ეს მეორე წიგნი ავტორმა მიუძღვნა კაპიტალის რაობის ე.ი. მისი არსის, შემადგენლობის და გამოყენების ანალიზს.

III წიგნი: ,,სიმდიდრის სხვა და სხვა განვითარება სხვა და სხვა ხალხში'' - მისი დიდი გამოკვლევის ეს წიგნი მიძღვნილია მიწადმოქმედების და მრეწველობის, სოფელს და ქალაქს შორის ეკონომიკური ურთიერთობების ანალიზისადმი.

IV წიგნი: ,,პოლიტიკური ეკონომიის სისტემების შესახებ'' - გამოკვლევის ეს მეოთხე წიგნი მოიცავს სავაჭრო საკითხების ანალიზს და ეკონომიკური აზრის ისე მიმართულებების კრიტიკას როგორიცაა მერკანტილიზმი და ფიზიოკრატიზმი.

V წიგნი: ,,ხელმწიფის ან სახელმწიფოს შემოსავლების შესახებ'' - მისი დიდი გამოკვლევის ეს ბოლო, დამამთავრებელი ნაწილი მოიცავს სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ანალიზს და ადრეთვე მისი ფინანსური სისტემის ანალიზს.

ის თუ რისი თქმა უნდოდა ავტორს თავისი ხუთ წიგნიანი გამოკვლევის საფუძველზე, ნათლად ჩანს მისი ეკონომიკური თხზულების შესავალში, სადაც იგი წერს შემდეგ სიტყვებს: ,, ამგვარად ამ პირველი ოთხი წიგნის საგანია იმის გამორკვევა , თუ რაში მდგომარეობდა ხალხის მთავარი მასის შემოსავალი ან როგორი იყო იმ ფონდების ბუნება, რომლებიც სხვადასხვა ეპოქებს და სხვადასხვა ხალხებში აკმაყოფილებდა მათ წლიურ მოხმარებას. მეხუთე და უკანასკნელი წიგნი განიხილავს ხელმწიფის ანუ სახელმწიფოს შემოსავალს''.[17] ავტორის ამ ნათქვამიდან ლოგიკურად გამომდინარეობს რომ მისი ეკონომიკური შრომის ძირითადი მიზანი არის პასუხის გაცემა ისეთ საკითხებზე როგორიცაა: ,,როგორ იქმნება სიმდიდრე სხვადასხვა ხალხებში ?'' და ,,რა როლი აკისრია სახელმწიფოს სიმდიდრის შექმნის პროცესში ?''.

ადამ სმითმა თავის ეკონომიკურ ნაშრომში, ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', მოგვცა შემდეგი ეკონომიკური საკითხების ანალიზი:

1) სიმდიდრის ანალიზი

2) ფულის ანალიზი

[17] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 1938., გვ. 3.

3) ღირებულების ანალიზი

4) დოვლათის განაწილების ანალიზი

5) ვაჭრობის ანალიზი

6) ფასის ანალიზი

7) სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ანალიზი

იმისათვის, რათა ნათლად წარმოვაჩინოდ ,,შოტლანდიელი ბრძენის'' ინტელექტუალური მონაპოვარი, მოდით განვიხილოდ თითოეული მათგანი.

1.3.1 სიმდიდრის ანალიზი

კაპიტალიზმის აღმოცენებამ და განვითარებამ დღის წესრიგში დააყენა საკითხი იმის შესახებ თუ რა არის სიმდიდრე და მისი წარმოშობის ძირითადი წყარო, აგრეთვე რა ფაქტორები იწვევს სიმდიდრის გამრავლებას და მის შენარჩუნებას, რომელზეც გულმოდგინე ძიების შედეგად, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმოამდგენლებმა პასუხი წარმოების, როგორც სიმდიდრის წყაროდ აღიარებაში ნახეს, ხოლო წარმოების სრულყოფა კი აღიარეს როგორც სიმდიდრის გამრავლების წყაროდ. ამ მიმართულებით გამორჩეულია კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ისეთი წარმომადგენელი როგორიცაა ადამ სმითი.

მან საზოგადოებაში სიმდიდრის შექმნის წყაროდ დაასახელა წარმოება. ამის შესახებ იგი წერს შემდეგ სიტყვებს: ,,ყოველი ხალხის წლიური შრომა არის ის თავდაპირველი ფონდი, რომელიც აძლევს მას არსებობისთვის და კომფორტისთვის ყველა საჭირო საგანს, რასაც იგი მოიხმარს წლის განმავლობაში და რაც ყოველთვის შედგება ან ამ

შრომის უშუალო პროდუქტისგან ან და იმისგან რაც იმ ხალხის მიერ მიიღება ამ პროდუქტზე გაცვლით სხვა ხალხებისგან''.[18]

სიმდიდრის ზრდის და განვითარების წყაროდ მას ისეთი ფაქტორები მიაჩნია როგორიცაა წარმოების სრულქმნა და წარმოებაში ჩართული ადამიანების რაოდენობრივი მაჩვენებელი. ავტორის აზრით ეს ფაქტორები ამაღლებს შრომის მწარმოებლურობას და შესაბამისად ზრდის ხალხთა სიმდიდრეს. თუმცა ამავე დროს იგი აღნიშნავს რომ სიმდიდრის ზრდის ძირითადი წყარო არის მაინც წარმოების სრულქმნა, ვიდრე წარმოებაში დასაქმებული მუშახელის მაჩვენებელი. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,,ამ მომარაგების სიუხვე ან ნაკლებობა, როგორც ჩანს, დამოკიდებულია უფრო პირველ გარემოებაზე, ვიდრე მეორეზე. ველური - მოონადირე და მეთევზე - ხალხებში ყოველი ადამიანი, რომელსაც მუშაობა შეუძლია, მეტნაკლებად ეწევა სასარგებლო შრომას და ცდილობს შეძლებისამებრ მოიპოვოს არსებობის და კომპორტისთვის ყველა საჭირო საგანი თვით თავისთვის ან თავის ოჯახის და ტომის წევრებისთვის, რომლებსაც სიბერის, სინორჩის და უძლურების გამო არ შეუძლიად ნადირობა და თევზაობა. მაგრამ ასეთი ხალხები ისე საშინლად ღარიბნი არიან, რომ გაჭირვება მათ ხშირად აიძულებს - ან ყოველ შემთხვევაში ისინი ფიქრობენ, რომ გაჭირვება აიძულებს პირდაპირ დახოცონ თავიანთი ბავშვები, მოხუცები და ქრონიკული სენით დაავადებულნი, ანდა მიატოვონ ისინი უპატრონოდ შიმშილისგან სასიკვდილოდ ან ველური მხეცების მიერ შესაჭმელად''.[19]

წარმოების სრულქმნის ძირითად წყაროდ ადამ სმითს შრომის დანაწილება მიაჩნია, რომლის უპირატესობას და სარგებლიანობას დაუნაწილებელ შრომასთან შედარებით, ის გვიხსნის მანუფაქტურის ცნობილი მაგალითით, სადაც 10 მუშა დღეში აწარმოებს 48000 ქინძისთავს და ერთ მუშაზე მოდის 4800 ქინძისთავი, როდესაც მუშებს განცალკევებით რომ ემუშავად და შეესრულებინად ქინძისთავის წარმოებისათვის საჭირო ყველა საწარმო

[18] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 9.
[19] იქვე გვ. 9 - 10.

ოპერაცია, თითოეული მათგანი 20 ცალ ქინძისთავსაც ვერ აწარმოებდა. მისი აზრით შრომის დანაწილება იწვევს შემდეგ მნიშვნელოვან შედეგებს, შრომის მწარმოებლურობის და შესაბამისად შრომის ნაყოფიერების ზრდის კუთხით:

1). შრომის დანაწილების შედეგად ხდება ადამიანის სპეციალიზაცია კონკრეტული საწარმოო ამოცანის შესრულების მიმართულებით, რაც იწვევს ადამიანის დახელოვნებას.

2). შრომის დანაწილების შედეგად ადამიანი აღარ კარგავს დროს, ერთი საწარმოო ამოცანის შესრულებიდან მეორე საწარმოო ამოცანზე გადასვლის შუალედში.

3). შრომის დანაწილების შედეგად ადამიანები უფრო უკეთ იყენებენ და ავითარებენ მათ ხელთ არსებულ მანქანა - დანადგრებს.

ამგვარად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ ადამ სმითი სიმდიდრის წყაროდ თვლის წარმოებას, ხოლო სიმდიდრის გაფართოების წყაროდ მას მწარმოებლურობის ზრდა მიაჩნია, რომელიც წარმოების სრულქმნის საფუძველზე ხორციელდება, და რომლის ამოსავალ წერტილს შრომის დანაწილება წარმოადგენს. თუ ჩვენ შევადარებთ მის ნააზრევს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლების ნააზრევს, ჩვენ დავინახვათ რომ შოტლანდიელი ეკონომისტი ძალზედ წინ დგას აღნიშნული საკითხის გააზრების კონტექსტში.

1.3.2 ფულის ანალიზი

აღსანიშნავია რომ ფულის საკითხი, სხვა და სხვა დროს, ყოველთვის აქტუალური იყო. მაგრამ განსაკუთრებული აქტუალობა და ინტერესი ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის კვლევის მიმართ, წარმოიშვა კაპიტალიზმის აღმოცენების და განვითარბის დროს. აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანი კვლევა კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის წარმომადგენლებმა მოგვცეს. ამ წარმომადგენელთა შორის შოტლანდიელი ეკონომისტის ადამ სმითი კვლევაა გამორჩეული.

ფულის, როგორც ეკონომიკური კატეგორიის, წარმოშობის საკითხს ადამ სმითი უკავშირებს შრომის დანაწილებას და აგრეთვე ვაჭრობის აღმოცენებას და განვითარებას. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,, თითოეული გონიერი ადამიანი, საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურზე, უნდა ცდილიყო თავისი საქმეები ისე მოეწყო, რომ თავისი საკუთარი შრომის განსაკუთრებული პროდუქტების გარდა, ყოველთვის მზად ჰქონოდა ამა თუ იმ საქონლის განსაზღვრული რაოდენობა, რომლის მიმართ, მისი აზრით უარს არავინ არ იტყოდა აეღო თავისი მრეწველობის პროდუქტების სანაცვლოდ''.[20] შემდეგ ის წერს რომ სხვადასხვა ხალხებში სხვა და სხვა დროს ფულის როლს ასრულებდა სხვა და სხვა საქონელი, მაგრამ ბოლოს ადამიანები შეჩერდნენ საყოველთაო ეკვივალენტზე და ლითონებს უპირატესობა მიანიჭეს მათი გამოყენების კარგი თვისებების გამო. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,, როგორც ჩანს ყველა ქვეყანაში ადამიანები ბილოს და ბოლოს უცილობელი საბუთების გამო იმ გადაწყვეტილებას დაადგნენ რომ ამ მიზნისთვის ლითონებს უპირატესობა მიაკუთვნეს ყველა საქონელთან შედარებით. ლითონები არა თუ შეიძლება შენახული იქნეს ნაკლები დანაკარგით, ვიდრე რომელიმე სხვა საქონელი, ვინაიდან ძნელად რომ რომელსამე სხვა საგანს ქონდეს მათზე მეტი გამძლეობა, არამედ შეიძლება აგრეთვე უდანაკარგოდ მათი დაყოფა, სურვილებისამებრ მრავალ ნაწილად, ვინაიდან ადვილად შეიძლება მათი კვლავ შეერთება გადადნობის გზით''.[21]

ფულს ადამ სმითი მიმოქცევის ფუნქციას ანიჭებს და აგრეთვე მას ესმის ფულის, როგორც ღირებულების საზომის, გადახდის და მსოფლიო ფულის ფუნქციები, მაგრამ იგი მათ ფულის მიმოქცევის ფუნქციის ნაირსახეობებად თვლის. ხოლო რაც შეეხება ფულად ნიშნებთან დაკავშირებულ საკითხს, იგი ძვირფასი ლითონებით გამოხატულ ფულად ნიშნებთან შედარებით უპირატესობას ქაღალდის ფულით გამოხატულ ფულად ნიშნებს ანიჭებს და მიზანშეწონილად მიაჩნია ძვირფასი ლითონებით გამოხატული ფულის ქაღალდის ფულით შეცვლა.

[20] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 37.
[21] იქვე გვ. 37.

ამგვარად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ადამ სმითი ფულის ანალიზის საკითხში, იმ ისტორიული ეპოქის გათვალისწინებით, რომელშიც ის მოღვაწეობდა, საბოლო ჯამში მნიშვნელოვან შეხედულებებს იძლევა, რომელიც თავის აქტუალობას დღესაც არ კარგავს. მნიშვნელოვანია ის რომ იგი ფულის წარმოშობას ვაჭრობის განვითარებას უკავშირებს, რაც მას ფულის ევოლუციონისტური თეორიის წარმომადგენლის სახელს უმკვიდრებს. ხოლო ფულადი ნიშნების საკითხში იგი, ძვირფასი ლითონებით გამოხატულ ფულთან შედარებით უპირატესობას ქაღალდის ფულს ანიჭებს და ასე ფულის ნომინალისტური თეორიის წარმომადგენლად გვევლინება.

1.3.3 ღირებულების ანალიზი

კაპიტალიზმის აღმოცენებამ და მისმა განვითარებამ დღის წესრიგში საქონლის და მომსახურების ღირებულების ანალიზის საკითხი დააყენა, რადგან აღნიშნული ეკონომიკური სისტემა საქონელწარმოებას ანუ ისეთ წარმოებას ემყარება, როდესაც პროდუქტი არა საკუთარი მოხმარებისთვის იწარმოება, არამედ ბაზარზე რეალიზაციის მიზნით. წინამდებარე საკითხის მნიშვნელოვანი ანალიზი მოგვცა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ და განსაკუთრებით აღნიშნული ეკონომიკური სკოლის ისეთმა წარმომადგენელმა როგორიცაა ადამ სმითი.

ადამ სმითი ღირებულების ორ ფორმას გამოყოფს. პირველს იგი ,,სახმარ ღირებულებას'' უწოდებს, ხოლო მეორეს ,,საცვლელ ღირებულებას''. ,,სახმარი ღირებულება'' არის ნივთის ის თვისება, რომელიც ადამიანის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, ხოლო ,,საცვლელი ღირებულება'' არის ნივთის თვისება გაიცვალოს რომელსამე სხვა ნივთში. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,,სიტყვა ღირებულებას - და ეს უნდა აღინიშნოს - ორი მნიშვნელობა აქვს: ზოგჯერაც იგი რაიმე საგნის სარგებლიანობას გამოსახავს, ზოგჯერაც - სხვა საგანთა მოპოვების იმ შესაძლებლობას,

რომელსაც იძლევა ამ საგნის ფლობა. პირველს შეიძლება სახმარი ღირებულება ეწოდოს, მეორეს საცვლელი ღირებულება''.[22]

საქონლისა და მომსახურების ღირებულებას იგი შრომის საფუძველზე განსაზღვრის. ამასთან დაკავშირებით ადამ სმითი წერს: ,, ცხადია, რომ შრომა წარმოადგენს ღირებუელების, როგორც ერთად - ერთ საყოველთაო, ისე ერთად - ერთ ზუსტ მასშტაბს ანუ ერთადერთ საზომს, რომლის საშუალებითაც ჩვენ შეგვიძლია ერთმანეთს შევადაროთ სხვადსხვა საქონელთა ღირებულებანი ყველა დროს და ყველა ადგილას. როგორც უკვე აღნიშნული იყო, ჩვენ არ შეგვიძლია სხვადასვხა საქონელთა ნამდვილი ღირებულება საუკუნიდან საუკუნემდე განვსაზღვროთ ვერცხლის რაოდენობით, რომელსაც მასში აძლევენ. ჩვენ არ შეგვიძლია წლიდან წლამდე განვსაზღვროთ იგი პურის რაოდენობით. მაგრამ შრომის რაოდენობით ჩვენ შეგვიძლია უდიდესი ზედმიწევნილობით განვსაზღვროთ იგი როგორც საუკუნიდან საუკუნემდე, ისე წლიდან წლამდე''.[23] აქედან გამომდინარე კარგად ჩანს რომ ადამ სმითი შრომითი ღირებულების თეორიას იზიარებს და უფრო ნათლად აყალიბებს მას, ვიდრე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლები.

ადამ სმითი შრომას ორ ნაწილად ყოფს, კერძოდ, პროდუქტიულ შრომად და არა პროდუქტიულ შრომად. მისი აზრით პროდუქტიული შრომა ღირებულებას ქმნის და მაშასადამე საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომად გვევლინება, ხოლო არაპროდუქტიული შრომა არ ქმნის არანაირ ღირებულებას და მაშასადამე საზოგადოებისთვის უსარგებლო შრომად გვევლინება. ,, ერთი სახის შრომა - წერს იგი - ადიდებს იმ საგნის ღირებულებას, რომელზედაც გამოიყენება და მეორე სახის შრომას

[22] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 42.
[23] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 52.

მოქმედება არა აქვს. პირველს, რადგან იგი განსაზღვრულ ღირებულებას აწარმოებს, შეიძლება პროდუქტიული შრომა ეწოდოს, ხოლო მეორეს - არა პროდუქტიული შრომა''.[24]

ამდენად ნათლად ჩანს რომ ადამ სმითი ღირებულების ცნების განსაზღვრის დროს შრომით ღირებულების თეორიას ეყრდნობა, რომელსაც კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმოამდგენლებთან შედარებით, მასთან უფრო განვითარებული სახე აქვს. აღსანიშნავია აგრეთვე რომ მან გამოყო სახმარი და საცვლელი რირებულების ცნებები, რაც არისტოტელედან მოყოლებული ვერავინ ვერ შეძლო და ადამ სმითამდე პრობლემას წარმოადგენდა. ხოლო მისი აზრი პროდუქტიული და არა პროდუქტიული შრომის შესახებ კრიტიკას ვერ უძლებს, რადგან საქონელიც და მომსახურებაც ყოველთვის გარკვეული ღირებულების მატარებელია და შესაბამისად შრომა, რომელიც ქმნის მომსახურებას ისეთივე პროდუქტიულია, როგორც შრომა, რომელიც ქმნის საქონელს.

1.3.4 დოვლათის განაწილების ანალიზი

კაპიტალიზმის აღმოცენების და განვითარების შედეგად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახდა სოციალური კლასების და საზოგადოებაში შექმნილი დოვლათის მათ შორის განაწილების საკითხი. დოვლათის განაწილების მნიშვნელოვანი ანალიზი კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მოგვცა, კერძოდ, მისმა ისეთმა წარმოამდგენელმა როგორიცაა ადამ სმითი.

ადამ სმითი დოვლათის განაწილების ანალიზის კონტექსტში იქიდან გამოდის რომ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის პირობებში, კერძო საკუთრების საფუძველზე, განასხვავებს სამ ძირითად კლასს, კერძოდ, ეს კლასებია: მუშა, კაპიტალისტი და მიწათმფლობელი. იგი ამ სამი ძირითადი კლასის საფუძველზე შესაბამისად სამი სახის შემოსავალს გამოყოფს, კერძოდ, ეს შემოსავლებია: მოგება, რენტა და ხელფასი.

[24] იქვე გვ. 394

ადამ სმითის აზრით მიწათფლობელები საკუთრებაში წარმოების ისეთ საშუალებას ფლობენ როგორიცაა მიწა და მისი გაქირავებით შემოსავალს იღებენ რენტის სახით. ,,მას შემდეგ რაც მთელი მიწა - წერს იგი - ამა თუ იმ ქვეყანაში კერძო საკუთრებად იქცა, მემამულეებს, ყველა სხვა ადამიანთა მსგავსად, უყვართ მოიმკონ იქ სადაც არ უთესიათ, და ისინი მიწის ბუნებრივი პროდუქტებისთვისაც კი რენტას მოითხოვენ''. [25] კაპიტალისტები ფლობენ ისეთ წარმოების საშუალებებს როგორიცაა სამრეწველო შენობები, მანქანა - დანადგრები და სხვა. აქედან გამომდინარე კაპიტალისტები მუშებს ქირაობენ და შემოსავალს მოგების სახით იღებენ. ხოლო დაქირავებული მუშა, რომელსაც არანაირი საკუთრება არ გააჩნია, შემოსავლის სახით მხოლოდ ხელფასს იღებს. ,,როგორც კი კაპიტალი - წერს იგი - მოგროვდა კერძო პირთ ხელში, ზოგნი მათგანი რა საკვირველია, ამ კაპიტალს იმისთვის გამოიყენებენ, რომ სამუშაოზე ბეჯითი ადამიანები დააყენონ, რომლებსაც ისინი მასალას და საარსებო საშუალებებს მიაწოდებენ, რათა მასში შრომის პროდუქტის გაყიდვით მოგება ნახონ ანუ იმით, რასაც მათი შრომა მასალის ღირებულებას ჰმატებს, მზა პროდუქტის ფულზე, შრომაზე ან სხვა პროდუქტზე გაცვლისას, გარდა ამისა, რაც საჭიროა მასალის ფასის და შრომის ხელფასის გადასახდელად, კიდევ რაოდენიმე თანხა უნდა მიეცეს მოგებად მესარეწეს, რომელმაც თავისი კაპიტალის რისკი გასწია ამ სახიფათო საქმეში. ამიტომ ის ღირებულება, რომელსაც მუშები ჰმატებენ მასალის ღირებულებას, ამ შემთხვევაში თვით იყოფა ორ ნაწილად, რომელთაგან ერთი მუშების ხელფასს იხდის, ხოლო მეორე მესარეწეს მოგებას შეადგენს, მთელ კაპიტალს, რომელიც მან ავანსად გაიღო მასალისა და ხელფასის სახით''.[26]

ამგვარად, ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას რომ ადამ სმითი დოვლათის განაწილების ანალიზის დროს ყურადღებას საკუთრების ცნებას აქცევს და შესაბამისად შემოსავლებს და კლასობრივ სტრუქტურას სწორედ საკუთრების ცნების

[25] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 68.
[26] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 66.

საფუძველზე აყალიბებს. აღსანიშნავია რომ თუ მის ნააზრევს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენელთა ნააზრევებს შევადარებთ, მაშინვე ნათელი გახდება ადამ სმითის წინ გადადგმული ნაბიჯი აღნიშნული საკითხის ანალიზის კონტექსტში.

1.3.5 ვაჭრობის ანალიზი

აღნიშვნის საგანია რომ ვაჭრობის საკითხი წარმოადგენდა და კვლავაც მნიშვნელოვან და საყურადღებო საკითხს წარმოადგენს კაცობრიობისათვის. მაგრამ განსაკუთრებული ინტერესის წყარო იგი კაპიტალიზმის პირობებში გახდა, რადგან აღნიშნული ეკონომიკური სისტემის სამეურნეო საქმიანობის ძირითად ფორმას საქონელწარმოების ფორმა წარმოადგენს, რომლის არსი ის არის რომ პროდუქტი არა საკუთარი მოხმარებისათვის იწარმოება, არამედ ბაზარზე რეალიზაციის მიზნით. აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანი ანალიზი კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ისეთმა წარმომადგენელმა მოგვცა, როგორიცაა ადამ სმითი.

ადამ სმითმა დიდი ყურადღება მიაქცია საკითხს, რომლის თანახმადაც წარმოების მოცულობის გაზრდისთვის აუცილებელია გასაღების ბაზრების არსებობა, რაც იმის მანიშნებელია რომ ვაჭრობას ადამ სმითი არანაკლებ ყურადღებას აქცევს წარმოებასთან შედარებით. ამასთან დაკვშირებით თავის ნაშრომში ,, გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის მიზეზების და ბუნების შესახებ'' ის წერს: ,,რადგან გაცვლის შესაძლებლობა იწვევს შრომის დანაწილებას, ამიტომ ამ დანაწილების ზომა ყოველთვის ზღვარდებული უნდა იყოს ამ შესაძლებლობების მოცულობით, ანუ სხვა სიტყვებით ბაზრის მოცულობით. თუ ბაზარი ძალიან მცირეა, არავის არ ექნება სტიმული დაადგეს მთლად ერთ რომელსამე მოსაქმეობას, რადგან იმის შესაძლებლობა არ არსებობს, რომ მან თავისი შრომის პროდუქტის მთელი გარდამეტი, რომელიც მის საკუთარ მოხმარებას აღემატება, სხვების შრომის ისეთ პროდუქტებზე გასცვალოს, რომლებიც მას ესაჭიროება''[27].

[27] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 30.

გარდა ამისა, ადამ სმითმა საგარეო ვაჭრობის საკითხის მნიშვნელოვანი კვლევა მოგვცა. მან ვაჭრობის აბსოლუტური უპირატესობის თეორია შეიმუშავა, რომლის თანახმადაც X ქვეყანას სხვა Y ქვეყნიდან ესა თუ ის საქონელი იმ შემთხვევაში შემოაქვს, თუ იგი Y ქვეყანაში უფრო იაფი უჯდება. ხოლო თუ აღნიშნული საქონლის შემოტანას ხელი შეეშლება, მაშინ X ქვეყანა იძულებული იქნება კაპიტალი დააბანდოს ქვეყნის საზღვრებს შიგნით იგივე საქონლის წარმოების მიზნით, იმ დროს როდესაც დაბანდებული თანხით შესაძლებელი იყო სხვა საქონლის შეძენა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ადამ სმითი საგარეო ვაჭრობის საკითხის კვლევის დროს დაასკვნის რომ ,,ღია ეკონომიკის'' პირობებში ქვეყანამ უნდა აირჩიოს და განავითაროს ისეთი სახის წარმოება, რომელშიც მას უპირატესობანი გააჩნია.

ამდენად, უნდა ითქვას რომ, ადამ სმითი ვაჭრობას არანაკლებ ყურადღებას აქცევს, ვიდრე წარმოებას. მისი აზრით ვაჭრობა ისეთივე მნიშვნელოვანი სფეროა როგორც წარმოება. აგრეთვე უნდა ითქვას რომ საერთაშორისო ვაჭრობის საკითხში იგი ფრიტრერდერობის მომხრეა ე.ი. თავისუფალი ვაჭრობის მომხრეა. ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს რომ ადამ სმითი ვაჭრობის საკითხის ანალიზის დროს მნიშვნელოვან შეხედულებებს აყალიბებს, რომელიც დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას.

1.3.6 ფასის ანალიზი

ერთ - ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის განხილვის საჭიროება კაპიტალიზმმა წარმოშვა არის ფასის ანალიზი. აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვანი ანალიზი კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ მოგვცა, კერძოდ, მისმა ყველაზე თვასაჩინო წარმომადგენელმა ადამ სმითმა.

ადამ სმითი განასხვავებს საქონლის და მომსახურების ,,ნამდვილ'' და ,,ნომინალურ'' ფასს. მისი აზრით საქონლის და მომსახურების ,,ნამდვილი'' ფასი არის შრომის რაოდენობა, რომელიც საჭიროა საქონლის და მომსახურების წარმოებისთვის. ,, ყოველი საგნის ნამდვილი ფასი - წერს იგი - ე.ი. ის, რადაც ყოველი საგანი ნამდვილად უღირს

იმას, ვისაც მისი შეძენა სწადია, არის ჯაფა და გარჯა, რომელიც საჭიროა ამ საგნის მოსაპოვებლად''[28]. ხოლო საქონლის და მომსახურების ,,ნომინალური'' ფასი არის ფულის ოდენობა, რომლის საფუძველზეც საქონელი და მომსახურება იყიდება. ,,ყოველთვის და ყველგან - წერს იგი - ძვირი არის ის, რაც ძნელად მოსაპოვებელია, ანუ რისი მოპოვებაც ბევრ შრომას მოითხოვს, და იაფი არის ის, რასაც ადვილად, ანუ ძალიან მცირე შრომით მოიპოვება. ამგვარად მხოლოდ შრომა, რომელიც თავის საკუთარ ღირებულებაში არასოდეს არ განიცდის ცვლილებას, საბოლოო და ნამდვილ საზომს შეადგენს, რომლითაც ყოველთვის და ყველგან შესაძლებელია ყველა საქონელთა ღირებულება შეფასებული და შედარებული იქნეს. შრომა მისი ნამდვილი ფასია, ფული არის მათი მარტოოდენ ნომინალური ფასი''[29].

აღსანიშნავია აგრეთვე რომ მან საქონლის და მომსახურების ფასის განსაზღვრებას საფუძვლად ,,შემოსავლების თეორია'' დაუდო, რომლის თანახმადაც საქონლის და მომსახურების ფასი ისეთი შემოსავლების ერთობლიობისგან შედგება როგორიცაა ხელფასი, მოგება და რენტა. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,,ყოველ საზოგადოებაში ყველა საქონლის ფასი ბოლოს და ბოლოს ერთი ან მეორე ნაწილად იშლება იმ სამში ან ყველა ამ სამ ნაწილად, და ყოველ განვითარებულ საზოგადოებაში ყველა ეს სამი შემადგენელი ნაწილი მეტნაკლებ საქონელთა დიდი უმრავლესობის ფასში შედის''[30]. შემდეგ მას მაგალითი მოჰყავს: ,,მაგალითად, პურის ფასში მისი ერთი ნაწილი იხდის მემამულის რენტას, მეორე ნაწილი შრომის ხელფასს ანუ მუშების და მუშა საქონლის შესანახს, რომელნიც წარმოებაში გამოიყენებიან, და მესამე ნაწილი - ფერმერის მოგებას''.[31]

---

[28] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 44.
[29] იქვე გვ. 48.
[30] იქვე გვ. 68.
[31] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 69.

ადამ სმითმა აგრეთვე განასხვავა საქონლის და მომსახურების ,,ბუნებრივი'' და ,,საბაზრო'' ფასი. მისი აზრით ,,ბუნებრივი'' ფასი არის ასაქონლის და მომსახურების ის ფასი, რომლის საფუძველზეც იგი იწარმოება ე.ი. იმ ფასს წარმოადგენს, რომელიც არის საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული საწარმოო დანახარჯების გამომხატველი. ,,თუ რომელიმე საქონლის ფასი - წერს იგი - იმაზე არც მეტია და რაც ნაკლებია, რაც საკმარისია მიწის რენტის, შრომის ხელფასის, და იმ კაპიტალის მოგების გადასახდელად - მათი ბუნებრივი ნორმების მიხედვით - რომელიც ამ საქონლის მოპოვებაზე, დამზადებაზე და ბაზრამდე მიტანაზე დახარჯული, მაშინ აღნიშნული საქონელი იმ ფასში იყიდება, რასაც მისი ბუნებრივი ფასი შეიძლება ეწოდოს''[32]. ხოლო რაც შეეხება საქონლის და მომსახურების ,,საბაზრო'' ფასს, იგი მას მიაჩნია ისეთ ფასად, რომლის საფუძველზეც საქონელი და მომსახურება ბაზარზე, მოთხოვნა - მიწოდების ურთიერთქმედების საფუძველზე იყიდება. ამასთან დაკავშირებით წერს იგი: ,,ფაქტიურ ფასს, რადაც ჩვეულებრივ საქონელი გაიყიდება, მისი საბაზრო ფასი ეწოდება, იგი შეიძლება მის ბუნებრივ ფასს აღემატებოდეს ან მასზე დაბალი იყოს ან სავსებით მას უდრიდეს''.[33]

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას, რომ ადამ სმითს საქონლის და მომასახურების ფასი სხვა და სხვა ფაქტორების ურთიერთქმედების საფუძველზე ესმის, სადაც განმსაზღვრელ ფაქტორად მაინც საქონელში და მომსახურებაში განხორციელებული შრომა მიჩნია. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: ,,ამრიგად ბუნებრივი ფასი, ასე ვთქვათ, ცენტრალურ ფასს წარმოადგენს, რომლისადმი ყველა საქონელთა ფასებს მუდამ მიზიდულობა აქვს. სხვადასხვა შემთხვევით გარემოებებს შეუძლია ზოგჯერ მასზე ბევრად უფრო მაღალ დონეზე შეაჩეროს ისინი და ზოგჯერაც რაოდენამდე მასზე დაბლა დასწიოს. მაგრამ, როგორიც უნდა იყოს დაბრკოლებები, რომელნიც ფასებს ამ მყარი და მტკიცე ცენტრისგან გადახრიან, მათ

[32] იქვე გვ. 74.
[33] იქვე გვ. 75.

მაინც მისადმი აქვთ მიდრეკილება ''[34]. აგრეთვე ისიც მნიშვნელოვანია რომ ეკონომისტი, საქონლის და მომსახურების ფასის ანალიზის დროს ითვალისწინებს ფულის ფაქტორს და ამავე დროს არ აფასებს მას გადაჭარბებულად, როგორც ეს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ბევრმა სხვა წარმომადგენლმა გააკეთა.

1.3.7 სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციის ანალიზი

კაპიტალიზმის აღმოცენების და განვითარების შედეგად დღის წესრიგში დადგა საკითხი იმის შესახებ თუ ,,რა ფუნქცია უნდა გააჩნდეს სახელმწიფოს ახალი ეკონომიკური სისტემის პირობებში ?'' და აგრეთვე ,,რა სახის ეკონომიკური პოლიტიკით შეუწყობს იგი ხელს ეკონომიკური სისტემის განვითარებას ?". აღნიშნული საკითხის მნიშვნელოვან ანალიზს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის ისეთი წარმომადგენელი გვაძლევს როგორიც ადამ სმითია.

იგი თავისი გამოკვლევის IV წიგნში, რომლის სათაურია ,,პოლიტიკური ეკონომიის სისტემების შესახებ'', შემდეგ სიტყვებს წერს: ,,პოლიტიკური ეკონომია, რომელიც განიხილება როგორც ცოდნის დარგი, აუცილებელი საჯარო მოხელისთვის ან კანონმდებლისთვის, საკუთარი თავის წინაშე ორ ამოცანას აყენებს: პირველი, ხალხი უზრუნველყოს უხვი შემოსავლით ან არსებობის საშუალებებით, და უფრო სწორედ იგი უზრუნველყოს მათი მოპოვების შესაძლებლობებით; მეორე, სახელმწიფოს ან საზოგადოებას საკმარისი შემოსავალი მოუტანოს საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის. ის საკუთარი თავის წინაშე როგორც ხალხის ისე სახელმწიფოს გამდიდრების მიზანს ისახავს''.[35] აღნიშნულ პოზიციას ავსტრიელი ეკონომისტი იოზეფ ალოიზ შუმპეტერი შემდეგ შეფასებას აძლევს: ,, იგი (ადამ სმითი) ეკონომიკურ მეცნიერებას, დანიშნულების ნუსხად აქცევს სახელმწიფო მოხელისათვის''. [36] აქ ჩვენ ვხედავთ რომ ადამ სმითი, როგორც წმინდა კაპიტალიზმის დამცველი, სახელმწიფოს

[34] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 78.
[35] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.
[36] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.

ეკონომიკურ როლს სულაც არ უარყოფს. იგი მიზანშეწონილად მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ ეკონომიკაში შეზღუდულ ჩარევას.

ზემოთაღნიშნული მოსაზრების მართებულობას ისიც ადასტურებს რომ ავტორი თავის ნაშრომში შემდეგ სიტყვებს წერს: ,,იქ სადაც გამოსარიცხი პრივილეგიები არსებობს, იქნებ დასაშვებიც კი იყოს პირველადი მოხმარების საგნებზე ფასების დაწესება, მაგრამ იქ სადაც არ არის იგი (პრივილეგიები), ყოველგვარ ღონისძიებაზე უკეთესად, მათ კონკურენცია დააწესებს''.[37]

მნიშვნელოვანია ითქვას რომ ადამ სმითმა თავისი გამოკვლევის V წიგნში, რომლის სათაურია ,,ხელმწიფის ან სახელმწიფოს შემოსავლების შესახებ'', სახელმწიფოს შემდეგი ფუნქციები გამოყო:

1) სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა

2) საზოგადოებრივი სამართლიანობის უზრუნველყოფა

3) საზოგადოების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა

იმისათვის, რათა ნათლად ჩავწვდეთ იმას თუ რა იგულისხმა ეკონომისტმა ზემოთაღნიშნული ფუნქციების ქვეშ, მოდით განვიხილოდ თითოეული მათგანი.

1) სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველყოფა - სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია მას ესმის, როგორც საზოგადოების დაცვა სხვა საზოგადოების სამხედრო შემოტევისგან.

2) საზოგადოებრივი სამართლიანობის უზრუნველყოფა - სახელმწიფოს ეს ფუნქცია შოტლანიდელ ეკონომისტს ესმის როგორც საზოგადოების თითოეული წევრის დაცვა, საზოგადოების სხვა წევრების სხვადასხვა სახის ძალადობისგან და არასამართლიანი მოპყრობისაგან.

[37] Яковенко В.И., Адам Смит Его жизнь и научная деятельность., СПБ 1894., стр. 66.

3) საზოგადოების ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა - სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია ,,შოტლანდიელ ბრძენს'' ესმის როგორც საზოგადოების საგანმანათებლო დაწესებულებებით უზრუნველყოფა და აგრეთვე საზოგადოების სხვა და სხვა შენობა ნაგებობებით უზრუნველყოფა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს საზოგადოებაში განათლების გავრცელებას და საზოგადოების გზებით, ხიდებით და სხვა აუცილებელი ნაგებობებით უზრუნველყოფას გულისხმობს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას რომ შოტლანდიელი ეკონომისტი სულაც არ არის სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩაურევლობის მომხრე, მაგრამ კითხვაზე თუ: ,,რა დონეზე უნა ერეოდეს სახელმწიფო ეკონომიკაში ?'' იგი შემდეგ პასუხს იძლევა: ,,სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში შეზღუდულ ხასიათს უნდა ატარებდეს ''. აგრეთვე ისიც უნდა აღინიშნოს რომ იგი ეკონომიკურ მეცნიერებას სახელმწიფოს სამსახურში აყენებს და ამბობს რომ სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავების და განხორციელების დროს ,,პოლიტიკურ ეკონომიას'' უნდა ემყარებოდეს.

ამგვარად, საერთო ჯამში, ყოველივე ზემოთაღნინულიდან გამომდინარე სამართლიანი იქნება ითქვას რომ ადამ სმითმა თავისი ეკონომიკური ნაშრომით, თავისი დროის ეკონომიკური სისტემის ანალიზის კუთხით, ძალზედ დიდი ნაბიჯი გადადგა. მის ეკონომიკურ ნაშრომში ჩამოყალიბებული ეკონომიკური თეორიების დიდი ნაწილი დღესაც არ კარგავს თავის აქტუალობას და მეცნიერს მომავალშიც, ეკონომისტთა ,,უკვდავების ტაძარში'' ყოფნას ჰპირდება. მისი ერთ - ერთი ასეთი ეკონომიკური თეორია არის ,,უხილავი ხელის'' თეორია, რომელიც, სხვა თეორიებთან ერთად, გამოარჩევს ავტორს კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლებისგან, რომელზეც ჩვენ წინამდებარე თემის მომდევნო თავში გვექნება საუბარი.

2. თავი ,,უხილავი ხელის" თეორია

აღნიშვნის საგანია რომ ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' ავტორის ე.ი. ადამ სმითის ცნობადობა, გარდა იმისა რომ მან ამ ნაშრომში ბევრი ეკონომიკური საკითხი უფრო უკეთესად განიხილა, ვიდრე კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა წარმომადგენლებმა, აგრეთვე იმითაა გამოწვეულია რომ მან ,,უხილავი ხელის'' თეორია შეიმუშავა.

აუცილებელია ითქვას რომ ტერმინი ,,უხილავი ხელი'' არ არის მეცნიერული ტერმინი. იგი არის მხატვრული გამონათქვამი, მეტაფორა, რომელიც მეცნიერული შინაარსის მატარებელია და სწორედ ერთ - ერთი საკითხი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ აღნიშნული თავის ფარგლებში იქნება საკითხი ,,უხილავი ხელის'' მეტაფორის შესახებ. ჩვენ განვიხილათ იმას თუ საიდან იღებს იგი სათავეს, რა იგულისხმა აღნიშნული მეტაფორის ქვეშ ადამ სმითმა, და აგრეთვე იმას თუ როდის მოექცა იგი ეკონომისტების ყურადღების ქვეშ და რა შეფასებას აძლევენ მას ეკონომისტები.

ცნობილია რომ ავტორმა ,,უხილავი ხელის'' თეორია მოგვცა, მაგრამ არ მოგვცა ცალსახა, კონკრეტული პასუხი თუ რა იგულისხმა, ,,უხილავის ხელის'' თეორიაში ,,უხილავი ხელის'' ქვეშ. აღნიშნულმა ,,უხილავი ხელის'' თეორიის გაგების სხვადასხვაობა წარმოშვა. აქედან გამომდინარე, ჩვენი მომდევნო, ერთ - ერთი ძირითადი საკითხი, რომელსაც აღნიშნული თავის ფარგლებში განვიხილავთ, იქნება საკითხი ,,უხილავი ხელის'' თეორიის ყველაზე გავრცელებული ინტერპრეტაციების შესახებ.

ჩვენ ზემოთ ავღნიშნეთ რომ ,,უხილავი ხელის'' თეორიის სხვადასხვა განმარტებები არსებობს, რომელიც მიზნად ისახავს მისი როგორც მოვლენის არსის გამოვლენას, მაგრამ ,როგორც ჩვენ შემდეგში დავამტკიცებთ, ისინი ყველა შეზღუდულია აღნიშნული ფენომენის ახსნის საკითხში, რადგან ყველა ან მხოლოდ აღწერითი ხასიათით შემოიფარგლება ან ,,უხილავ ხელს'' , ,,უხილავი ხელის'' თეორიაში, უწოდებს ისეთ ეკონომიკურ მოვლენას, რომელიც ,,უხილავი ხელის'', როგორც სისტემის ერთ - ერთ

შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს ან კიდევ გადის მატერიალური რეალობის გარეთ და აღნიშნული ფენომენის მეტაფიზიკურ ახსნას გვთავაზობს. ამდენად ბოლო და აგრეთვე მნიშვნელოვანი საკითხი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ აღნიშნული თავის ფარგლებში, იქნება საკითხი ,,უხილავი ხელის'' თეორიის არსისა და მნიშვნელობის შესახებ.

2.1 ,,უხილავი ხელის“ მეტაფორა

აღსანიშნავია რომ ადამიანმა, რომელიც არ იცნობს ადამ სმითის ნაშრომებს, შეიძლება იფიქროს რომ მეცნიერმა ტერმინი ,,უხილავი ხელი'' მრავალჯერ გამოიყენა. სინამდვილეში, ზემოთაღნიშნული ტერმინი, მან სამჯერ გამოიყენა, თავის ისეთ ნაშრომებში, როგორიცაა **,,ასტრონომიის ისტორია'' (1751 - 1758), ,,ზნეობრივი გრძნობების თეორია'' (1764) და ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' (1776).**

,,ასტრონომიის ისტორიაში'' იგი წერს: **,,ცეცხლი წვავს, წყალი აგრილებს, მძიმე სხეულები იძირება წყალში, ხოლო მსუბუქი სხეულები ამოდის წყლის ზედაპირზე, საკუთარი ბუნების წყალობით; ყველა ამ შემთხვევაში არ არის იუპიტერის ,,უხილავი ხელის'' მიერ დატოვებული ნაკვალევის ძიების აუცილებლობა. არა, მის სიკეთეს და ბოროტებას უფრო იშვიათი მოვლენები მიეწერებოდა - ელვა და ქუხილი, შტორმი და კარგი ამინდი''.**[38]

მისი მომდევნო ნაშრომი, სადაც მან გამოიყენა ,,უხილავი ხელის'' ტერმინი არის ,,ზნეობრივი გრძნობების თეორია". იგი წერს აღნიშნულ ნაშრომში შემდეგ სიტყვებს: **,,საერთო მასიდან მხოლოდ მდიდრები ირჩევენ იმას, რაც ყველაზე ძვირფასია და იშვიათია. ფაქტობრივად, ისინი იმაზე მეტს არ მოიხმარენ რამდენსაც ღარიბები. მიუხედავად თავიანთი გაუმაძღრობის და ეგოიზმისა, მიუხედავად იმისა რომ ისინი მხოლოდ პირად სარგებელს ესწრაფვიან, მიუხედავად იმისა რომ ცდილობენ მხოლოდ საკუთარი ცარიელი და გაუმაძღარი სურვილები დაიკმაყოფილონ რისთვისაც ათასობით ადამიანთა შრომას იყენებენ, ისინი უკანასკნელ ღარიბთან ერთად მათი ბრძანებით**

[38] https://cyberleninka.ru/..../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.

წარმოებულ სამუშაოების შედეგს იზიარებენ. როგორც ჩანს, რაღაც ,,უხილავი ხელი'' მათ აიძულებს მიიღონ მონაწილეობა სიცოცხლისათვის აუცილებელი საგნების გადანაწილებაში''.[39]

ხოლო მისი ბოლო და უკანასკნელი ნაშრომი, სადაც მან გამოიყენა ,,უხილავი ხელის'' ტერმინი არის ეკონომიკური ნაშრომი ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ''. აღნიშნულ ნაშრომში იგი წერს: **,,ყოველი ინდივიდი ცდილობს ისეთნაირად აამოქმედოს საკუთარი კაპიტალი, რომ მან მაქსიმალური მოგება მოიტანოს. ჩვეულებრივ, მას განზრახვა არა აქვს, ზემოქმედება მოახდინოს საზოგადოებრივ ინტერესებზე და არ იცის რამდენად ზემოქმედებს იგი მათზე. ინდივიდი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების და სარგებლობისკენ მიისწრაფვის, და მას უხილავი ხელი წარმართავს, რათა ბოლოს და ბოლოს იმაზე მოახდინოს ზეგავლენა, რასაც იგი არ იზრახავდა. საკუთარი ინტერესების დაცვით იგი ხშირ შემთხვევაში საზოგადოების აყვავებას დიდად უწყობს ხელს, ვიდრე იმ შემთხვევაში თუ კი ამას შეგნებულად შეეცდებოდა''.[40]**

ყოველივე ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით აუცილებელია ითქვას რომ ადამ სმითის მნიშვნელოვან მონაპოვარს ,,უხილავი ხელის'' ის ტერმინი წარმოადგენს, რომელსაც იგი თავის ეკონომიკურ ნაშრომში, ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''იყენებს, რომელიც დღესდღეობით ცნობილია როგორც ,,უხილავი ხელის'' თეორია.

,,უხილავი ხელის'' თეორიაზე მსჯელობის დროს, ორ მნიშვნელოვან გარემოებას უნდა მივაქციოთ ყურადღება, კერძოდ, ეს ორი მნიშვნელოვანი გარემოებაა:

[39] სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., თბილისი 14/2014., გვ. 52.
[40] სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., თბილისი 14/2014., გვ. 53.

1) მეტაფორა - ეს ნიშნავს რომ აღნიშნული თეორიის დასახელებაში არის მეტაფორა ე.ი. გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი სიტყვა ან სიტყვათა კომბინაცია, რომელიც საკუთარ თავში გარკვეულ შინაარს მოიცავს.

2) ეკონომიკური შინაარსი - ეს ნიშნავს რომ აღნიშნული თეორია ეკონომიკური შინაარსის მატარებელია ე.ი. აღნიშნული თეორიის ქვეშ იგულისხმება ეკონომიკური მოვლენა, რომელსაც გააჩნია საკუთრი ეკონომიკური არსი.

აღსანიშნავია რომ თვითონ მეტაფორა ე.ი. ,,უხილავი ხელი'' ,ადამ სმითს არ ეკუთვნის. იგი ჩამოყალიბებული იქნა ადამ სმითამდე სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა სწავლულის მიერ.

,,უხილავი ხელი'' თავდაპირველად ჯერ კიდევ ჰომეროსის მხატვრულ ნაწარმოებში ილიადაში (ძვ. წ. VIII ს.) იქნა ნახსენები, სადაც იგი შემდეგნაირად არის გადმოცემული: ,, და უკნიდან ზევსმა ჰკრა მას მეტად ძლიერი ხელი და გამოიწვია მასპინძელი მასთან ერთდ'' (ილიადა. ქება. XV. 695).[41]

,,უხილავი ხელის'' შესახებ ცნობებს ვხვდებით აგრეთვე ჰორაციუსის (ძვ. წ. 658) ოდებში, რომლებშიც ნახსენებია მეხთამტეხელი იუპიტერის ძლიერი ხელი''. იგი აგრეთვე მოიხსენიება პოეტ ოვიდიუს ნაზონის (ძვ.წ. 43 -17) მეტამორფოზებში.[41]

ნეტარე ავგუსტინე (354 - 430), რომელმაც დაწერა რელიგიური ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა ,,ღვთის ქალაქი" აგრეთვე საუბრობს ,,ღვთის უხილავ ხელზე'', რომელსაც ყველაფერი შეუძლია. იგი ნაშრომში ,,ღვთის ქალაქი'' წერს შემდეგ სიტყვებს: ,, ღვთის ხელი მისი ძალაა, რომელიც ხილულს ქმნის უხილავად'' (წიგნი 12. თავი 23.).[41]

,,უხილავი ხელის'' შესახებ აგრეთვე საუბრობს ინგლისელი მწერალი უილიამ შექსპირი, თავის მხატვრულ ნაწარმოებში ,,მაკბეტი''. იგი წერს: ,,მაგ უხილავის მოსისხელე ხელით შუა გასჭერ, წვრილად დაჰგლიჯე სიცოცხლის ძაფი, რაიც შიშის ჟრუანტელსა მგვრის'' (,,მაკბეტი''. მოქმედება 3. სურათი მეორე. 46 - 50).[41]

ჯოზეფ გლენვილი, იგლისელი მწერალი და ფილოსოფოსი, თავის ნაშრომში ,,დოგმატიზმის ამაოება'', რომელიც დაიბეჭდა 1661 წელს, წერს შემდეგ სიტყვებს: ,,ბუნება მოქმედებს უხილავი ხელით ყველაფერში''.[41]

საყურადღებოა აგრეთვე, ვოლტერის პიესა ,,ოიდიპოსი'', რომელიც თარიღდება 1718 წლით. აღნიშნულ პიესაში ავტორი წერს შემდეგ სიტყვებს: ,, ძრწოდეთ უბედურო მეფე, თქვენი მეფობა დასრულდა. უხილავი ხელი გმართავთ, ვიდრე - თავი'' (ვოლტერი. ,,ოიდიპოსი''. მესამე მოქმედება.).[41]

ინგლისელი მწერალი დანიელ დეფო, თავის მხატვრულ ნაწარმოებში ,,მოლ ფლენდერსი'', რომელიც გამოცემული იქნა 1722 წელს, წერს შემდეგ სიტყვებს: ,,თითქოს უხილავი ხელისგან მოულოდნელმა დარტყმამ ააფეთქა მთელი ჩემი ბედნიერება''.[41]

ხოლო ჩარლზ ბონე (1720 - 1793), შვეიცარიელი მწერალი და ფილოსოფოსი, რომელსაც პირადად იცნობდა ადამ სმითი, თავის ერთ - ერთ ცნობილ ნაწარმოებში წერს: ,,იგი მიიყვანა დასრულებამდე უხილავმა ხელმა''.[41]

ამგვარად, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მართლაც ჩანს რომ მეტაფორა ,,უხილავი ხელი'' არ არის ადამ სმითის მონაპოვარი, მისი ერთ - ერთი ბრწყინვალე შემოქმედების ნიმუში, მაგრამ უნდა ითქვას რომ მისი დამსახურება, აღნიშნული მეტაფორის კონტექსტში, არის ის რომ მან ,,უხილავი ხელის'' მეტაფორა ეკონომიკური შინაარსის მქონე მოვლენის ასახვისთვის გამოიყენა, რაც ადამ სმითამდე არავის არ ჰქონდა გაკეთებული და რამაც ,,უხილავი ხელის'' თეორია შექმნა.

აღნიშვნის საგანია რომ ადამ სმითის მიერ გამოყენებული ,,უხილავი ხელის'' მეტაფორა, რომელშიც იგულისხმება ეკონომიკური შინაარსის მქონე მოვლენა, დღეისთვის ძალზედ ცნობილია, მაგრამ ცოტამ თუ იცის ის რომ მისთვის XX საუკუნის შუა პერიოდამდე არავის მიუქცევია ყურადღება. აღნიშნული მდგომარეობის შესახებ მოწმობს ის რომ იგი არ არის აღნიშნული ადამ სმითის თანამედროვე და შემდგომი

[41] http://eprints.iliauni.edu.ge/1668/1/,,უხილავი_ხელის''_მეტაფორა_და_ადამ_სმითი.pdf., გვ. 48 - 50

პერიოდის სწავლულების მიერ. მას ჩვენ არ ვხვდებით ბრიტანელი სახელმწიფო მოღვაწის თომას პაუნელის ადამ სმითისადმი გაგზავნილ წერილებში. იგი არ არის მოხსენებული თომას მალთუსის, დევიდ რიკარდოს, ჯონ სტიუარტ მილის, მაკკულოხის და კარლ მარქსის შრომებში. არა არის აგრეთვე არანაირი მინიშნება ,,უხილავ ხელზე'' 1876 წელსაც, როდესაც აღნიშნული იქნა ,,ხალხთა სიმდიდრის'' გამოსვლის 100 წლის თავი. ხოლო ჰენრი თომას ბოკლი, თავის ნაშრომში ,,ცივილიზაციის ისტორია ინგლისში'', რომელიც გამოცემული იქნა 1853 წელს, ახდენს ,,უხილავი ხელის'' ციტირებას, მაგრამ თვითონ მეტაფორა იგნორირებულია. აგრეთვე აღსანიშნავია რომ თომას ბოკლის მსგავსად იქცევა ავგუსტ ონკენი. ხოლო რაც შეეხება უკვე XX საუკუნის მეორე ნახევარს, ამ პერიოდში მეტაფორა ,,უხილავი ხელი'' თავისი ეკონომიკური შინაარსით, არა თუ უბრალოდ პოპულარული გახდა, არამედ მხოლოდ ეკონომიკური შინაარსი მქონე მეტაფორიდან, ეკონომიკურ პარადიგმად და საბაზრო ეკონომიკური სისტემის უმთავრეს სიმბოლოდ იქცა.

აუცილებელია ითქვას, რომ მიუხედავად ,,უხილავი ხელის'' თეორიის ცნობადობის და აღიარებისა, აღნიშნული თეორიის შეფასებაში, მეცნიერ - ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადასხვაობა შეიმჩნევა. არიან მეცნიერ - ეკონომისტები, რომელნიც ,,უხილავი ხელის'' თეორიას კრიტიკის ქარ - ცეცხლში ატარებენ და პირიქით არიან მეცნიერ - ეკონომისტები, რომელნიც აღნიშნულ თეორიას ყოველგვარი კრიტიკისა და სკეპტიციზმის გარეშე იღებენ.

მეცნიერ - ეკონომისტების ის ჯგუფი, რომელიც ,,უხილავი ხელის'' თეორიას დადებითად აფასებს, მას ახასიათებს როგორც უდიდეს მონაპოვარს, ეკონომიკის ბაზისურ იდეას ე.ი. აღიარებს მას ეკონომიკის ამოსავალ წერტილად. მაგალითად ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი მილტონ ფრიდმენი წერს: ,, ხედვა (ე.ი. ,,უხილავი ხელის'' თეორია), თუ რა გზით უნდა მოხდეს მილიონობით ადამიანთა ნებაყოფლობითი ქმედებების კორდინაცია ფასთა

სისტემის მეშვეობით, ცენტრალური მმართველობის გარეშე, რთული და დახვეწილია''.[42] ხოლო აგრეთვე ნობელის პრემიის ლაურეატს ეკონომიკის დარგში, ცნობილ ამერიკელ ეკონომისტს ჯოზეფ სტიგლერს ,,უხილავი ხელის'' თეორია ,,ხალხთა სიმდიდრის'' უმთავრეს მონაპოვრად მიაჩნია. საყურადღებოა ფრანკ ჰანის მოსაზრება ,,უხილავი ხელის'' თეორიის შესახებ. იგი წერს შემდეგ სიტყვებს: ,, რაც უნდა კრიტიკულად ვიყოთ განწყობილნი ამ თეორიის მიმართ, იგი ერთ - ერთი უდიდესი ინტელექტუალური მიღწევაა... უხილავი ხელი განაპირობებს ჰარმონიას და ადამიანთათვის სასურველი გამოსავლის ზრდას''.[43] აღნიშნული თეორიის დადებით შეფასებას იძლევა აგრეთვე დეიდრა მაკლოსკი, იგი წერს: ,,უხილავი ხელი ათანხმებს კერძო ეგოისტურ ინტერესებს საზოგადოებრივ კეთილდღეობასთან''.[44]

ხოლო რაც შეეხება ეკონომისტების იმ ჯგუფს, რომელიც უარყოფითად აფასებს ,,უხილავი ხელის'' თეორიას, იგი ახასიათებს მას როგორც ეკონომიკურ არასრულფასოვნებას, რომელსაც არ შესწევს ძალა ეკონომიკური წონასწორობის მიღწევისთვის. მაგალითად, ეკონომისტი დუნკან ფოლეი ,,უხილავი ხელის'' თეორიას უწოდებს შეცდომების ერთობლიობას საბაზრო ეკონომიკისთვის, როგორც ადამ სმითის შეცდომას, რომელიც გახდა წყევლის ტოლფასი ეკონომიკური ანალიზისთვის. ხოლო ცნობილმა ამერიკელმა ეკონომისტმა, ნობელის პრემიის ლაურეატმა ეკონომიკის დარგში, ჯოზეფ სტიგლიცმა გამოთქვა ვარაუდი ,,უხილავი ხელის'' თეორიასთან დაკავშირებით და თქვა რომ ეკონომისტების უმრავლესობა ხელს უწოდებს უხილავს იმიტომ რომ იგი რეალურად არ არის ბაზარზე. აგრეთვე აღსანიშნავია ,,მაკმილანის თანამედროვე ეკონომიკური თეორიის ლექსიკონი'', რომელიც მომზდდა დასავლეთში მოღვაწე ეკონომისტების მიერ. აღნიშნულ ლექსიკონში , სტატიაში ,,უხილავი ხელის'' თეორიის შესახებ ვკითხულობთ შემდეგ სიტყვებს: ,, პრობლემის თანამედროვე ხედვა , დაიყვანება იმაზე რომ ხელი მოქმედებს, მაგრამ იგი ართრიტითაა დაავადებული''.[45] ამ

[42] სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., თბილისი 14/2014., გვ. 47.
[43] იქვე გვ. 48
[44]https://cyberleninka.ru/..../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.
[45] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.

მიამრთულებით აგრეთვე ძალზედ დიდ ინტერესს იწვევს ცნობილი ფინანსისტის, ჯორჯ სოროსის სიტყვები ,,უხილავი ხელის'' თეორიის შესახებ. იგი წერს: ,,...საბაზრო ძალები, თუ მათ მივცემთ მთელ ძალაუფლებას, ეკონომიკურ და ფინანსურ საკითხებშიც კი ქაოსს იწვევს და საბოლოო ჯამში მათ შეუძლიად მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის დაცემისკენ მიგვიყვანონ. ეს არის ჩემი ყველაზე მნიშვნელოვანი დასკვნა ამ წიგნში''.[46]

ამდენად, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამოდინარე, აუცილებლად უნდა ითქვას რომ ტერმინი ,,უხილავი ხელი'' ერთდროულად არის მეტაფორაც ე.ი. გადატანითი მნიშვნელობით ნათქვამი ან დაწერილი სიტყვათა კომბინაცია და ეკონომიკური შინაარსი მქონე მოვლენაც, რომელიც ამ მეტაფორის ქვეშ, შოტლანდიელმა ეკონომისტმა ადამ სმითმა მოაქცია, რომელსაც თვითონ მეტაფორა არ შეუქმნია, მაგრამ შექმნა ეკონომიკური თეორია, რომელსაც საფუძვლად ,,უხილავი ხელის'' მეტაფორა დაუდო, რომელიც თავდაპირველად სხვადასხვა სწავლულში ინტერესს არ იწვევდა, მაგრამ შემდეგ იგი ეკონომიკის სიმბოლოდ იქნა აღიარებული, რომლის მნიშვნელობის შესახებ მსჯელობის დროს, ეკონომისტებს შორის აზრთა სხვადსხავაობა შეიმჩნევა.

2.2 ,,უხილავი ხელის'' თეორიის ეკონომიკური და არა ეკონომიკური განმარტება

აღსანიშნავია რომ ადამ სმითი ,,უხილავი ხელის'' თეორიის სახით იძლევა ისეთ იდეას, როდესაც კერძო ინტერესით, საკუთარი კეთილდღეობისთვის მოქმედი ადამიანი, საბოლოო ჯამში, ხელს უწყობს საზოგადოებრივი ინტერესების და საზოგადოებრივი კეთილდღეობის რეალიზაციას, ისე რომ კერძო ინტერესით, საკუთარი კეთილდღეობისთვის მოქმედ ადამიანს წინასწარ განზრახული არ აქვს საზოგადოებრივი ინტერესების და საზოგადოებრივი კეთილდღეობის აღსრულება, ხოლო აღნიშნული შედეგის გამომწვევ მიზეზად მას დასახელებული აქვს რაღაც ,,უხილავი ხელი''. მაგრამ კითხვაზე თუ რას წარმოადგენს რეალურად ,,უხილავი ხელი'',

[46] Mybook.ru/author/adam – smit/issledovanie – o – prirode – i – prichinah – bogatstva – nar – 3/read/.

ავტორს ე.ი. ადამ სმითს კონკრეტული პასუხი არ მოუცია. აქედან გამომდინარე წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა ,,უხილავი ხელის'' თეორისს განმარტებასთნ დაკავშირებით. დღესდღეობით ,,უხილავი ხელის'' თეორიის ყველაზე ხშირად გამოყენებადი განმარტებები შეიძლება პირობითად დაიყოს **ეკონომიკურ** და **არა ეკონომიკურ** განმარტებად, რომელზეც ჩვენ გვექნება საუბარი.

2.2.1 ,,უხილავი ხელის'' თეორიის არა ეკონომიკური განმარტება

დღესდღეობით ,,უხილავი ხელის'' თეორიის ყველაზე გავრცელებული არა ეკონომიკური განმარტება, ადამ სმითის და მისი სამეცნიერო მემკვიდრეობის მკვლევართა შორის, არის აღნიშნული თეორიის რელიგიური განმარტება.

ჯეიკობ ვაინერი, თავის ნაშრომში ,,ღვთის ნამოქმედარის როლი საზოგადოებრივ წყობილებაში'', შემდეგ სიტყვებს წერს: ,,მე ვალდებული ვარ ის ვამტკიცო რომ ადამ სმითის იდეების სისტემა, მისი ეკონომიკური თეორიის ჩათვლით, არ შეიძლება სწორად იქნას გაგებული, თუ ჩვენ მასში თეოლოგიურ ელემენტებს და უხილავ ხელს ვუგულებელყოფთ''.[47]

ხოლო ალეკ მაკფი, ადამ სმითის შრომების ერთ - ერთი რედაქტორი, თავის ნაშრომში ,, უხილავი ხელი ზნეობრივი გრძნობების თეორიაში'' შემდეგ სიტყვებს წერს: ,,უხილავი ხელი - სხვა არაფერია თუ არა ზნეობრივი გრძნობების თეორიაში გამოყენებული ღმერთის ერთ - ერთი სახელი''.[48]

ამ მიმართულებით საყურადღებოა ადამ სმითის თეორიული მემკვიდრეობის ერთ - ერთი ყველაზე ავტორიტეტული მკვლევრის გლორია ვივენცას აზრი, რომელსაც იგი ავითარებს ნაშრომში ,,ფაქტორი, მოქმედება და მაყურებელი''. იგი აღნიშნულ ნაშრომში ,,უხილავი ხელის'' თეორიის კონტექსტუალური და რიტორიკული ანალიზის საფუძველზე, იმ დასვნამდე მიდის რომ პრაქტიკულად გარდაუვალია, ,,უხილავი

[47] https://cyberleninka.ru/..../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.
[48] იქვე.

ხელის'' თეორიისთვის, თეოლოგიური თუ არა თელეოლოგიური მნიშვნელობის მინიჭება.

ადამ სმითის თეორიული მემკვიდრეობის, აგრეთვე ერთ - ერთი ავტორიტეტული მკვლევარის პატრიცია ვერჰეინის აზრის თანახმად, რომელსაც იგი ავითარებს თავის ნაშრომში ,,ადამ სმითი და მისი მემკვიდრეობა მოდერნისტული კაპიტალიზმისთვის'' , ,,უხილავი ხელის'' თეორია არის ადამ სმითის მეტაფიზიკური სპეკულაციის ერთ - ერთი ნიმუში.

ხოლო პ. ჰარისონმა, რომელმაც დაწერა ნაშრომი, რომლის სახელწოდებაა ,,ადამ სმითი და უხილავი ხელის ისტორია'', ვარაუდს გამოთქვამს იმის შესახებ რომ ადამ სმითის ეკონომიკური თეორია, ღვთის ნამოქმედარის შესახებ დოქტრინის გადატანას წარმოადგენს, ისტორიიდან ეკონომიკაში.

ზემოდაღნიშნული მკვლევრების გარდა, ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიას, რელიგიურ განმარტებას აძლევენ აგრეთვე შემდეგი მკვლევარები: დ. უინჩი, ე. როტშილდი, უ. გრამპი, ე. უოტერმანი, გ. კენედი და ე. ბრიუერი. ეს ყველა სწავლული ადამ სმითის სამეცნიერო მემკვიდრეობის კვლევის დროს ადამ სმითის სხვა მკვლევართა ნაშრომებს იყენებს, რომლებიც ეფუძნება შოტლანდიური განმანათლებლობის შესახებ უამრავ ლიტერატურას და ისტორიულ ლიტერატურას მეცნირებისა და რელიგიის ურთიერთობის შესახებ.

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებით მნიშვნელოვან თვალსაზრისს, ,,უხილავი ხელის'' თეორიის რელიგიური განმარტების კონტექსტში, ავსტრალიის, ქალაქ სიდნეის უნივერსიტეტის, ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის, პოლ ოსლინგტონის თვალსაზრისი წარმოადგენს, რომელსაც იგი ავითარებს თავის ეკონომიკურ სტატიაში ,,ღმერთი და ბაზარი: ადამ სმითის უხილავი ხელი'' .

,,უხილავი ხელის'' თეორიის რელიგიური ახსნისას, იგი ადამ სმითის ბიოგარაფიიდან გამოდის, კერძოდ, გამოყოფს მისი ცხოვრებიდან შემდეგ ფაქტებს:

1) ადამ სმითის მამის გარდაცვალების შემდეგ მას ზრდიდა დედა, რომელიც რელიგიური ამღსარებლობით კალვინისტი იყო.

2) ადამ სმითი და მისი თანამედროვე ინტელექტუალები, რეგულარულად დადიოდნენ ეკლესიაში, რომელიც ასოცირდებოდა ზომიერი პრესვიტარიანელობის მიმართულებასთან.

3) ადამ სმითის 1750 - იანი წლების ლექციები ზნეობრივ ფილოსოფიაში იწყებოდა საბუნებისმეტყველო თეოლოგიით. ამის შესახებ ცნობას ადამ სმითის ყოფილი მსმენელი ჯონ მილარი გვაწვდის, რომელიც შემდეგ სიტყვებს წერს: ,,ლექციების კურსი... შედგებოდა ოთხი ნაწილისგან. ამმათთაგან პირველი საბუნებისმეტყველო თეოლოგიას შეიცავდა; აქ განიხილებოდა ღვთის არსებობის დამტკიცებები და მისი აღწერა ,აგრეთვე ცნობიერების პრინციპები, რომელსაც რელიგია ეფუძნება''.[49]

ზემოთაღნიშნული ფაქტების საფუძველზე პოლ ოსლინგტონი დაასკვნის რომ რელიგია, რომლის არსებობა ,ადამ სმითის ცხოვრებაში, რეალურად დასტურდება, მისი შეხედულებების და მსოფლმხედველობის საფუძველი გახდა, რომელმაც თავისი გამოხატულება მის მიერ დაწერილ შრომებში ჰპოვა, კერძოდ, ,,ასტრონომიის ისტორიაში'', ,,ზნეობრივი გრძნობების თეორიაში'' და ეკონომიკურ ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''.

ხოლო კითხვაზე: ,, რომელმა რელიგიურმა იდეებმა მოახდინა მის ეკონომიკურ თეორიაზე ზემოქმედება?'', პოლ ოსლინგტონი ცალსახად შემდეგ პასუხს იძლევა: ,,ჩემი ხედვით უფრო მნიშვნელოვანი ზემოქმედება ადამ სმითზე კალვინისტურმა ღვთისმეტყველურმა ტრადიციამ მოხდინა, რომელიც პრესვიტარიანული ექლესიის ინტელექტუალური საფუძველი იყო და რომელიც გაბატონებული იყო შოტლანდიაში XVIII საუკუნეში''. [50] ამასთან დაკავშირებით მას მოჰყავს დევიდ ფერგიუსონის თვალსაზრისი, მისი ისეთი ნაშრომიდან როგორიცაა ,,გაბატონებული თეოლოგია

[49]https://cyberleninka.ru/..../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.
[50] იქვე.

ზომიერ ინტელექტუალებში შოტლანდიური განმანათლებლობის ეპოქაში''. აღნიშნული ნაშრომიდან პოლ ოსლინგტონს შემდეგი სიტყვები მოჰყავს: ,,განსაკუთრებით ხაზგასმულია ღვთის როლი, როგორც სამყაროს შემქნელის და მფარველის. ბუნების სამყარო ღვთის ყოფნის ნიშნებებს იძლევა; ამასთან კავშირში ფართო აღიარება ჰპოვა აზრმა ღვთის ჩანაფიქრის შესახებ. ხაზგასმულია რელიგიის სიკეთის მქნელი როლი სამოქალაქო საზოგადოებაში. იგი ხელს უწყობს საზოგადოებრივი წყობის და ჰარმონიის ჩამოყალიბებას.ირაციონალური ფანატიზმისგან და მოუსვენრობისგან განწმენდილი რწმენა გამაერთიანებელ ფუნქციას ასრულებს, რომელიც ზნეობრივ მიმართულებას იძლევა და ფოკუსირდება იმაზე, რასაც იგი ადამიანურ ცხოვრებას სთავაზობს. სიკეთის მქნელმა და ბრძენმა ღმერთმა სამყარო ისე მოაწყო რომ მისი ზნეობრივი და მეცნიერული კანონები ადამიანურ კეთილდღეობას უწყობს ხელს. დამატებით ზნეობრივ მოტივაციას წარმოადგენს ესხატოლოგიური მდგომარეობის პერსპექტივა, როდესაც სიკეთის ქმნა და სიამოვნება ერთმანეთს ემთხვევა ''.[51]

ამგვარად, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, უნდა ითქვას რომ ,,უხილავი ხელის'' თეორიის არა ეკონომიკურ განმარტებას ე.ი. რელიგიურ გნმარტებას, საკმარისად ბევრი მომხრე ჰყვას, რომელიც აღნიშნული თეორიის ცენტრში რელიგიას ათავსებს. მაგრამ აღსანიშნავია რომ თუ ადამ სმითის ნაშრომებში, ყურადრებას იმ ნაწილებს მივაქცევთ, სადაც იგი ,,უხილავი ხელის'' ტერმინს იყენებს და მას შესაბამის შრომებთან მჭიდრო კავშირში განვიხილავთ, მაშინ ჩვენ დავინახავთ რომ ადამ სმითს საუბარი ამ ქვეყნიურ მოვლენებზე და კანონზომიერებებზე ე.ი. მატერიალური სამყაროს მოვლენებზე და კანონზომიერებებზე აქვს. კერძოდ, ,,ასტრონომიის ისტორიაში'' იგი ,,უხილავ ხელს'' ისეთ ფიზიკურ მოვლენას უწოდებს, რომელსაც ადამიანი, ცოდნის ნაკლებობის გამო, აღტაცებაში მოჰყავს. ,,ზნეობრივი გრძნობების თეორიაში'' იგი საზოგადოებისათვის და ადამიანისთვის დამახასიათებელ ისეთ ამ ქვეყნიურ მოვლენაზე გვესაუბრება როგორიცაა ეთიკა და ,,უხილავ ხელს'' მიზეზობრივ მოვლენას

[51] https://cyberleninka.ru/..../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.

უწოდებს, რომელიც ეთიკის სფეროში საშედეგო მოვლენას იწვევს. ხოლო ეკონომიკურ ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', ადამ სმითი აგრეთვე საზოგადოებისათვის და ადამიანისათვის დამახასიათებელ ისეთ ამ ქვეყნიურ მოვლენაზე გვესაუბრება როგორიცაა ეკონომიკა და ,,უხილავ ხელს'' აგრეთე მიზეზობრივ მოვლენას უწოდებს, რომელიც საშედეგო მოვლენას ეკონომიკის სფეროში იწვევს. ამასთან დაკავშირებით აგრეთვე მნიშვნელოვანია ერთი მარტივი კითხვის დასმა რომელიც ,,უხილავი ხელის'' თეორიის რელიგიურ განმარტებას ,,თამაშგარე'' ტოვებს'' და რომელიც შეიძლება შემდეგნაირად ჩამოყალიბდეს: ,, რომელი რელიგია აღიარებს პრინციპს, რომლის თანახმადაც კერძო ინტერესი ე.ი. ეგოიზმი სასარგებლოა საზოგადოებისთვის ?'' ამასთან დაკავშირებით, უნდა ითქვას რომ აღნიშნულ პრინციპს არც ერთი რელიგია არ აღიარებს და უფრო მეტიც ყველა რელიგია მსოფლიო მასშტაბით აღნიშნული პრინციპის საწინააღმდეგო პრინციპს აღიარებს, რაც შესაბამისად აგრეთვე ნათლად გვიჩვენებს რომ ,,უხილავი ხელის'' თეორიის რელიგიური განმარტება არსებობის კანონიერ საფუძველსაა მოკლებული.

2.2.2 ,,უხილავი ხელის''თეორიის ეკონომიკური განმარტება

დღევანდელობის გათვალისწინებით, ,,უხილავი ხელის'' თეორიის გავრცელებული ეკონომიკური განმარტებები არის აღნიშნული თეორიის როგორც ან კერძო ინტერესად წარმოჩენა ან კიდევ მისი გაიგივება ბაზართან. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ მეცნიერ - ეკონომისტები ,,უხილავი ხელის'' თეორიას განმარტავენ როგორც **პირადი ინტერესის თეორიას** ან კიდევ როგორც **ბაზრის თეორიას.**

ძნელია იმის თქმა თუ აღნიშნული თეორიის რომელი ეკონომიკური განმარტება უფრო გავრცელებულია ეკონომისტებს შორის, რადგან მრავლად მოიძებნება როგორც პირველი პოზიციის, ისე მეორე პოზიციის მომხრე მეცნიერ - ეკონომისტები.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი მეცნიერ - ეკონომისტი მიიჩნევს, რომ ადამ სმითმა , ,,უხილავი ხელის'' თეორია, ჰოლანდიელი სწავლულის ბერნარ მანდევილის (1670 -

1733) ნაშრომის საფუძველზე განავითარა, რომლის სახელწოდებაა ,,იგავი ფუტკრებზე'', რომელიც გამოქვეყნდა 1714 წელს. აღნიშნულ ნაშრომში ბერნარ მანდევილი ,,ფუტკრების საზოგადოებაზე'' საუბრობს, სადაც ყოველი ინდივიდის ქმედება, მხოლოდ კერძო ინტერესით და გაუმაძღრობით წარიმართება, ეს კი ,,ფუტკრების საზოგადოების'' არსებობას და განვითარებას უწყობს ხელს. ხოლო შემდეგ, როდესაც ერთ დღეს ,,ფუტკრების საზოგადოება'' გადაწყვეტს რომ ზნეობრივი ანუ მორალური საზოგადოება გახდეს, შედეგად გაღარიბებას მიიღებს და საბოლოო ჯამში განადგურდება. აქედან გამოდინარე ბერნარ მანდევილი დაასკვნის რომ კერძო ინტერესი და გაუმაძღრობა საზოგადოების არსებობის და განვითარების ფაქტორებია. ჯონ მეინარდ კეინზმა და ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკმა დადებითად შეაფასეს ბერნარ მანდევილის იდეა, რომელიც მან თავის ნაშრომში ,,იგავი ფუტკრებზე'' ჩამოაყალიბა და უფრო მეტიც, კერძოდ, ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკმა მოსაზრება გამოთქვა რომ ადამ სმითს კარგად ესმოდა ბერნარ მანდევილის იდეა, რაც იმის მანიშნებელია რომ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი ავიათარებს აზრს იმის შესახებ რომ ბერნარ მანდევილის ,,იგავს ფუტკრებზე'' და ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიას საერთო ფუძემდებლური ნიშან - თვისება აქვს, კერძოდ, ეს საერთო ფუძემდებლური ნიშან - თვისება არის კერძო ინტერესით მოქმედი ინდივიდი, რომელიც ადამ სმითთან მოიხსენიება როგორც ეგოისტი ადამიანი. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ ფრიდრიხ ავგუსტ ფონ ჰაიეკი ,,უხილავი ხელის'' თეორიას კერძო ინტერესის თეორიად მიიჩნევს. იგივე მოსაზრებისაა ცნობილი ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ეკონომიკის დარგში, ჯოზეფ სტიგლერი. იგი ,,უხილავი ხელის'' თეორიაზე წერს რომ ადამ სმითმა კონკურენციის პირობებში, კერძო ინტერესით, მოქმედი ადამიანის ანალიზი მოგვცა.

ხოლო ზოგიერთი მეცნიერ - ეკონომისტი ,,უხილავი ხელის'' თეორიას მიიჩნევს ბაზრის თეორიად. ამასთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია ცნობილი ამერიკელი ეკონომისტის, ნობელის პრემიის ლაურეატის, მილტონ ფრიდმენის მოსაზრება ,,უხილავი ხელის'' თეორიის შესახებ. იგი წერს რომ ადამ სმითის ხედვა თუ როგორ უნდა მოხდეს მრავალი ადამიანის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ბაზრის მეშვეობით,

ყოველგვარი ცენტრალური დაგეგმვის გარეშე, დახვეწილია და საინტერესო. ხოლო ავსტრიული ეკონომიკური სკოლის მიმდევარი ლეონარდ რიდი თავის ნაშრომში ,,მე ფანქარი'' ,,უხილავი ხელის'' თეორიას და მის ქმედებას ფანქრის შექმნაში ახასიათებს როგორც სასწაულს.

მაგრამ, ყოველივე ზემოთაღნიშნულთან დაკავშირებით, უნდა ითქვას რომ ,,უხილავი ხელის'' თეორიის მხოლოდ კერძო ინტერესსზე დაყვანა ე.ი. მისი როგორც კერძო ინტერესის თეორიად წარმოჩენა ან კიდევ მხოლოდ ბაზარზე დაყვანა ე.ი. მისი როგორც ბაზრის თეორიად წარმოჩენა, ყოვლად გაუმართლებელია. აღნიშნული თეორიის ასეთნაირი გაგება შეზღუდულია და შორს არის ჭეშმარიტებისაგან.

,,უხილავი ხელის'' თეორია, არ შეიძლება გაგებული იქნას როგორც კერძო ინტერესის თეორია შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების გამო:

1) კერძო ინტერესი არის საშედეგო მოვლენა, რომელსაც თვისი მიზეზობრივი მოვლენა გააჩნია, რომელიც ,,უხილავი ხელის'' თეორიაში, ,,უხილავი ხელის'' როგორც სისტემის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილია და რაზეც ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი.

2) ,,უხილავი ხელის'' თეორიის აღწერითი განმარტებიდან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ კერძო ინტერესი, აღნიშნული თეორიის მხოლოდ ერთი მხარეა, რომელიც ,,უხილავი ხელის'' საფუძველზე ჰარმონიულად ერწყმის მის მეორე მხარეს ე.ი. საზოგადოებრივ ინტერესს და რაზეც აგრეთვე ჩვენ შემდეგში გვექნება საუბარი.

,,უხილავი ხელის'' თეორია, არ შეიძლება გაგებული იქნას როგორც ბაზრის თეორია, აგერთვე, შემდეგი მნიშვნელოვანი გარემოებების გამო:

1) ბაზარი, ,,უხილავი ხელის თეორიაში'', არის ,,უხილავი ხელის'' როგორც სისტემის ერთ - ერთი შემადგენელი ნაწილი, რაზეც ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

2) ბაზარს, როგორც სისტემას, ქმნიან ესა თუ ის შემადგენელი ნაწილები, რომელნიც ,,უხილავი ხელის'' თეორიაში ,,უხილავი ხელის'' ქვეშ ერთიანდებიან და რომელზეც ჩვენ აგარეთვე ქვემოთ გვექნება საუბარი.

აღსანიშნავია რომ გარდა ზემოთაღნიშნული კერძო გარემოებებისა, არსებობს ზოგადი გარემოება, რომელიც სამართლიანად მიგვანიშნებს იმაზე რომ ,,უხილავი ხელის'' თეორიის წარმოჩენა როგორც კერძო ინტერესის თეორიად ან კიდევ ბაზრის თეორიად ყოვლად გაუმართლებელია. აღნიშნული ზოგადი გარემოება ის არის რომ ისეთი ეკონომიკური მოვლენები როგორიცაა კერძო ინრტერესი და ბაზარი, ,,უხილავი ხელის'' თეორიად წარმოჩენის დროს, ყოველგვარი დროისა და სივრცის მოცემულობის გარეშეა აღებული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გულისხმობს რომ ისეთი ეკონომიკური მოვლენები როგოიცაა კერძო ინტერესი და ბაზარი ისეთივე ძველი ეკონომიკური მოვლენებია როგორც პერიოდი მონათმბლობლური საზოგადოებიდან დღემდე, მაგრამ აღნიშნულ მოვლენებთან დაკავშირებით სამართლიანად შეიძლება ითქვას რომ ჩვენ არ ვხვდებით ,,უხილავი ხელის'' მოვლენას ადრეული ეკონომიკური სისტემების პირობებში და ვხვდებით მხოლოდ ისეთი ეკონომიკური სისტემის პირობებში როგორიცაა კაპიტალიზმი, რასაც ხშირად მეცნიერები არ ითვალისწინებენ.

2.3. ,,უხილავი ხელის'' თეორიის არსი და მნიშვნელობა

აღსანიშნავია რომ ,,უხილავის ხელის'' თეორია ადამ სმითმა ჩამოაყალიბა თავის ეკონომიკურ ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''.

,,უხილავი ხელის'' თეორია გულისხმობს რომ ადამიანი მოქმედებს კერძო ინტერესით, საკუთარი კეთილდღეობისთვის, ხოლო ამ ქმედებით ,,უხილავ ხელს'' ადამიანი მიჰყავს ისეთი შედეგებისკენ, რომლებიც არ შედიოდა ადამიანის განზრახვაში და შესაბამისად ადამიანის უნებურად განაპირობებს საზოგადოებრივი ინტერესების აღსრულებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას. ამ განმარტებაში ჩვენ შეგვიძლია

გამოვყოთ სამი მნიშვნელოვანი გარემოება, რომელიც საერთო ჯამში ქმნიან ,,უხილავი ხელის'' თეორიას, კერძოდ, ეს გარემოებებია:

1) კერძო ინტერესი და საკუთარი კეთილდღეობა - ,, უხილავის ხელის'' თეორიის თანახმად ადამიანი მოქმედებს კერძო ინტერესით , საკუთარი კეთილდღეობისთვის.

2) საზაოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა - ,,უხილავი ხელის'' თეორიის თანახმად არსებობს საზოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა, რომელიც მიიღწევა კერძო ინტერესით, საკუთარი კეთილდღეობისთვის მოქმედი ადამიანის საფუძველზე და რომელიც არ შედის მის განზრახვაში.

3) ,,უხილავი ხელი'' - ,,უხილავი ხელის'' თეორიის თანახმად მიზეზობრივი მოვლენა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო ინტერესის და საზოგადოებრივი ინტერესის, აგრეთვე საკუთარი კეთილდღეობის და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჰარმონიულ თანაარსებობას ე.ი. საშედეგო მოვლენას, არის ,,უხილავი ხელი''.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ **,,უხილავი ხელის'' თეორია, როგორც სამეცნიერო თეორიული სისტემა, შედგება სამი ისეთი შემადგენელი ნაწილისგან როგორიცაა კერძო ინტერესი და საკუთარი ინტერესი, საზოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა და ,,უხილავი ხელი'' , ხოლო ამ სისტემაში ამ სამ ნაწილს შორის მყარდება ისეთი ურთიერთობა, რომლის დროსაც სისტემის პირველი და მეორე შემადგენელი ნაწილები ე.ი. კერძო ინტერესი და საკუთარი კეთილდღეობა, საზოგადოებრივი ინტერესი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა, ჰარმონიულად თანაარსებობს სისტემის მესამე შემადგენელი ნაწილის საფუძველზე ე.ი. ,,უხილავი ხელის საფუძველზე''.** ამიტომ იმისათვის რათა შემეცნებული იქნას ,,უხილავი ხელის'' თეორია, გაგებული იქნას მისი არსი და მნიშვნელობა, აუცილებელია პასუხი გაეცეს ისეთ საკითხს როგორიცაა ,,რა არის ,,უხილავი ხელი'' ,,უხილავი ხელის'' თეორიაში?''

მაგრამ ამ საკითხზე პასუხის გაცემის დასაწყისშივე, ჩვენ ვაწყდებით სირთულეს რომელიც დაკავშირებულია ,,უხილავი ხელის'' თეორიის ეპისტემელოგიასთან, რაც გულისხმობს იმას რომ აღნიშნულ საკითზე პასუხის გასაცემად აუცილებელია მეორე საკითხიც დაისვას, რომელიც მჭიდრო კავშირშია პირველ საკითხთან და შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს: ,,როგორ უნდა გავცეთ პასუხი კითხვაზე რა არის ,,უხილავი ხელი'' ადამ სმითის ,,უხილავი ხელის" თეორიაში?'' უნდა გავიგოთ იგი მხოლოდ იმ მონაკვეთის საშუალებით, მისი ეკონომიკური ნაშრომიდან ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'', სადაც იგი გვხდება, თუ პირიქით უნდა გავიგოთ იგი აღნიშნული მონაკვეთის მის მთელ ეკონომიკურ ნაშრომთან კავშირის საფუძველზე ე.ი. ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' საფუძველზე.

ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ თუ ჩვენ ვეცდებით პასუხი გავცეთ საკითხს ,,რა არის ,,უხილავი ხელი'' ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიაში?'' მხოლოდიმ იმ მონაკვეთის საფუძველზე ,,ხალხთა სიმდიდრიდან'', სადაც იგი მოიხსენიება, ჩვენ აღნიშნულ საკითხზე პასუხის ნაცვლად ხელთ შეგვრჩება მოვლენა, რომლის არსი გაუგებელი დარჩება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გულისხმობს რომ ასეთი მიდგომით, ჩვენ მხოლოდ აღვწერთ ისეთი სახის მოვლენას, სადაც კერძო ინტერესის და საზოგადოებრივი ინეტერესის და აგრეთვე საკუთარი კეთილდღეობისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის ჰარმონიული თანაარსებობა უზრუნველყოფილი იქნება რაღაც ,,უხილავი ხელით'', რომლის შესახებ მხოლოდ ის გვეცოდინება რომ იგი არის რაღაც მიზეზობრივი მოვლენა, რომელიც ზემოთაღნიშნულ საშედეგო მოვლენას იწვევს და შესაბამისად საკითხი გადაუჭრელი დარჩება.

ხოლო თუ ჩვენ ვეცდებით პასუხის გაცემას საკითხზე, ,, რა არის ,,უხილავი ხელი'' ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიაში ?'', მისი მთელი ეკონომიკური ნაშრომის საფუძველზე, იმ მონაკვეთთან მჭიდრო კავშირში, სადაც იგი მოიხსენიება, ჩვენ აუცილებლად შევძლებთ აღნიშნულ საკითხზე პასუხის გაცემას და შესაბამისად ჩვენს

მიერ გაგებული იქნება მოვლენის არსი, რადგან აღნიშნული ხედვა ,,შოტლანდიელი ბრძენის'' ეკონომიკური ნამოქმედარის სისტემურ ხედვას წარმოადგენს, რომლის გარეშეც შეუძლებელია გაგებული იქნას ,,უხილავი ხელის'' თეორია.

ამგვარად, ჩვენს მიერ ,,უხილავი ხელის'' თეორიის ეპისტომოლოგიური საკითხი, გადაწყდება მეორე მიდგომის საფუძველზე ე.ი. ჩვენ, საკითხზე ,,რა არის უხილავი ხელი ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიაში?'', პასუხის გაცემას ვეცდებით არა მხოლოდ იმ მონაკვეთის საფუძველზე, სადაც მოიხსენიება ,,უხილავი ხელი'', არამედ ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' მთელი ნაშრომის საფუძველზე.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ისმის კითხვა: ,,რა არის ,,უხილავი ხელი'' ადამ სმითის უხილავი ხელის თეორიაში, მისი მთელი ეკონომიკური ნაშრომის ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნებისა და მიზეზების შესახებ'' საფუძველზე ? " პასუხი ამ კითხვაზე შემდეგნაირად უნდა ჩამოყალიბდეს: ,,უხილავი ხელი'' ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიაში არის მეტაფორა, რომლის ქვეშ მეცნიერმა არ იგულისხმა არც მხოლოდ ბაზარი და არც მხოლოდ კერძო ინტერესი, მაგრამ ორივე ერთად იგულისხმა, როგორც ეკონომიკური სისტემის შემადგენელი ნაწილები , ეკონომიკური სისტემის კიდევ სხვა შემადგენელ ნაწილებთან ერთად ჯამში აღებული, რომელიც საერთო ჯამში არის **წმინდა კაპიტალიზმი .** სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ,,უხილავი ხელი'' , ,,უხილავი ხელის'' თეორიაში, არის წმინდა კაპიტალიზმი , სწორედ ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც წარმოადგენდა ადამ სმითის თანამედროვე ეკონომიკური ცხოვრების ობიექტურ მოცემულობას, რომლის შესწავლის შედეგად, მეცნიერმა დაინახა მასში თუ როგორ უწყობდა ხელს, კერძო ინტერესით, საკუთარი კეთილდღეობისათვის მოქმედი ადამიანი, საზოგადოებრივი ინტერესების აღსრულებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას.

ზემოთაღნიშნულ მდგომარეობას ადასტურებს ის რომ, წმინდა კაპიტალიზმი, როგორც სისტემა, ისეთი შემადგენელი ნაწილებისაგან შედგება, როგორიცაა:

1) კერძო საკუთრება

2) არჩევანის თავისუფლება

3) კონკურენცია

4) ბაზარი

5) სახელმწიფოს შეზღუდული როლი

ხოლო ადამ სმითი თავის ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ'' სისტემის ყოველ შემადგენელ ნაწილს განიხილავს, შეიმეცნებს მათ და მის მიერ ასე დანახული ეკონომიკური წესრიგის სახით, ხედავს მიზეზობრივ მოვლენას, რომელიც ისეთ საშედეგო მოვლენას იწვევს, როდესაც კერძო და საზოგადოებრივი ინტერესი და აგრეთვე საკუთარი და საზოგადოებრივი კეთილდღეობა ჰარმონიულად თანაარსებობს. მოდით უფრო დაწვრილებით განვიხილოდ ჩვენს მიერ აღნიშნული თვალსაზრისი.

1) კერძო საკუთრება - წმინდა კაპიტალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც რესურსებზე კერძო საკუთრებას ეფუძნება. საკუთრება არის რაიმე ნივთის ფლობა, ხოლო კერძო საკუთრება არის რაიმე ნივთის ფლობა ინდივიდის მიერ. წმინდა კაპიტალიზმის დროს ეკონომიკური რესურსები ცალკეული ადამიანების და კერძო ინსტიტუტების ხელში იმყოფება. აღნიშნული მდგომარეობა სათავეს ისეთ ეკონომიკურ მოვლენას აძლევს, როგორიცაა კერძო ინტერესი, რომელიც იმას გულისხმობს რომ ყოველი ადამიანის მოქმედება კერძო ხასიათს ატარებს. აღსანიშნავია რომ ადამ სმითი თავის გამოკვლევაში განიხილავს როგორც კერძო საკუთერბას ისე კერძო ინტერესსაც. კერძო საკუთრებასთან დაკავშირებით იგი საუბრობს გამოკვლევის I წიგნის, VI თავში, როდესაც აანალიზებს საქონლის და მომსახურების ფასის შემადგენელ ნაწილებს. აქ იგი საუბრობს რომ განუვითარებელ საზოგადოებაში შრომის მთელი პროდუქტი მშრომელს ეკუთვნოდა, მაგრამ ცივილიზებულ საზოგადოებაში, რომელსაც წინ უძღოდა კაპიტალის დაგროვება, რესურსები კერძო პირების ხელშია და შესაბამისად შრომის პროდუქტიც

რესურსების მფლობელებს შორის იყოფა. ხოლო, რაც შეეხება კერძო ინტერესს, იგი მასზე საუბრობს გამოკვლევის I წიგნის II თავში როდესაც შემდეგ სიტყვებს წერს: ,,არა ყასბის, ლუდის მხდელის და მეპურის კეთილგანწყობილებისაგან მოველით ჩვენ ჩვენს სადილს, არამედ მათ მიერ საკუთარი ინტერესების დაცვისგან. ჩვენ მივმართავთ არა მათ ჰუმანობას, არამედ მათ ეგოიზმს, და მათ არასოდეს რა ვეკლაპარაკებით ჩვენს საჭიროებაზე, არამედ მათ სარგებლობაზე''.[52]

2) არჩევანის თავისუფლება - წმინდა კაპიტალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც არჩევანის თვისუფლებას ემყარება. იგი ცალკეული ადამიანების ხელში მოქცეული ეკონომიკური რესურსების საკუთარი შეხედულებებისამებრ განკარგვას გულისხმობს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ არჩევანის თავისუფლება არის, რესურსი მფლობელის მიერ, რესურსის გამოყენების თავისუფლება. აღსანიშნავია რომ ძნელია იმის თქმა სად არ გვესაუბრება ადამ სმითი თავის ეკონომიკურ გამოკვლევაში არჩევანის თავისუფლებაზე, რადგან მისი მთელი ეკონომიკური გამოკვლევა თავისუფლად მოქმედი ადამიანების ანალიზს მოიცავს ე.ი. ისეთი ადამიანების ანალიზს, რომელნიც თავისუფლებას ფლობენ ხელთ არსებული ეკონომიკური რესურსების განკარგვის საკითხში.

3) კონკურენცია - წმინდა კაპიტალიზმი არის ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც კონკურენციას ეფუძნება. კონკურენცია მეტოქეობას გულისხმობს წარმოების, განაწილების, გაცვლის და მოხმარების პროცესში. ამასთან დაკავშირებით, აუცილებელია ითქვას რომ კერძო საკუთრება და არჩევანის თავისუფლება იმას განაპირობებს რომ ყოველ ადამიანს, თავისი რესურსის მინიმალური დანახარჯების საფუძვლზე, სურს მიაღწიოს მაქსიმალურ შედეგს, ეს კი კონკურენციის აღმოცენებას და მის არსებობას იწვევს კაპიტალიზმის პირობებში. ადამ სმითი კონკურენციის შესახებ გვესაუბრება თვისი ეკონომიკური გამოკვლევის მრავალ ადგილში, საიდანაც ნათლად ჩანს რომ იგი კონკურენციის თავდადებული მომხრე და დამცველია.

[52] სმითი ა., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი 2007., გვ. 26.

4) ბაზარი - წმინდა კაპიტალიზმი არის ისეთი ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეფუძნება ბაზარს. ბაზარი არის ადამიანების შორის , სხვადასხვა რესურსის გაცვლა - გამოცვლის ადგილი. იგი სამ ძირითად ფუნქციას ასრულებს:

ა) ფასწარმოქმნის ფუნქცია

ბ) შუამავლობის ფუნქცია

გ) ინფორმაციული ფუნქცია

ბაზარზე მოთხოვნის და მიწოდების საბაზრო ძალები მოქმედებს, რომელსაც რესურსებზე კერძო საკუთრების მფლობელნი და შესაბამისად თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობის მქონე ადამიანები ქმნიან. ადამ სმითი ბაზართან დაკავშირებით თავისი ეკონომიკურ გამოლვლევის I წიგნის VII თავში გვესაუბრება. აქ იგი ბაზრის მუშაობის მექანიზმს განიხილავს და სამ შემთხვევაზე საუბრობს, კერძოდ, როდესაც მოთხოვნა მიწოდებას აღემატება და პირიქით როდესაც მიწოდება მოთხოვნას აღემატება და აგრეთე როდესაც მიწოდება და მოთხოვანა ერთამანეთის ტოლია.

5) სახელმწიფოს შეზღუდული როლი - წმინდა კაპიტალიზმი არის ეკონომიკური სისტემა, რომელიც სახელმწიფოს შეზღუდულ როლს ეფუძნება სამეურნეო საქმიანობაში. ეს იმას გულისხმობს რომ სახელმწიფომ, ეკონომიკურ საქმიანობაში ჩარევის კონტექსტში, უნდა მოირგოს მხოლოდ ,,ღამის დარაჯის'' როლი, რაც მხოლოდ ეკონომიკური სიტემის მიერ ბუნებრივად მოცემული წესების დაცვას და მათ ზედამხედველობას გულისხმობს. ადამ სმითი თავის ეკონომიკური გამოკვლევის უამრავ ადგილში სწორედ სახელმწიფოს შეზღუდული როლის შესახებ საუბრობს სამეურნეო საქმიანობაში ე.ი. ეკონომიკურ საქმიანობაში. ამის დასადასტურებლად საკმარისი იქნება მისი გამოკვლევის მხოლოდ V წიგნიც, სადაც ის სახელმწიფოს ფუნქციებზე საუბრობს და სადაც ნათლად იკითხება შეზღუდული ჩარევის მომხრე ეკონომისტის პოზიცია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,უხილავი ხელი'' წმინდა კაპიტალიზმის სახით შემდეგნაირად მოქმედებს: კერძო საკუთრება, განაპირობებს

საზოგადოებაში სხვადასხვა რესურსის ცალკეული ადამიანების ხელში მოხვედრას და მათში კერძო ინტერესის და თვისუფალი არჩევანის აღმოცნენებას იწვევს. შემდეგ ასეთი მახასიათებლების მქონე ადამიანები, პირველადი და მეორადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, ერთნანეთთან ეკონომიკურ ურთიერთობებში შედიან, ეს კი კონკურენციის და ბაზრის აღმოცენებას განაპირობებს, რომელიც საბოლოო ჯამში, ყოველი ცალკეული ადამიანის უნებლიედ, საზოგადოების ხელთ არსებული რესურსების ეფექტიან გამოყენებას იწვევს და შესაბამისად ასეთი წესით საოგადოებრივი ინტერესების აღსრულებას და საზოგადოებრივ კეთილდღეობას განაპირობებს, ხოლო სახელმწიფო, ამ პროცესის, მხოლოდ დაცვას და ზედამხედველობას უზრუნველყოფს.

ამგვარად, აღსანიშნავია რომ, სწორედ ეს არის ,,უხილავი ხელის'' თეორიის ჭეშმარიტი სურათი, სადაც ,,უხილავი ხელი'' არის ეკონომიკური სისტემა წმინდა კაპიტალიზმის სახით. სწორედ ასეთნაირად ხდება კერძო ინეტერსით, საკუთარი კეთილდღეობისთვის მოქმედი ადამიანის მიერ, უნებლიედ, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინება და საზოგადოებრივი კეთილდღეობის განხორციელება.

3. თავი ,,უხილავი ხელის'' თეორია და საქართველოს ეკონომიკური რეალობა

ცნობილია რომ ჩვენს მიერ აღნიშნული იქნა რომ ადამ სმითის ,,უხილავი ხელის'' თეორიაში ,,უხილავი ხელი'' არის ისეთი ეკონომიკური სისტემა, როგორიცაა კაპიტალიზმი, კერძოდ კი, კაპიტალიზმის ისეთი სახესხვაობა როგორიცაა ,,წმინდა კაპიტალიზმი'' ე.ი. ისეთი ეკონომიკური სისტემა, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მინიმუმამდეა დაყვანილი. მაგრამ ჩვენთვის ცნობილა რომ კაპიტალიზმი, რომლის მშენებლობაზეც XX საუკუნის 90 - იან წლებში გადავიდა საქართველო, წარმოადგენდა არა წმინდა კაპიტალიზმს, არამედ მის ისეთ სახესხვაობას როგორიცაა ,,შერეული კაპიტალიზმი'' ე.ი. ისეთი ეკონომიკური სისტემა, სადაც სახელმწიფოს ეკონომიკური როლი მაქსიმუმამდეა აყვანილი, რაც იმას გულისხმობს რომ სახელმწიფო ეკონომიკაში ერევა ისეთი ეკონომიკური ინსტრუმენტების საშუალებით როგორიცაა მონეტარული და ფისკალური პოლიტიკა. აქედან გამომდინარე ლოგიკურად იბადება კითხვა: ,,არის კი ,,უხილავი ხელი'' საქართველოს თანამედროვე ეკონომიკაში რომ შესაძლებელი იყოს მასზე საუბარი?'' ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას რომ კაპიტალიზმის დაყოფა **წმინდა კაპიტალიზმად** და **შერეულ კაპიტალიზმად** ძალზედ პირობითია, რადგან კაპიტალიზმის ეს ორი სახესხვაობა, ერთდროულად აღიარებს ეკონომიკური სისტემის ისეთ ფუძემდებლურ შემადგენელ ელემენტებს როგორიცა კერძო საკუთრება, არჩევანის თვისუფლება, კონკურენცია და ბაზარი, ხოლო ის საკითხი, რაშიც არ თანხმდება, ე.ი. სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ხარისხის საკითხი, ისეთნაირად არის გადაწყვეტილი რომ ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა მხოლოდ ,,უხილავი ხელის'' ე.ი. წმინდა კაპიტალიზმის შემავსებელ და არა საწინააღმდეგო ღონისძიებებს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ნათლად ჩანს რომ ,,უხილავი ხელი'', რომელიც ისეთ ეკონომიკურ სისტემას განასახიერებს როგორიცაა წმინდა კაპიტალიზმი, სამართლიანია შერეულ კაპიტალიზმსაც ეწოდოს. სხვა სიტყვებით რომ ვთაქვათ შერეული კაპიტალიზმი ,,უხილავი ხელის'' ე.ი. წმინდა კაპიტალიზმის ძირეული უარყოფა კი არ არის, არამედ იგი უბრალოდ შევსებული ,,უხილავი ხელი'' ე.ი.

შევსებული წმინდა კაპიტალიზმია, რათა მაქსიმიზებული იქნას ,,უხილავი ხელის'' ე.ი. წმინდა კაპიტალიზმის დადებითი უკუგება და მინიმუმამდე იქნას დაყვანილი მისი მავნე უკუგება. ამგვარად ,,უხილავი ხელის'' არსებობის საკითხი საქართველოში და აგრეთვე სხვა ქვეყნების ეკონომიკებში, რომელნიც აშენებენ და ავითარებენ შერეულ კაპიტალიზმს, დადებითად უნდა გადაწყდეს.

აუცილებელია ითქვას რომ წინამდებარე თემის აღნიშნულ ბოლო თავში გვექნება საუბარი ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის საქართველოში შემოსვლაზე, დამკვიდრებაზე და ფუნქციონირების თავისებურებებზე. ანალიზის აღნიშნულ პროცესში საქართელოს ეკონომიკური ისტორია, მოყოლებული ფეოდალური ეკონომიკის ლიკვიდაციიდან დღემდე, ჩვენს მიერ დაყოფილი იქნება სამ ნაწილად, რომელსაც მივცემთ პირობით სახელწოდებებს. კერძოდ ეს სამი ნაწილია:

1) ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა

2) ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღა

3) საქართელოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის ფუნქცინირების თავისებურებანი

3.1 ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა

,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა არის წმინდა კაპიტალიზმის გავრცელების პერიოდი საქართველოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის ფეოდალური ეკონომიკური წესრიგის მსხვრევის და ,,უხილავი ხელის'' ე.ი. წმინდა კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგის აღმოცენების და განვითარების პერიოდი. აღნიშნული პროცესი საქართველოში ატარებდა ევოლუციურ ხასიათს ე.ი. ეტაპობრივ ხასიათს, რამაც დადებითი უკუზეგავლენა მოახდინა საქართველოზე.

ყოველივე დაიწყო XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ეს არის პერიოდი, როდესაც ფეოდალურ რუსეთში, და მასთან ერთად ფეოდალურ საქართველოშიც, რომელიც ამ დროისთვის რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული და მისი ტერიტორიის ფარგლებში

შედიოდა, ფეოდალური ეკონომიკის წიაღში ნელი ტემპით ისახებოდა ახალი ეკონომიკური წესრიგის საფუძვლები.

ახალი ეკონომიკური წესრიგის მომხრეთა მოძრაობა ე.ი. ანტიფეოდალური მოძრაობა, დროის მსვლელობის შესაბამისად უფრო და უფრო მწვავე ხასიათს იღებდა და XIX საუკუნის 50 - იან და 60 - იან წლებში მან უკვე ძალზედ მწვავე ხასითი მიიღო. ამის ნათელი მაგალითია ის რომ 1856 - 1857 წლებში განხორციელდა გლეხთა აჯანყება სამეგრელოში. ამის შემდეგ მოხდა კიდევ გლეხთა რამოდენიმე აჯანყება, კერძოდ, 1857 წელს - იმერეთში, 1862 წელს - გურიაში, 1863 წელს - ქართლში, 1861 წელს - თბილისის მაზრაში და თიანეთის ოლქში, 1867 წელს - აფხაზეთში და კიდევ საქართველოს სხვა ადგილებში.

აღნიშნული მდგომარეობა იმის მანიშნებელია იყო რომ საჭიროა დროული მოქმედება, რეფორმის შემუშავება, რათა დესტაბილიზაცია, რომელიც ქვეყანაში ძველი ეკონომიკური წესრიგით უკმაყოფილო ხალხის მიერ იყო გამოწვეული, თავიდან მოეშორებინათ ე.ი. ჩაექროთ იგი. შესაბამისი ზომები, მაღთლაც დროულად იქნა მიღებული, კერძოდ, თბილისში, 1862 წლის აპრილის თვეში, მოწვეული იქნა აღმოსავლეთ საქართველოს თავად - აზნაურთა კრება, რომლის მიერ შედგენილი იქნა ძირითადი პრინციპები, რომელზედაც უნდა აგებულიყო საგლეხო რეფორმა საქართველოში. საგლეხო რეფორმის პროექტის შემუშავება თავად - აზნაურთა კრებამ დიმიტრი ყიფიანს დაავალა და მან შეიმუშავა ისეთი სახის საგლეხო რეფორმის პროექტი, რომელიც ათავისუფლებდა გლეხებს, მაგრამ მათ უმიწოდ ე.ი. საკუთრების გარეშე ტოვებდა.

აღსანიშნავია რომ დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავევბული საგლეხო რეფორმის პროექტი საქართველოში მოიწონა თავად - აზნაურთა უმრავლესობამ, მაგრამ ცნობილია რომ საქართველო იმ დროისთვის რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, ეს კი იმის მანიშნებელი იყო რომ საქართველო ვერ მიიღებდა ასეთ გადაწყვეტილებას რუსეთის გარეშე, რომელიც საქართველოს თავის ერთ -ერთ გუბერნიად განიხილავდა. აქედან

გამომდინარე დიმიტრი ყიფიანის საგლეხო რეფორმის პროექტი განხილული იქნა პეტერბურგში მთავარ საგლეხო კომიტეტზე და აგრეთვე კავკასიის კომიტეტის გაერთიანებულ სხდომაზე და შედეგად მთავრობამ დიმიტრი ყიფიანის მიერ შემუშავებული საგლეხო რეფორმის პროექტი, გლეხების უმიწოდ გათავისუფლების შესახებ უარყო და მასში შესწორება შეიტანა, რომლის თანახმადაც თავად - აზნაურობას რჩებოდა მიწების უდიდესი ნაწილი, მაგრამ ამავე დროს გლეხებსაც მიწის მცირე ნაწილს უტოვებდა.

1864 წლის ოქტომბრის თვეში თბილისის გუბერნიაში მთავრობის მიერ დამტკიცებული იქნა გლეხთა გათავისუფლების რეფორმა, რომელიც 8 ნოემბერს საზეიმო ვითარებაში გამოცხადდა, ხოლო შემდეგ აღნიშნული საგლეხო რეფორმა, უმნიშვნელო ცვლილებებით, საქართველოს დასავლეთ ნაწილზე გავრცელდა, კერძოდ, 1865 წელს - ქუთაისი გუბერნიაში, 1867 წელს - სამეგრელოში, 1870 წელს - აფხაზეთში და 1871 წელს - სვანეთში.

აუცილებელია ითქვას რომ საგლეხო რეფორმა, რომელიც ძირითადად მაინც თავად - აზნაურთა ინტერესებზე და შესაბამისად ძველი ეკონომიკური წესრიგის ინტერესებზე იყო მორგებული, მაინც ბურჟუაზიული მიმართულების მატარებელი იყო და ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქვეყანაში ახალი ეკონომიკური წესრიგის დამკვიდრებისათვის, კერძოდ, გლეხს რომელმაც პირადი თავისუფლება მოიპოვა, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე შეეძლო სავაჭრო და სამრეწველო საქმიანობით დაკავებულიყო. აგერთვე ყოველგვარი შეზღუდვოს გარეშე განეკარგა საკუთარი სამუშაო ძალა ე.ი. საკუთარი ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობები.

აღსანიშნავია რომ XIX საუკუნის 70 - ანი წლების დასაწყისისთვის ძველმა ეკონომიკურმა წესრიგმა ე.ი. ფეოდალიზმმა განიცადა საბოლოოდ ნგრევა და აღმოცენდა ახალი ეკონომიკური წესრიგი, წმინდა კაპიტალიზმის სახით, თუმცა აუცილებელია ითქვას რომ ახალი ეკონომიკური წესრიგის ე.ი. წმინდა კაპიტალიზმის სამეურნეო ფორმები, ჯერ კიდევ ძველი ეკონომიკური წესრიგის ე.ი. ფეოდალიზმის წიაღში ჩაისახა.

ზემოთაღნიშნულ წმინდა კაპიტალისტურ სამეურნეო საქმიანობის ფორმებს წარმოადგენდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია ე.ი. ისეთი სამეურნეო ერთეული, სადაც წარმოების პროცესი შრომის ტექნიკური დანაწილების გარეშე მიმდინარეობს და კაპიტალისტური მანუფაქტურა, რომელიც მარტივი კაპიტალისტური კოოპერაციის ანტიპოდს წარმოადგენს ე.ი. სადაც წარმოების პროცესი მიმდინარეობს შრომის ტექნიკური დანაწილების საფუძველზე.

აუცილებელია ითქვას რომ მანუფაქტურული მრეწველობა, საქართველოში, ჯერ კიდევ XVIII საუკუნეში აღმოცენდა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ძალზედ გავრცელდა. მისი უმაღლესი განვითარების სტადიად უნდა ჩაითვალოს XIX საუკუნის 50 - 70 - იანი წლები. თუმცა ამავე დროს აღსანიშნავია ისიც რომ თანდათნობით დაიწყო მანქანურ წარმოებაზე გადასვლის წინაპირობების მომწიფება , რომელიც XIX საუკუნის 70 - იანი წლებიდან განხორციელდა და აღნიშნულს როგორც მიზეზობრივ მოვლენას საშედეგო მოვლენა მოჰყვა, ,,ეკონომიკური გადატრიალების'' სახით, რომელიც აქამდე ჯერ უნახავი ეკონომიკური განვითარებით აისახა და რომელიც XX საუკუნის დამდეგამდე გაგრძელდა.

ამ პერიოდში საქართველოს სატრანსპორტო იფრასტრუქტურამ და ეკონომიკის ინდუსტრიულმა სექტორმა მნიშვნელოვანი განვითარება განიცადა, ამაზე შემდეგი ეკონომიკური ფაქტები მეტყველებს:

1) 1872 წელს ფოთი - თბილისის სარკინიგზო ხაზზე დაიწყო რეგულარული მოძრაობა მატარებელმა. აგებული იქნა მრავალი სარკინიგზო ხაზი, კერძოდ, 1877 წელს: რიონი - ქუთაისი, 1883 წელს: ბათუმი - სამტრედია და თბილისი - ბაქო, 1886 წელს: ქუთაისი - ტყიბული. სარკინიგზო ტრანსპორტის განვითარებამ ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებული ბუნებრივი რესურსების ათვისებას, წარმოების და ვაჭრობის განვითარებას.[53]

2) 1869 - 1872 წლებში საქართველოს ისეთ ქალაქებში როგორიცაა თბილისი, სამტრედია, ხაშური და ფოთი, ფუნქციონირება დაიწყეს დიდმა მექანიკურმა ქარხნებმა, რომელნიც რკინიგზის ფუნქციონირებას ემსახურებოდნენ.[53]

3) XIX საუკუნის 60 - 80 - ინა წლებში საქართველოში განვითარდა ისეთი ბუნებრივი წიაღისეულის მოპოვება როგორიცაა ქვანახშირი და მარგანეცი, კერძოდ ისეთ ქალაქებში როგორიცაა ტყიბული და ჭიათურა.[53]

4) ნავთობმომპოვებელი მრეწველობის განვითარებამ ბაქოში, ხელში შეუწყო ბათუმის საზღვაო პორტის განვითარებას, კერძოდ, 1888 წელს ბათუმის საზღვაო პორტიდან ტრანსპორტირებული ნავთობი შეადგენდა ნავთობის მსოფლიო მოხმარების 21 % - ს.[53]

5) 1870 წელს ვაჭარ მირზოევის მიერ, ქ. თბილისში აგებული იქნა საფეიქრო ფაბრიკა, რომელიც იმ დროისათვის უახლეს ტექნიკას იყენებდა.[53]

6) 1875 წელს მეწარმე ადელხანოვის მიერ ქ. თბილისში აშენებული იქნა ტყავის წარმოების ქარხანა, ხოლო 1885 წელს ამავე ქარხნის საფუძველზე ფუნქციონირება დაიწყო ფეხსაცმლის წარმოების სახელოსნომ. იგი წლის განმავლობაში 50 ათას წყვილ ფეხსაცმელს უშვებდა.[53]

7) 1890 წლის 1 აპრილს საქართველოში გახსნილი იქნა წიფის გვირაბი, რამაც გაზარდა თვირთ - ბრუნვა, ხოლო 1894 წელს ფუნქციონირება დაიწყო ხაშური - ბორჯომის სარკინიგზო ხაზმა, რომელმაც ხელი შეუწყო ბორჯომში ტყის სამრეწველო დამუშავებას.[53]

8) 1896 წელს ისეთ ქალაქებში, როგორიცაა თბილისი, ქუთაისი და ბათუმი, საერთო ჯამში, ფუნქციონირებდა თამბაქოს ათი ქარხანა, რომელიც წარმოების პროცესში იყენებდა ორთქლის ძრავიან დაზგებს და საკუთარი ნაწარმი რუსეთში და უცხოეთში გაჰქონდა.[53]

9) სამშენებლო მასალების წარმოების სფეროში, საქართველოში ფართოდ გავრცელდა აგურის წარმოება და ხე - ტყის დამუშავება. მაგალითად, 1897 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ტყის გადამამუშავებელი 100 - ზე მეტი ქარხანა იყო.[53]

10) 1896 წელს შექმნილი იქნა მრეწველთა ორგანიზაცია, რომელიც ატარებდა ,, შავი ქვის მრეწველთა ყრილობის'' სახელს. იგი იყო ადგილობრივი მრეწველების მონოპოლისტური გაერთიანება, რომელშიც გაერთიანებული იყო 200 - ზე მეტი ადგილობრივი მრეწველი.[53]

აღსანიშნავია რომ საქართველოში მრეწველობის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან განვითარებას, როგორც მიზეზობრივ მოვლენას, საშედეგო მოვლენა მოჰყვა ქალაქების ზრდისა და განვითარების სახით. ამის ნათელი მაგალითია ის რომ საქართველოში 1866 წელს ქალაქის მოსახლეობის ხვედრითი წილი მთელ მოსახლეობაში იყო 18 % - ი, ხოლო 1897 წელს აღნიშნული მაჩვენებელი გაიზარდა და გახდა 21 % - ი.

აუცილებელია ითქვას რომ საქართველოს ეკონომიკის ინდუსტრიული სექტორის და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მნიშვნელოვან განვითარებასთან ერთად, განვითარება დაფიქსირდა აგრეთვე საქართველოს ეკონომიკის აგრარულ სექტორში, რაზეც შემდეგი ეკონომიკური ფაქტები მიგვანიშნებს:

1) აღსანიშნავია რომ საგლეხო რეფორმის შედეგად, რომელმაც გლეხს თავისუფლება მიანიჭა, აღმოცენდა და განვითარდა სავაჭრო მიწადმოქმედება და სავაჭრო მესაქონლეობა. სოფლის მეურნეობის ისეთი პროდუქტები როგორიცაა პური, სიმინდი, ყურძენი, ღვინო და აგრეთვე მეცხოველეობის პროდუქტები საქონელბრუნვაში მოექცა.[54]

[53] ეკონომიკური მონაცემის წყარო: სეხნიაშვილი ც,. ეკონომიკის ისტორია ნაწ. I., პირველი სტამბა., თბილისი 2000., გვ. 349 - 351.

2) XIX საუკუნის 90 - იანი წლების დასაწყისში საქრთველოს დასავლეთი ნაწილიდან, მსოფლიო ბაზარს, წლის განმავლობაში, 2 – 6 მილიონი ტონა სიმინდი მიეწოდებოდა.[54]

3) საქრთველოში, კახეთის რეგიონიდან, ადგილობრივი ღვინო მიეწოდებოდა როგორც ადგილობრივ ისე საერთაშორისო ბაზრებს.[54]

4) აღსანიშნავია რომ გაიზარდა არყისა და სპირტის წარმოება. ამის ნათელი მაგალითია ის რომ 1894 წელს საქართველოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებდა 700 - ზე მეტი სპირტისა და არყის საწარმო.[54]

5) საქართველოში, ბორჩალოს მაზრაში, მეწარმე კუჩენბახმა მეცხოველეობის განვითარებას მოჰკიდა ხელი და ააგო დიდი ფერმა და აგრეთვე ყველის ქარხანა. ამავე დროს აღსანიშნავია ისიც რომ გარდა ამისა ყველის სხვა საწარმოებიც არსებობდა.[54]

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ნათლად ჩანს რომ XIX საუკუნის 70 - იანი წლებიდან XX საუკუნის დამდეგამდე პერიოდი საქართველოს ეკონომიკისთვის მთლიანობაში დადებითი მუხტის მატარებელი იყო.

მაგარამ მდგომარეობა გაუარესდა XX საუკუნის დასაწყისში, რადგან თავი იჩინა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა, რომელიც 1900 - 1903 წლებში მოხდა. მან დიდი დრტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკის, როგორც აგრარულ, ისე სამრეწველო სექტორს. ამას აგრეთვე დაემატა დიდი მოუსავლიანობა ,რომელმაც უკვე გაუარესებული მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა. ამას თან მოჰყვა ადამიანთა გაფიცვები და დემონსტრაციები, რომელიც ,ისედაც დამძიმებულ მდგომარეობას, კიდევ უფრო ამძიმებდა,. საქართველოს ეკონომიკაზე ნეგატიური ზეგავლენა მოახდინა აგრეთვე პირველმა მსოფიო ომმა. აღნიშნულ პერიოდში ქვეყანამ მუშახელის ნაკლებობა განიცადა,

[54] ეკონომიკური მონაცემის წყარო: სეხნიაშვილი ც,. ეკონომიკის ისტორია ნაწ. I., პირველი სტამბა., თბილისი 2000., გვ. 351

ეკონომიკის როგორც ინდუსტრიულ ისე აგრარულ სექტორში, რომელიც გამოწვეული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის ომში წასვლით.

აღსანიშნავია რომ საქართველოს ეკონომიკის ამის შემდგომი პერიოდი ისევ საქართველოს ეკონომიკური განვითარებით აღინიშნა, რასაც დიდად შეუწყო ხელი საქრთველოს მიერ დმოუკიდებლობის მოპოვებამ, რომელიც ქვეყნის მიერ გამოცხადებული იქნა 1918 წლის 26 მაისს. აღნიშნული პერიოდიდან საქართველოში ჩამოყალიბება დაიწყო დემოკრატიულმა პოლიტიკურმა სისტემამ, რომლის ჩამოყალიბებას დიდად უწყობდა ხელს ჯერ კიდევ, დამოუკიდებლობის მოპოვებამდე, ქვეყანაში აღმოცენებული ახალი ეკონომიკური წესრიგი წმინდა კაპიტალიზმის სახით. ამის ლოგიკური შედეგი ის გახდა რომ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოდ პარლამენტი გამოცხადდა, რომელიც ირჩევდა მთვრობას ე.ი. აღმასრულებელ ორგანოს.

აღსანიშნავია რომ საქართველომ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, დიპლომატიური, ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობები დაამყარა ისეთ ქვეყნებთან როგორიცაა გერმანია, საფრანგეთი, იტალია და სხვა, ხოლო შემდგომ პერიოდში სავაჭრო ურთიერთობები დაამყარა ამერიკის ქვეყნებთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ამგვარად, საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებელი ეკონომიკა ისევ აყვავების გზას ადგებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ რუსეთში 1917 წელს, ოქტომბრის თვეში მომხდარი სოცილისტური რევოლუცია და ამ რევოლუციის მონაპოვარი სოცილისტური ეკონომიკის სახით, 1921 წლის 25 თებერვალს ძალდატანებით საქართველოზეც გავრცელდა, რის შედეგადაც ქვეყანამ სუვერენიტეტი და ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა ე.ი. წმინდა კპიტალიზმი დაკარგა, რომელზეც საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკა დიდ იმედებს ამყარებდა და რომელიც შეცვალა მტაცებლური ,,ხილული ხელის'' ეკონომიკამ, სოცილაისტური ეკონომიკის სახით.

3.2 ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღა

,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღა არის შერეული კაპიტალიზმის გავრცელების პერიოდი საქართველოში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის სოციალისტური ეკონომიკური წესრიგის ე.ი. ,,ხილული ხელის'' მსხვრევის და ,,უხილავი ხელის'' ე.ი. შერეული კაპიტალისტური ეკონომიკური წესრიგის აღმოცენების და განვითარების პერიოდი. აღნიშნული პროცესი საქართველოში რევოლუციურ ხასიათს ე.ი. ნახტომისებურ ხასიათს ატარებდა, რამაც მრავალი სირთულე წარმოშვა, რომელზეც ჩვენ გვექნება საუბარი.

ყოველივე, XX საუკუნის 80 - იანი წლებიდან დაიწყო. ამ პერიოდიდან იწყება ,საქართველოში ძალადობრივი მეთოდებით დამკვიდრებული, ,,ხილული ხელის'' ე.ი. სოციალისტური ეკონომიკის საერთო კრიზისი, რომელმაც 90 - იან წლებში ძალზედ მწვავე ხასიათი მიიღო. ამას ემატებოდა ისიც რომ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მიერ ძალად დაქვემდებარებულმა ე.ი. ოკუპირებულმა ქვეყნებმა სუვერენიტეტი მოთხოვეს და საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისგან გამოყოფის პროცესი წამოიწყეს. ასეთი ქვეყნების რიგში საქართელოც იყო.

საქართველოს, რომელიც ძალად იქნა შეყვანილი საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში 1921 წლის 25 თებერვლის მოვლენის შემდეგ, არსადროს არ განუცდია სიმპატია ,,ხილული ხელის" ე.ი. სოცილისტური ეკონომიკის მიმართ. აღნიშნული ორი გარემოების გამო იყო გამოწვეული, კერძოდ, ეს გარემოებებია:

1) ქვეყანას თავიდანვე ჰქონდა დასახული მიზნად ,,უხილავი ხელის'' ე.ი. ზოგადად კაპიტალისტური ეკონომიკის მშენებლობა, რომელიც დემოკრატიული სახელმწიფოს არსებობის მთავარი გარანტია.

2) საქართველომ სუვერენიტეტი დაკარგა, რაც თავისუფალი მოქმედების შეზღუდვას და ქართელი ერის სხვა ერისადმი დაქვემდებარებას ნიშნავდა.

ცხადია რომ ზემოთაღნიშნული ორი გარემოების გამო საქართველო ,,ხილული ხელის'' ე.ი. სოციალისტური ეკონომიკის კარნახით ცხოვრებას არ შეეგუებოდა და როდესაც ,,ხილული ხელის'' ე.ი. სოციალისტური ეკონომიკის ,,გარდაცვალების დრო'' დადგებოდა, რომელიც მის შექმნიდანვე მხოლოდ დროის საკითხს წარმოადგენდა, ქვეყანა არ დააყოვნებდა ყოველმხრივი თავისუფლებისკენ გადადგმულ ნაბიჯს. მართლაც. როდესაც ეს დრო დადგა მოქმედებამაც არ დააყოვნა და ამის ლოგიკური შედეგი ის გახდა რომ ქვეყანამ 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა. აქედან ახალი ეპოქა იწყება საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში.

საქართველო, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ დილემის წინაშე დადგა, კერძოდ, ქვეყანას არჩევანი უნდა გაეკეთებინა ან ,,ხილული ხელის'' ე.ი. სოციალისტური ეკონომიკის სასარგებლოდ და განეგრძო მისი მშენებლობა ან ,,უხილავი ხელის'' ე.ი. კაპიტალიზმის ისეთი სახესხვაობის სასარგებლოდ, როგორიცაა შერეული კაპიტალიზმი. არჩევანმაც არ დააყოვნა, იგი ,,უხილავი ხელის'' ე,ი. შერეული კაპიტალიზმის სასარგებლოდ გაკეთდა.

აღსანიაშნავია რომ ,,ხილული ხელის ''ეკონომიკიდან, ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასვლის ორი გზა არსებობს, კერძოდ ესენია:

1) ევოლუციური გზა (,,გრადუალიზმი”)[55]

2) რევოლუციური გზა (,,შოკური თერაპია'')[56]

იმისათვის რათა გავიგოთ მათი არსი და მნიშვნელობა, მოდით განვიხილოდ თითოეული მათგანი.

1) ევოლუციური გზა (გრადუალიზმი) - ,,ხილული ხელიდან'' ,,უხილავ ხელზე'' გადასვლის ეს მიდგომა ეკონომიკის ტრანსფორმაციული ღონისძიებების

[55] პაპავა ვ., ,,საქართველოს ეკონომიკა’’., ინტელექტი., თბილისი 2015., გვ. 38
[56] იქვე გვ. 37

თანდათანობით გატარებას გულისხმობს და შესაბამისად ეკონომიკის ასეთი წესით ტრანსფორმაციას.

2) რევოლუციური გზა (,,შოკური თერაპია'') - ,,ხილული ხელიდან'' ,,უხილავ ხელზე'' გადასვლის ეს მიდგომა ეკონომიკის ტრანსფორმაციული ღონისძიებების ნახტომისებურად განხორციელებას, სწრაფად გატარებას გულისხმობს და შესაბამისად ეკონომიკის ასეთი წესით ტრანსფორმაციას.

აუცილებელია ითქვას, რომ ,,ხილული ხელიდან'' ,,უხილავ ხელზე'' გადასვლის ევოლუციური გზა ე.ი. ,,გრადუალიზმი'' დროში უფრო გაწელილი პროცესია ვიდრე რევოლუციური გზა ე.ი. ,,შოკური თერაპია''.

საქართველომ ,,ხილული ხელის'' ეკონომიკიდან ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასასვლელად რევოლუციური მიდგომა ე.ი. ,,შოკური თერაპია'' აირჩა , პოლონელი პროფესორის, ვიცე - პრემიერის, და ფინანსთა მინისტრის ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმით.

სქართველოში ,, შოკური თერაპია'' ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმით 1992 წლის თებერვლის თვეში დაიწყო. მასზე ძალიან დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ როგორც გამოცდილებამ აჩვენა, საერთო ჯამში, ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმამ საქართველოში არ გაამართლა, რადგან გეგმის შემადგენელი ღონიზძიებების უმრავლესობა ან არ შესრულდა (სუბიექტური ფაქტორი) ან ვერ შესრულდა (ობიექტური ფაქტორი). ამის მიზეზები კი იყო ის რომ ,,ხილული ხელიდან'' ,,უხილავ ხელზე'' გადსვლის რეალური ცოდნა და გამოცდილება არ არსებობდა და აგრეთვე საქართველოს, რომელსაც დამოუკიდებლობა ახალი მოპოვებული ჰქონდა, შესაბამისი ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები არ გააჩნდა, ლეშეკ ბალცეროვიჩის გეგმაში არსებული მრავალი ღონისძიების შესასრულებლად. მაგრამ აგრეთვე უნდა ითქვას ისიც რომ გეგმაში არსებული ზოგიერთი ღონისზძიება შესრულებული იქნა.

ყოველივე აღნიშნული იმის თქმისა უფლებას გვაძლევს რომ ,,შოკური თერაპია'' ბალცეროვიჩის გეგმით საქართველოში ჩატარებული იქნა, მაგრამ ჩატარებული იქნა

არასრულყოფილად, რამაც შემდეგ წლებში იჩინა თავი, კერძოდ, 1993 წლიდან 1994 წლის მეორე ნახევრამდე საქართველოს ჯერ კიდევ განვითარებას არ დამდგარი ეკონომიკა, უფრო და უფრო ცუდ მდგომარეობაში ვარდებოდა. ამაზე მოწმობს შემდეგი ეკონომიკური ფაქტები:

1) აღნიშნულ წლებში საქართველოში მაღალი ინფლაციის მაჩვენებელი დაფიქსირდა. ამის ნათელი მაგალითია ის რომ ინფალიციის თვიური მაჩვენებელი შეადგენდა 50 - 70 %.[57]

2) კუპონი, რომელიც 1993 წელს საქართველომ შემოიღო როგორც დროებითი ვალუტა, გაუფასურდა. ამის ნათელი მაგალითია ის რომ 1994 წელს 1 ამერიკის შეერთებული შტატების დოლარი 2,5 მილიონ კუპონს შეადგენდა.[57]

3) აღნიშნულ წლებში პენსიები და ხელფასები მცირე იყო, კერძოდ, საშუალო ხელფასი ამერიკის შეერთებული შტატების დოლარში შეადგენდა 1,5 დოლარს, ხოლო პენსია 0.10 დოლარს ე.ი. 10 ცენტს.[57]

4) 1990 - 1994 წლებში საქართველოს ეკონომიკა სამჯერ და უფრო მეტჯერ შემცირდა,რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ ეკონომიკური მდგომარეობა ძალზედ გაუარესდა.[57]

5) 1993 - 1994 წლებში საქართველოს არ ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი.[57]

აუცილებელია ითქვას რომ 1991 წელს ნოემბრის თვეში საქართველოში ჩამოსული იყო საერთაშორისო სავალუტო ფონდის მისია და ამ პირველ შეხვედრას გაცნობითი ხასიათი ჰქონდა. ხოლო შემდეგ ყოველ ჩამოსვლაზე იგი რეკომენდაციებს ტოვებდა, რომელსაც საქართელოს მთავრობა არ ითვალისწინებდა. მაგრამ 1994 წლის მეორე ნახევრიდან საქართველომ თნამშრომლობის სარგებლიანობა საერთაშორისო სავალუტო

[57] ეკონომიკური მონაცემის წყარო: პაპავა ვ., ,,საქართველოს ეკონომიკა''., ინტელექტი., თბილისი 2015., გვ. 51 - 52

ფონდთან და მსოფლიო ბანკთან გაანალიზა და აღნიშნულ საერთაშორისო ეკონომიკურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობამ შედეგი გამოიღო. კერძოდ, 1994 წლის მეორე ნახევრიდან, საქართველოს მთვრობის მიერ რიგი სწორი ეკონომიკური და პოლიტიკური ღონისძიებების შედეგად ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ამაზე შემდეგი ეკონომიკური ფაქტები მეტყველებს:

1) 1994 წლის სექტემბრის თვეში კუპონმა, ამერიკის შეერთებული შტატების დოლართან შდარებით გამყარება დაიწყო.[58]

2) პენსიები და ხელფასები გაიზარდა, რაც იმის მანიშნებელია რომ ეკონომიკური მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა. ამის ნათელი მაგალითია ის რომ ამერიკის შეერთებული შტატების 1 დოლარი 1,3 მილიონ კუპონს შეადგენდა.[58]

3) 1995 წელს საქართველოს ჰქონდა წინასწარ დამტკიცებული ბიუჯეტი.[58]

4) საქართელოს ეკონომიკის ინფლაციის მაჩვენებელი შემცირდა. ამის ნათელი მაგალითა ის რომ საქართველოს ეკონომიკაში ინფლაციის წლიური მაჩვენებელი შედგენდა 50 % - ს.[58]

5) 1995 წელს საქართველოში დროებითი ვალუტის ნაცვლად ე.ი. კუპონის ნაცვლად შემოიღებული ოქნა ეროვნული ვალუტა ,,ლარი''.[58]

6) 1995 წელს დაფიქსირდა ეკონომიკური ზრდა, კერძოდ, აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მთლიანი შიგა პროდუქტი 3% - ით გაიზარდა.[58]

7) აღსანიშნავია რომ 1996 - 1997 წლებში აგრეთე დაფიქსირდა საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა, კერძოდ, მთლიანი შიდა პროდუქტი გაიზარდა 10 - 11% - ით.[58]

---

[58] ეკონომიკური მონაცემის წყარო: პაპავა ვ., ,,საქართველოს ეკონომიკა''., ინტელექტი., თბილისი 2015., გვ. 53 - 54

აღსანიშნავია ის რომ შემდგომ წლებში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დროში გაწელილი და არასრულყოფილი ,,შოკური თერაპიის'' მიუხედავად თანდათანობით უკეთესი ხდებოდა, თუმცა აგრეთვე ეკონომიკური მდომარეობის გაურესების შემთხვევებიც იყო.

დღევანდელობის გათვალისწინებით, საერთო ჯამში საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა თანდათანობით უკეთესი ხდება, თუმცა საქართველოს ეკონომიკის ეკონომიკური ზრდის მაჩვენებელი დაბალია, რაც იმაზე მიგვანიშნებს რომ საქართველოს ეკონომიკა უკეთესობისკენ კი მიდის, მაგრამ თვითონ უკეთესობისკენ სვლის ტემპი დაბალია, რაც საქართველოს ეკონომიკის სხვა მაჩვენებლებშიც აისახება და საქართველოს დაბალი ეკონომიკური განვითარების, მქონე ქვეყნების რიგში ტოვებს.

3.3 საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის თავისებურებები

ცნობილი ფილოსოფოსი ლაიბნიცი წერს: ,,აწმყო შობილი წარსულისგან, დედაა მომავლისა''. ეს ნათქვამი ზედმიწევნით შეესაბამება საქართველოს დღევანდელი ,,უხილავი ხელის" ეკონომიკას ე.ი. ქვეყნის ეკონომიკურ სისტემას შერეული კაპიტალიზმის სახით, რადგან საქართველოს დღევანდელ ეკონომიკურ სისტემაზე წარსული დროის მკვეთრი ზეგავლენა იგრძნობა ,,უხილავი ხელის'' პირველი და ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღის სახით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ყოველი ქვეყნის ეკონომიკური დღევანდელობის ანალიზი, მისი ეკონომიკური დღევანდელობიდან კი არ იწყება, არამედ იწყება მისი წარსულიდან, რომელმაც მისი დღევანდელობა შექმნა და რომელიც მას განსაზღვრულ მომავალს უქმნის.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა თქვას, რომ ძნელია იმის თქმა რა იქნებოდა მაშინ თუ ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა გაგრძელდებოდა და არ იქნებოდა შეჩერებული ძალადობრივი და აბსურდული ,,ხილული ხელით'', რომელმაც მომავალში ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღა გამოიწვია, მაგრამ ერთი რამ ნამდვილად თვალსაჩინოა, კერძოდ, ის რომ დღეს საქართველო უფრო განვითარებული ,,უხილავი

ხელის'' ეკონომიკის მქონე ქვეყანა იქნებოდა და ის მრავალრიცხოვანი პრობლემები, რომელიც დღეს საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკას აწუხებს, უბრალოდ არ იარსებებდა. სხვა სიტყვებით რონ ვთქვათ არ იარსებებდა ის პრობლემები რომელიც განუვითარებელი ,,უხილავი ხელით'' არის გამოწვეული და იარსებებდა განვითარებული ,,უხილავი ხელის პრობლემები, რომელნიც მოსაგვარებლად შედარებით უფრო ,,სახალისოა''.

მაგრამ რეალობა, ცნება, რომელიც ობიექტურ მდგომარეობის ხატებს გვაწვდის, გვამცნობს რომ ასე არ მოხდა და დღეს საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა სუსტად არის განვითარებული, ეს კი ძალიან ბევრ პრობლემას ჰბადებს ქვეყნის სხვა სფეროებში, ხოლო ის რაც იწვევს საქრთველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის სუსტ განვითარებას, წარმოადგენს ასევე მის თავისებურებას. აღნიშნული ვლინდება მის ეკონომიკურ ინდიკატორებში, საიდანაც ნათლად ჩანს რომ საქართველო მსოფლიო კაპიტალისტური სისტემის ,,პერიფერიას'' წარმოადგენს, რომელიც, ნებით თუ უნებლიეთ, მუდამ კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ,,ცენტრებიდან'' კონტროლდება. სხვა სიტყებით რომ ვთქვათ ეს გულიხმობს რომ საქართველო არის სუსტი განვითარების მქონე ეკონომიკის ქვეყანა, რომელიც დიდ წილად, სხვა ქვეყნების განვითარებულ ეკონომიკაზე და შესაბამისად მათ ეკონომიკურ მდგომარეობაზეა დამოკიდებული და რომელიც ყოველთვის ეკონომიკური საშიშროების წინაშე დგას, რადგან, ეკონომიკური კრიზისები, რომელიც განვიათარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნებში ხდება ძალიან მძიმედ აისახება ხოლმე საქართველოზე. აქედან გამომდინარე ისმის კითხვა: ,,რამ აქცია ქვეყანა მსოფლიო კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის პერიფერიად?'' და ,,რა თავისებურება გააჩნია მას?''

ზემოთ ჩვენ ავღნიშნეთ რომ საქართველოს დღევანდელი ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა წარმოიშვა ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღის და ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღის გავლენების საფუძველზე. მოდით განვიხილოთ ისინი, მათი გავლენის ანალიზის მიზნით:

1) ,,უხილავი ხელი'' პირველი ტალღის გავლენა - აღნიშნულის გავლენა ვლინდება იმით რომ ეს არის პერიოდი homo ekonomicus - ის ფორმირებისა და შემდეგ homo soveticus - ზე[59] გადასვლისა, რამაც საქართველოში რადიკალურად შეცვალა ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის მომავალი, რადგან აღნიშულ პერიოდში ,,უხილავის ხელის'' ეკონომიკის, მომავალში, აღმოცენების და განვითრების პრობლემები ჩაისახა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს არის პერიოდი ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასვლისა და შემდეგ ,,ხილული ხელის'' ეკონომიკის მიერ ,,უხილავი ხელის ეკონომიკის შთანთქმისა.

2) ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღის გავლენა - ეს არის პერიოდი homo soveticus - იდან, homo ekonomicus - ზე გადასვლის და მისი ახლიდან ფორმირებისა, რამაც წარმოშვა საქართველოში ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის აღმოცენების და განვითარების საკითხების არასრულყოფილი მოგვარება, რომელიც უტყუარი ცოდნის და გამოცდილების ე.ი. უტყუარი მეთოდოლოგიური მიდგომის არ არსებობით არის გამოწვეული. სხვა სიტყვებით რომ ეს არის პერიოდი ,,ხილული ხელის'' ეკონმიკიდან ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასვლისა.

ამგვარად მიზანშეწონილი იქნება მსჯელობა საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის დღევანდელობაზე და მის თავისებურებებზე სწორედ აქედან დავიწყოთ.

აღსანიშნავია რომ ,,უხილავი ხელი'' და ,,ხილული ხელი'' არის ეკონომიკის სხვადასხვა სახეობა, ხოლო ყოველი ეკონომიკა, როგორც სისტემა, შედგება შემდეგი სახის შემადგენელი ნაწილებისაგან:

1) მოთხოვნილება - ეკონომიკას ქმნიან ადამიანები, რომელთაც პირველადი ე.ი. ფიზიოლოგიური და მეორადი ე.ი. სულიერი მოთხოვნილებები გააჩნიათ.

[59] ტერმინი ეკუთვნის ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორს, აკადემიკოსს ვლადიმერ (ლადო) პაპავას.

2) ტექნოლოგიები - ეკონომიკა ყოველთვის ეფუძნება განსაზღვრული ინტელექტუალური და ფიზიკური შესაძლებლობების სამუშაო ძალას, საწარმოო იარაღებს და საწარმოო საგნებს.

3) ინსტიტუტები (ფართო გაგებით) - ეკონომიკაში, ადამიანებს შორის ეკონომიკური ურთიერთობებს უზრუნველყოფს, იცავს და არეგულირებს განსაზღვრული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები.

უნდა ითქვას რომ ეკონომიკის, როგორც სისტემის, შემადგენელ ნაწილებს შორის შემდეგი სახის კანონზომიერი კავშირურთიერთობა ყალიბდება: ადამიანის მოთხოვნილებანი და მათი დაკმაყოფილების საშუალებები ტექნოლოგიების სახით, ეკონომიკური ურთიერთობების განსაზღვრულ სახეს ქმნიან, რომლის განხორციელების, დაცვის, რეგულირების და განვითარების გარანტს ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტები იძლევა.

ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე აუცილებელია ითქვას რომ ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკას და ,,ხილული ხელის'' ეკონომიკას ერთდროულად გააჩნია როგორც განსხვავება ისე მსგავსება. მსგავსება არის ის რომ ორივე ეკონომიკურ სისტემას ქმნიან ადამიანები, რომელთაც გააჩნიათ მოთხოვნილებები, ხოლო განსხვავება ის არის რომ მოთხოვნილებები კმაყოფილდება სხვადასხვა ტექნოლოგიურ და ინსტიტუციონალურ გარემოში. ეს იმას გულისხმობს რომ ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკას თავისი ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური გარემო გააჩნია, ხოლო ,,ხილული ხელის'' ეკონომიკას თავისი ტექნოლოგიური და ინსტიტუციონალური გარემო. აქედან გამომდინარე უნდა ითქვას რომ ,,უხილავი ხელის'' და ,,ხილული ხელის'' პირობებში მოქცეულ ადამიანებს, მოთხოვნილებების დაკმაყოფილება სხვადასხვა ტექნოლოგიებისა და ისნტიტუტების საფუძველზე უწევთ, ეს კი ,,უხილავი ხელის'' პირობებში ქმნის homo ekonomicus - სს, ხოლო ,,ხილული ხელის'' პირობებში homo sovieticus - სს.

ჩვენს მიერ არაერთ გზის აღინიშნა რომ საქართველოში დაიწყო ჯერ ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის ფორმირება, რომლის როგორც მიზეზობრივი მოვლენის საშედეგო მოვლენა იყო homo ekonomicus - ი, ხოლო შემდეგ იგი ,,ხილული ხელის'' ეკონომიკამ ჩაანაცვლა, რომლის როგორც მიზეზობრივი მოვლენის, საშედეგო მოვლეენა იყო homo soveticus - ი. ამის შემდეგ კი ყოველივე პირიქით მოხდა, კერძოდ, ,,ხილული ხელის ეკონომიკას'' და შესაბამისად homo sovieticus - სს ანაცვლებს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა თავისი homo ekonomicus - ით.

ეს ვითარება მიგვანიშნებს იმაზე რომ საქრთველო პირველად გადადის ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე, შესაბამისი ტექნოლოგიების და ინსტიტუტების ევოლუციური ფორმირების საფუძველზე, მაგრამ შემდეგ ძალადობრივი, რევოლუციური მეთოდებით ხდება ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის და მისი შესაბამისი ტექნოლოგიების და ინსტიტუტების შეცვლა ,,ხილული ხელის'' ეკონომიკის მიერ, რომელიც ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის ტექნოლოგიების და ინსტიტუტების ნანგრევებზე საკუთარ შესაბამის ტექნოლოგიებს და ინსტიტუტებს ქმნის, რომელნიც შემდეგში, როდესაც საქართველო მეორედ გადადის ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე, უკვე ,,ხილული ხელის'' ეკონომიკიდან, დიდ პრობლემებს ქმნის შემდეგი ორი გარემოების გამო:

1) ,,ხილული ხელის'' ეკონომიკიდან ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასვლის მოვლენა სრულიად ახალი მოვლენაა და აღნიშნულის განხორციელების უტყუარი ცოდნა და გამოცდილება არ არსებობს, რაც შესაბამისად ახალი დროის შესაბამისი ინსტიტუტების (ფართო გაგებით) და ტექნოლოგიების ფორმირების პრობლემას იწვევს.

2) ,,ხილული ხელის'' ეკონომიკამ, რომელმაც საქართველოში 70 წელზე მეტ ხანს იარსება და ქვეყანა მცდარი ეკონომიკურ გზით ატარა, გამოწვია ის რომ საქართველო ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი ქვეყნების ირგვლივ მოხდა და გაუჭირდა საკუთარი საერთაშორისო ეკონომიკური ფუნქციის მოძებნა, რადგან მთელი ის დრო, რომლის განმავლობაშიც საქართველო დაკავებული იყო ,,ხილული ხელის'' ეკონომიკის

მშნებლობით, სხვა ქვეყნებმა გამოიყენეს, ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის მშენებლობისათვის.

ამგვარად საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა არის სუსტად განვითარებული ტექნოლოგიების და ინსტიტუტების მქონე ეკონომიკა, რომელიც ეკონომიკურად ძლიერი სახელმწიფოების გარემოშია მოქცეული და შესაბამისად საკუთარი მსოფლიო ეკონომიკური ფუნქციის მოძებნა უჭირს. სწორედ ეს ქმნის საქართველოს კაპიტალისტურ პერიფერიად არსებობის საფუძველს და აგრეთვე ეს არის ამავე დროს საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის თავისებურებაც. აღნიშვნის საგანია რომ აღნიშნული მდგომარეობა საქართველოს თანამედროვე ეკონომიკის ინდიკატორებშიც ვლინდება.[60]

[60] იხილეთ დანართი

დასკვნა

ამგვარად ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე უნდა ითქვას რომ ყოველი ეკონომიკური იდეის ფორმირება იწყება შესაბამისი ეკონომიკური ცხოვრების ფორმირების საფუძველზე. თუმცა ეს არ ნიშნავს რომ ეკონომიკური იდეები პასიურ როლს ასრულებდეს ეკონომკური ცხოვრების მიმართ, პირიქით მათ შორის აქვს ადგილი ურთიერთქმედებას, რაც იმას ნიშნავს რომ ეკონომიკური ცხოვრების შედეგად წარმოქნილი ეკონომიკური იდეები, შემდეგ იწვევენ ეკონომიკური ცხოვრების განვითარების დაჩქარებას და ასრულებენ აღნიშნულ ფუნქციას იქამდე, მანამ სანამ ეკონომიკური ცხოვრება, გარკვეულ წილად, არ შეიცვლის სახეს, ხოლო როდესაც ეკონომიკური ცხოვრება შეიცვლება უკვე ძველი ეკონომიკური იდეები, მხოლოდ დაბრკოლებად იქცევა, და აუცილებლობის ძალით გამოიწვევს ახალი შესაბამისი ეკონომიკური იდეების აღმოცენებას და განვითარებას.

მერკანტილიზმმა პროგრესული როლი შეასრულა, სწორედ მაშინ როდესაც ეკონომიკური ცხოვრება, საჭიროებდა მერკანტილისტურ მიდგომას და აქედან გამომდინარე აღნიშნული ეკონომიკური სკოლა წარმოადგენს სრულიად კანონზომიერ და ბუნებრივ მოვლენას ეკონომიკის და ეკონომიკური აზრის ისტორიაში, რომელიც აგრეთვე ბუნებრივი და კანონზომიერი წესით შეცვალა კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამ, რომლის ფესვები უნდა ვეძიოთ, მერკანტილისტურ ეკონომიკურ ცხოვრებასთან შედარებით, უფრო განვითარებულ ეკონომიკურ ცხოვრებაში კაპიტალიზმის სახით, რომლის განვითარებასაც თავის მხრივ აგრეთვე კლასიკურმა პოლიტიკურმა ეკონომიამაც შეუწყო ხელი.

ეს მიგვანიშნებს იმაზე რომ მეცნიერ - ეკონომისტების ეკონომიკური შეხედულებები თვით ეკონომისტებისთვის დაბადებიდანვე თანდაყოლილი იდეების არსებობის მიდგომის საფუძველზე კი არ უნდა იქნას გაგებული, რაც უთუოდ მცდარ შეხედულებას წარმოადგენს, არამედ იგი გაგებული უნდა იქნას მეცნიერ - ეკონომისტების კონკრეტული ეკონომიკური დროის და სივრცის ფარგლებში არსებობის

საფუძველზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს გულისხმობს რომ მეცნიერ - ეკონომისტი მოქცეულია კონკრეტული, ისტორიულად მოცემული, ეკონომიკური რეალობის ფარგლებში და შესაბამისად მისი ეკონომიკური შეხედულებების წყაროდ სწორედ ეს კონკრეტული, ისტორიულად მოცემული ეკონომიკური რეალობა გვევლინება.

ადამ სმითის ეკონომიკური შეხედულებები, როგორც მისი თანამედროვე ეკონომისტების და აგრეთვე უფრო ადრე მოღვაწე ეკონომისტების შეხედულებებიც, სწორედ ეკონომიკურმა დრომ და სივრცემ შექმნა. ეკონომიკურმა დრომ და სივრცემ, რომელშიც ადამ სმითს მოუწია მოღვაწეობა, მის შეხედულებებს კონკრეტული მიმართულება მისცა, კერძოდ, იგი კაპიტალისრტური ეკონომიკის მკვლევარი და განმავითარებელი გახადა. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც რომ ადამ სმითის ეკონომიკური შეხედულებები, კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის სხვა მეცნიერ - ეკონომისტების შეხედულებებთან შედარებით, უფრო სრულყოფიალია, რაც იმით აიხსნება რომ ადამ სმითი, დევიდ რიკარდოსთან, ერთად კლასიკური პოლიტიკური ეკონომიის შეხედულებათა შემაჯამებელ დროის და სივრცის მეცნიერ - ეკონომისტებს წარმოადგენდნენ.

ადამ სმითის დროინდელი ეკონომიკური დრო და სივრცე ე.ი. ეკონომიკური რალობა, აისახა მის ეკონომიკურ ნაშრომში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''. ეს მიგვანიშნებს იმაზე რომ მისი ,,უხილავი ხელის'' თეორია, როგორც მისი სხვა თეორიებიც, სწორედ იმ ეკონომიკურ დროსთან და სივრცესთან ე.ი. იმ ეკონომიკურ რეალობასთან არის დაკავშირებული, რომელშიც მეცნიერ - ეკონომისტს უნებლიეთ მოუწია ყოფნა. აქედან გამომდინარე ,,უხილავი ხელის'' თეორია მხოლოდ მეცნიერ - ეკონომისტის თანამედროვე ეკონომიკური რეალობის და მთელი მისი ეკონომიკური ნაშრომის გათვალისწინების საფუძველზე შეიძლება იქნას გაგებული, რასაც ,,უხილავი ხელის'' თეორიის აღწერითი გაგების, მეტაფიზიკური გაგებისა და მცდარი ეკონომიკური გაგებების შემთხვევების ლიკვიდაცია მოჰყვება.

,,უხილავი ხელის'' თეორია, მისი სწორი გაგებით, არის კაპიტალიზმი, კერძოდ, კაპიტალიზმის ისეთი სახეობა როგორიცაა წმინდა კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემა ე.ი. სწორედ ის ეკონომიკური სისტემა, რომელიც ეკონომისტის მოღვაწეობის დროს თანდათანობით სულ უფრო და უფრო ვითარდებოდა, და რომლის ანალიზიც ობიექტურად იქნა ასახული ავტორის ეკონომიკურ გამოკვლევაში ,,გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''. სრულიად სამართლიანად შეიძლება ითქვას რომ მისი მთელი ეკონომიკური გამოკვლევა არის ,,უხილავი ხელის'' თეორია და ამ თეორიის არსისა და მნიშვნელობის გაშუქება, მიუხედავად იმისა რომ მან თავის ეკონომიკურ გამოკვლევაში მხოლოდ ერთხელ ახსენა ,,უხილავი ხელის'' ტერმინი.

მიუხედავად იმისა რომ ადამ სმითმა ,,უხილავი ხელის'' თეორიაში, ,,უხილავი ხელი'' წმინდა კაპიტალიზმს უწოდა, რაც ჩვენს მიერ, წინმდებარე თემის ფარგლებში ლოგიკურად იქნა დასაბუთებული, იგი აგრეთვე შერეულ კაპიტალიზმსაც უნდა ეწოდოს, რადაგან კაპიტალიზმის დაყოფა წმინდა და შერეულ კაპიტალიზმად ძალზედ პირობითია, რადგან ეს ორივე მხოლოდ ერთი ეკონომიკური სისტემის ორი სახესხვაობაა, რაზეც მიგვანიშნებს ის რომ ორივე აღიარებს ერთსა და იმავე ფუძემდებლურ პრინციპებს და რაშიც არ თანხმდება, კერძოდ, სახელმწიფოს ეკონომიკაში ჩარევის ხარისხის საკითხი, ისეთნაირად არის გადაწყვეტილი რომ შერეული კაპიტალიზმი თავისზე უფრო ადრე აღმოცენებულ, წინ მდებარე კაპიტალისტური ეკონომიკური სისტემის ფორმაზე ე.ი. წმინდა კაპიტალიზმზე, უბრალოდ უფრო განვითარებული კაპიტალიზმის ფორმას წარმოადგენს. ეს საშუალებას გვაძლევს სამართლიანად შევნიშნოდ რომ ,,უხილავი ხელის'' ქვეშ ერთიანდება როგორც წმინდა კაპიტალიზმი ისე შერეული კაპიტალიზმი.

საქართველოში ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკაზე გადასვლის პირველი პერიოდი, რომელიც ჩვენს მიერ წოდებული იქნა, როგორც ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა, სრულიად კანონზომიერ და საყოველთაო პროცესს წარმოადგენდა იმ პერიოდისთვის, როდესაც იგი ხორციელდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ ეს იყო სრულიად ბუნებრივი და ჯანსაღი პროცესი, რომლის შედეგადაც ქვეყნები ნაკლებად

განვითარებული ეკონომიკის ფორმებიდან, გადადიოდნენ უფრო განვითარებული ეკონომიკის ფორმებზე და აღნიშნულს უკლებლივ ყველა შემთხვევაში დადებითი უკუგება ჰქონდა, რომელიც გამოიხატებოდა ჯერ კიდევ მანამდე არ არსებული ეკონომიკური სიმაძლავრეების შექმნით და შესაბამისად მეტად დიდი ეკონომიკური განვითარებით, რომელიც თავის მხრივ ამაღლებდა ადამიანთა ცხოვრების დონეს მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში, რაც საქართველოს მაგალითზეც ნათლად ჩანს, კერძოდ, ,,უხილავი ხელის'' პირველი ტალღა საქართველოში ასახული იქნა ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის, ეკონომიკის აგრარული და ინდუსტრიული სექტორების იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ ნახული და თვალსაჩინო განვითარებით, რამაც აამაღლა ქვეყანაში ცხოვრების დონე და გაზარდა ქალაქებისა და მოსახლეობის რიცხვი. ეს იყო ის პერიოდი საქართველოში როდესაც ქვეყანა გახდა მსოფლიოს მიერ გაზიარებლი დიდი ეკონომიკური სიკეთის მფლობელი, რომელიც შემდგომში დაკარგული იქნა აბსურდული და ბოროტი ,,ხილული ხელის'' მიზეზით, რომელმაც მოახდინა მთელი იმ დადებითი ეფექტების ლიკვიდაცია, რომელნიც მიღებული იქნა ,,უხილავი ხელის'' საფუძველზე და ქვეყანა ძალზედ უკან დახია. ,,ხილული ხელის'' მიერ ,,უხილავი ხელის'' ოკუპაცია და მისი განადგურება ისტორიიდან გასვლის ტოლფასი იყო, რაც იმას გულისხმობს რომ როდესაც მთელი მსოფლიო ,,უხილავი ხელით'' განაგრძობდა ცხოვრებას და მის განვითარებაზე ზრუნავდა, საქართველოს ძალდატანებით მოუწია ,,ხილული ხელის'' შენება, რომლის შენების პროცესი თავიდანვე ე.ი. აპრიორშივე განწირული იყო განადგურებისთვის და ის მთელი დრო რომელიც მის შენებას დასჭირდა, აგრეთვე თავიდანვე განწირული იყო დასაკარგავად, რაც საკაცობრიო ისტორიაში მიმდინარე პროცესების უგულებელყოფას გულისხმობდა, რომელიც შემდეგში დიდი ეკონომიკურ სირთულეების აღმოცენების წინაპირობა გახდა, რომელნიც ნათლად გამოჩნდა მაშინ როდესაც ქვეყანამ ,,ხილული ხელიდან'' ,,უხილავ ხელზე'' გადასვლა დააპირა და რომელმაც განაპირობა ამ პერიოდის ე.ი. ,,უხილავი ხელის'' მეორე ტალღის, წარუმატებლობა, ,,უხილავი ხელის'' პირველ ტალღასთან შედარებით.

საქართელოს დღევანდელი ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკის თავისებურებება და მისი ფუნქციონირების ხასიათი სწორედ წარსული დროის ზეგავლენის შედეგად ჩამოყალიბდა, სადაც ნათლად იკვეთება როგორც ,,უხილავი ხელის'' პირველი ისე მეორე ტალღის ზეგავლენები. საქართველოს ეკონომიკის აღნიშნული პერიოდების ბუნებამ და მათმა ზეგავლენამ საქართველოს თანამედროვე ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკას მისცა სრულიად არასასურველი თავისებურება და არასასურველი ფუნქციონირების ხასიათი.

საქართველოს დღევანდელი უხილავი ხელის ეკონომიკის თავისებურება არის ის რომ საქართველოს ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკა არის სუსტად განვითარებული ტექნოლოგიების და სუსტად განვითარებული ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების ეკონომიკა, რომელიც მოქცეულია ძლიერ განვითარებული ტექნოლოგიების და ეკონომიკური და პოლიტიკური ინსტიტუტების მქონე ,,უხილავი ხელის'' ეკონომიკების ირგვლივ, რაც თავის მხრივ განსაზღვრის მის ფუნქციონირების ხასიათსაც.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

1) ადეიშვილი გ., ასათიანი რ. (1998)., ეკონომიკური თეორია., საგამომცემლო ფირმა ,,სიახლე''., თბილისი.

2) თოდუა გ. (2004)., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია ნაწ. I., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

3) თოდუა გ. (2000)., ადამ სმითი და თანამედროვე საერთაშორისო ეკონომიკის აქტუალური საკითხები., სააქციო საზოგადოება ,,პირველი სტამბა''., თბილისი.

4) იადგაროვი ი.ს. (2014)., ეკონომიკურ მოძღვრებათა ისტორია., ,,უნივერსალი''., თბილისი.

5) კახნიაშვილი ჯ. (1996)., მაკროეკონომიკა ნაწ. I., ,,სიახლე''., თბილისი.

6) კემპბელი ლ. მაკკონელი., სტენლი ლ. ბრიუ (1998)., ეკონომიკსი ნაწ. I., ,,სიახლე''., თბილისი.

7) ლემონჯავა პ., აბრალავა ან. (2014)., ეკონომიკის პრინციპები., ,,უნივერსალი''., თბილისი.

8) მარქსი კ. (1966)., ზედმეტი ღირებულების თეორიები (კაპიტალი ტ. IV) ნაწ. I., თბილისი.

9) მეტრეველი ვ., დავითაშვილი გ. (2015)., პოლიტიკურ და სამართლებრივ მოძღვრებათა ისტორია., ,,იურისტების სამყარო''., თბილისი.

10) ნადარეიშვილი გ. (2008)., სახელმწიფოს და სამართლის ისტორია., ,,ბონა კაუზა''., თბილისი.

11) მგელაძე ტ., ფერაძე გ. (2010)., ბიზნესმენის კიდობანი., ,,ჩხორა - 2009''., თბილისი.

12) პაპავა ვ. (2015)., საქართველოს ეკონომიკა., გამოცემლობა ,,ინტელექტი''., თბილისი.

13) პაპავა ვ. (2011)., არატრადიციული ეკონომიკსი., თბილისი.

14) რიკარდო დ. (2010)., პოლიტიკური ეკონომიის და დაბეგვრის საფუძვლები., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

15) რიდვანოვი ნ. თ. (1985)., მილიონთა მწარე ხვედრი., ,,საბჭოთა საქართველო''., თბილისი.

16) სილაგაძე ა. (2008)., ადამ სმითის ეკონომიკური დოქტრინა., ,,ინოვაცია''., თბილისი.

17) სილაგაძე ა., ათანეიშვილი თ. (2006)., მერკანტილისტური ეკონომიკური დოქტრინა., ,,უნივერსალი''., თბილისი.

18) სილაგაძე ა. (2010)., ეკონომიკური დოქტრინები., ,,ინოვაცია''., თბილისი.

19) სილაგაძე ა., ენუქაშვილი მ., მექვაბიშვილი მ. (1992)., ეკონომიკური ცოდნის საწყისები., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

20) სეხნიაშვილი ც. (2000)., ეკონომიკის ისტორია ნაწ. I., ,,პირველი სტამბა''., თბილისი.

21) სეხნიაშვილი ც. (2005)., ეკონომიკის ისტორია ნაწ. II., ,,პირველი სტამბა''., თბილისი.

22) სამუელსონი პ., ნორდჰაუსი ვ. (2000)., ეკონომიკა ტ. I., თბილისი.

23) სმითი ა. (1938)., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ., ,,სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა''., თბილისი.

24) სმითი ა. (2007)., გამოკვლევა ხალხთა სიმდიდრის ბუნების და მიზეზების შესახებ''., ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

25) ურიდია გ., დვალი თ. (1997)., სგადასახადო განმარტებითი ლექსიკონი., ,,საგადასახადო მაცნე''., თბილისი.

26) ღურწკაია კ. (2001)., ეკონომიკური თეორია., ,,სამშობლო''., თბილისი.

27) ყიზილაშვილი შ., ყიზილაშვილი კ. (2009)., ეკონომიკის პრინციპები., ,,ზენაარი''., თბილისი.

28) შენგელია რ. (1992)., საქართელოს საფინანსო სამართლის საკითხები ნაწ. I., თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

29) ხარიტონაშვილი ჯ. (1997)., ეკონომიკურ მოძღვრებათა რეტროსპექტივა და თანამედროვე პრობლემები წიგნი I., თბილისი.

30) ჰეინე პ. (2012)., ეკონომიკური აზროვნება ტ. I., თავისუფალი აგრარული უნივერსიტეტის გამომცემლობა., თბილისი.

31) ჰაიეკი ფ. (2000)., საბედისწერო თავდაჯერებულობა სოციალიზმის შეცდომები., გამომცემლობა ,,ვეფხისტყაოსანი''., თბილისი.

32) Аникин А.В. (1968)..,Адам Смит.,Москва.

33) Жид Ш. (1914)., История экономических учений., Москва.

34) Яковенко В.И. (1894.,) Адам Смит, Его жизнь и научная деятельность., СПБ.

პერიოდული გამომცემლობა:

35) ეკონომიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., 8/2009., თბილისი.

36) ეპოქა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)., 2/2002., თბილისი.

37) ეპოქა (საზოგადოებრივი მეცნიერებები)., 4/2004., თბილისი.

38) სემიოტიკა (სამეცნიერო ჟურნალი)., 14/2014., თბილისი.

39) Journal of Bussines Ethics., 108/2012., Sidney.

ინტერნეტ - მასალა:

40) /.../bog-i-rynok-nevidimaya-ruka-adama-smita.

41) mybook.ru/author/adam-smit/issledovanie-o-prirode-i-prichinah-bogatstva-nar-3/read/.

42) cyberleninka.ru/article/nevidimaya-ruka-adama-smita.

43) cyberleninka.ru/article/o-nevidimay-ruke-adama smita-i-formorovanii-nauchnoy-kartiny- sotsialnogo-mira.

დანართი

1. მთლიანი შიგა პროდუქტი: 2014 - 2019 (I) წლები

	2014	2015	2016	2017	2018	2019 (I)
მშპ მიმდინარე ფასებში (მლრდ. ლარი)	**29.2**	**31.8**	**34.0**	**37.8**	**41.1**	**9.7**
მშპ მუდმივ 2010 წლის ფასებში (მლრდ. ლარი)	**25.6**	**26.3**	**27.1**	**28.4**	**29.7**	**6.6**
მშპ რეალური ზრდა (%)	**4.6**	**2.9**	**2.8**	**4.8**	**4.7**	**4.9**
მშპ დეფლატორი (%)	**3.8**	**5.9**	**4.2**	**6.1**	**3.6**	**2.4**
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასები), ლარი	**7 837.4**	**8 524.3**	**9 129.0**	**0 152.0**	**11 013.9**	**2 617.2**
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	**4 438.3**	**3 754.9**	**3 857.3**	**4 046.8**	**4 345.5**	**981.0**
მშპ (მიმდინარე ფასებში) აშშ დოლარი	**16.5**	**14.0**	**14.4**	**15.1**	**16.2**	**3.7**

2. მთლიანი გამოშვების სტრუქტურა 2018 წელი



3. დასაქმება და უმუშევრობა: 2012 - 2018 წლები

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (სამუშაო ძალა), ათასი კაცი	**2 004.5**	**1 978.6**	**1 984.6**	**2 018.0**	**1 996.2**	**1 983.1**	**1 939.9**
დასაქმებული, ათასი კაცი	**1 659.4**	**1 643.4**	**1 694.4**	**1 733.8**	**1 717.3**	**1 706.6**	**1 694.2**
უმუშევარი, ათასი კაცი	**345.1**	**335.2**	**290.2**	**284.2**	**278.9**	**276.4**	**245.7**
უმუშევრობის დონე (%)	**17.2**	**16.9**	**14.6**	**14.1**	**14.0**	**13.9**	**12.7**

4. დასაქმებულთა განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით, 2017-2018

		ათასი კაცი
	2017	**2018**
	1	
სულ დასაქმებულები	**706,6**	**1 694,2**
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და მეტყევეობა, თევზჭერა, მეთევზეობა	**736,5**	**659,2**
მრეწველობა	**137,5**	**140,4**
მშენებლობა	**82,0**	**98,8**
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	**174,1**	**187,6**
სასტუმროები და რესტორნები	**37,4**	**44,4**
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	**82,6**	**90,2**
საფინანსო საქმიანობა	**30,7**	**33,5**
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და მომხმარებლისათვის მომსახურების გაწევა	**40,7**	**42,8**
სახელმწიფო მმართველობა	**88,3**	**91,9**
განათლება	**151,5**	**151,6**
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	**67,4**	**65,7**
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	**63,0**	**67,4**
კერძო საოჯახო მეურნეობა დაქირავებული მომსახურებით	**14,2**	**19,4**
ექსტერიტორიული ორგანიზაციების საქმიანობა	**0,5**	**1,1**
არაიდენტიფიცირებული	**0,2**	**-**

5. საგარეო ვაჭრობა: 2014 - 2019 (I) წლები (მილიარდი აშშ დოლარი)

	2014	2015	2016	2017	2018	2019 (I)
საგარეო სავაჭრო ბრუნვა	**11 462.9**	**9 505.0**	**9 406.7**	**10 678.1**	**12 477.6**	**4 959.4**
საქონლის რეგისტრირებული ექსპორტი (FOB).	**2 861.0**	**2 204.7**	**2 112.9**	**2 735.5**	**3 354.5**	**1 466.7**
საქონლის რეგისტრირებული იმპორტი (CIF)	**8 601.8**	**7 300.3**	**7 293.8**	**7 942.7**	**9 123.1**	**3 492.8**
საგარეო ვაჭრობის სალდო	**-5 740.8**	**-5 095.6**	**-5 180.9**	**-5 207.2**	**-5 768.6**	**-2 026.1**
ექსპორტი რეექსპორტის გარეშე	**1 818.8**	**1 604.2**	**1 621.2**	**2 010.1**	**2 225.1**	**938.6**

6. სამომხმარებლო ფასების ინდექსი (ინფლაცია)

	2012	2013	2014	2015	2016	2017	2018
საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან	**99.1**	**99.5**	**103.1**	**104.0**	**102.1**	**106.0**	**102.6**
დრკრმბერი წინა წლის დეკემბერთან	**98.6**	**102.4**	**102.0**	**104.9**	**101.8**	**106.7**	**101.5**

7. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მილიონი აშშ დოლარი)

წელი	2013	2014	2015	2016	2017	2018*	2019*
სულ	**1 020.5**	**1 817.7**	**1 665.6**	**1 565.8**	**1 894.5**	**1 232.4**	**281.1**
I კვ	**290.3**	**326.6**	**335.0**	**378.8**	**393.6**	**300.1**	**281.1**
II კვ	**216.4**	**209.7**	**483.0**	**411.5**	**355.8**	**390.4**	
III კვ	**265.8**	**740.5**	**515.9**	**491.7**	**622.8**	**344.7**	
IV კვ	**248.0**	**540.9**	**331.7**	**283.7**	**522.2**	**197.1**	